საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№47 (565)
23 დეკემბერი, 2020 - 19 იანვარი, 2021

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 2021 წლის 20 იანვარს

## «წლის გვრიტო», «წლის ჩიტო», «რაც ალხანა, ის ჩალხანა», «კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების» 2-3 და 2020 წლის სხვა ნომინაციები


„კოკასა შიგან რაცა დგას , იგივე წარმოდინდების“


„როცა შენს დალალებს ქარი შლის“


„მაგრად დაჰკარი, მაგრად დაჰკარი, დადგეს ყიჟინის კორიანტელი“


„წლის ჩიტო“


„წლის გვრიტო“


„დემოკრატიის ულიმლამო შუქურები“

## ჰომო სოვეტიკუსობასა და ქართველობაზე უარის თქმით 4-5





## წინ — ჰომო პედერასტიკუსების ევროკავშირში



9 ნიკოლოზ ჯეირანაშვილი:

## ჰააგის სასამართლო ქართველებს, ალბათ, არ დაადანაშაულებს, არც რუსებს

## გამოჩენილი საბჭოთა სარდლები იოსებ სტალინის სამხედრო ნიჭსა და დამსახურებებზე 14



## სტალინი — კაცობრიობის ამოუხსნელი ფენომენი 12



## ვლადიმერ პუტინი: 16 ამიერკავკასიაში მაღალია ვითარების გამწვავების რისკი




## ევროპელი ადამიანის 17 პიროვნების დეგრადაცია ევროპულ ოხლოკრატიაში

## 2020 წლის ნომინაციები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნომინაციაში „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების“ გაიმარჯვა ნიკა გვარამიამ. ახლა, ნიკაში რაც დგას, კი უნდა მიხვდეთ და, თუ ვერ ხვდებით, მის გამოსვლებს უსმინეთ, რა იღვრება მის ბაგეთაგან და ეგაა. ჰო, ნიკას ბაგის ხსენებაზე გიორგი გაბუნია უხერხულად კი შეიშმუშნა, მაგრამ რა გაეწყობა. გაბუნია წელს უსაჩუქროდ დაგვრჩა, თუმცა ნიკა გაუნაწილებს... წარმოდინებულს.**



# «წლის გვრიტო», «წლის ჩიტო», «რაც ალხანა, ის ჩალხანა», «კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების» და 2020 წლის სხვა ნომინაციები

**ერთი კვირაც და ვირთხის წელი დასრულდება. შარშან, დეკემბერში ვივარაუდეთ, რომ 2020 გემიდან გადამხტარი ვირთხების წელი იქნებოდა და ისე ყველაფერი აგიხდეთ, როგორც ეს ახდა. გემიდან ზოგი თავისით გადახტა, ზოგიც გადააგდეს. ჯერ გადამხტარებზე ვთქვათ — ხელისუფლებაში 8-წლიანი ყოფნის შემდეგ, ბევრს ეგონა, რომ „ქართული ოცნება“ სათავეში აღარ იქნებოდა, ამიტომ მიატოვეს და ოპოზიციაში წავიდნენ ის ადამიანები, რომლებიც 8 წელი ივანიშვილის საწოვარაზე იყვნენ ჩამოკიდებულნი და თავდაუზოგავად წოვდნენ. თუ ხელისუფლება იცვლება, სათავეში ხომ ოპოზიცია მოდის და ლოგიკურად, ოპოზიციაში წასვლით კვლავ დაბრუნება სურდათ, მაგრამ... და სანამ რამეს მიხვდნენ, 2021 წელიც მოგვადგა. 2020 მსოფლიოს კოვიდ-19-ის წლად დაამახსოვრდება, ვერაგი დაავადების, რომელმაც არაერთი ჩინიანი თუ უჩინო იმსხვერპლა და ისე ჩანს, უკეთესობა არც 2021-ში იქნება.**

2021 წელი ხარის იქნება, კუროს წელიწადი. არავინ დამასწროსო და, ირაკლი ოქრუაშვილი არც დაელოდა 2021-ს, ისე თქვა: „შევიდოდა კაცი პარლამენტში, ქოცების ერთი-ორი ნაშის ხათრით“-ო. სავარაუდოდ, ამას რომ ამბობდა, ოქრო-ბიჭს კუროობაზე ჰქონდა პრეტენზია (ვითომ იმ ნაშებს ქოცებში არ ჰყავდეთ კუროები), მაგრამ მაგას იმდენი კურო ჰყავს ნანახი, მიშამ რომ დაიჭირა, მაშინ და ალიარებითი ჩვენება დააფქვევინა, იქიდან გამოყოლილი უნდა ჰქონდეს ასეთი ფანტაზიები. ოქრუაშვილს, ჭკუამოკლე განცხადების მიუხედავად, წელს ნომინაციის გარეშე ვტოვებთ და, თუ მაინცდამაინც პრიზი უნდა, აგერ, იმხელა ნაძვის ხე დგას უფუნქციოდ თბილის-ქალაქში, შეაწყვიტოს რაიმე ოვალური სათამაშო.

რაც შეეხება ნომინაციებს, უცხოელებით დავიწყოთ:

* ნომინაციაში **„აქ ჩამოდი ჩვენსაო, ქალი მიქნევს ხელსაო“** გაიმარჯვა **კელი დეგნანმა,** რომელმაც ოპოზიციას ხაჭაპურიც გამოუცხო (ცარიელი ქერქი), ვარიაც დაუკლა (ცარიელი ძვლები) და პირში რაღაცით გამოვლებული დატოვა. არა, კი დავწერდით, ჩალაგამოვლებულიო, მაგრამ ოპოზიციის ლიდერებს დეგნანთან შეხვედრის შემდეგ აშკარად ეტყობოდათ, რომ ჩალის ნაცვლად სხვა რამ გამოავლეს... და არამხოლოდ პირში.

* დეგნანს მხარი აუბეს დანარჩენმა ელჩებმაც და ნომინაციაში **„წყაროზე ჩაგიყვანს და არ დაგალევინებსო“** სწორედ **ფასილიტატორმა ელჩებმა** გაიმარჯვეს.

* **„წლის გაყრად“** პოლიტიკური გაერთიანება **„გირჩის“** (რა სასაცილოდ ისმის, არა — პოლიტიკური გაერთიანება „გირჩი“) **დაშლა** მივიჩნიეთ, **„წლის შეყრად“** კი — **ოპოზიციის გაერთიანება.** იმ ოპოზიციონერების, რომლებსაც არც საერთო ღირებულებები აქვთ, არც საერთო ხედვა, უბრალოდ, ხელისუფლებაში მოსვლა უნდათ და ამიტომაც შეიყარნენ.

* ნომინაციაში **„მაგრად დაჰკარი, მაგრად დაჰკარი, დადგეს ყიჟინის კორიანტელი“** გაიმარჯვა **ჰელენ ხოშტარიამ,** რომელიც ცესკო-ს ღობეს მიადგა ორი აგურით და ძალუმად სცემდა. როგორც ჩანს, ჯერ ვერ მიხვდა, ორი აგური როგორ უნდა გამოიყენოს, მაგრამ არა უშავს, მალე მიხვდება და მერე სასტვენი დაუმალეთ, მაგას კიდევ დასტვენა უნდა?!

* ნომინაციაში **„დემოკრატიის უღიმღამო შუქურები“** გაიმარჯვეს **შალვა ნათელაშვილმა, გიგი უგულავამ** და **ირაკლი ოქრუაშვილმა.** ალბათ, ყველას გემახსოვრებათ, სამივე აღმართული ხელებით რომ იდგა და ცხოვრება უხაროდა. ეს არჩევნებამდე იყო, ახლა ხელებიც დაშვებული აქვთ, ღიმილიც გაუქრათ სახიდან და შუქურობის კი რა მოგახსენოთ, ნათება უჭირთ. ისე, გიგის ხელში წითელი ნათურა რომ დავაჭერინოთ, როგორც ძველ ნაციონალს, შალვას — ყვითელი, როგორც მუდმივ ორჭოფობაში მყოფს, ხოლო ირაკლის მწვანე, როგორც მარადმწვანე დაბოღმილს, შუქნიშანი გამოვიდოდა და იდგნენ და ანათონ ოპოზიციისთვის, ეგებ მოძრაობის წესები მაინც დაიცვან.

* მიხეილ სააკაშვილმა, როგორც **ოპოზიციის უპირობო ლიდერმა და არქიფომ,** ერთბაშად რამდენიმე პრიზი მოიგო, მაგრამ საქართველოში არყოფნის გამო, პრიზების გაგზავნა კვლავ უკრაინაში გვიწევს. კარგია, ბოლო პერიოდში ეს კაცი მხოლოდ უკრაინაში რომ არის, თორემ შარშან პრიზები ხან პოლონეთში დავაწიეთ, ხან — გერმანიაში და ხან კიდევ — თურქეთში.



ეჭვი გვაქვს, გაისად ყირგიზეთში მოგვიწევს საჩუქრების გაგზავნა, რადგან ახლა ყირგიზეთის აყვავებას აპირებს თურმე. **სააკაშვილს ასევე ერგო პრიზი „გივის“ როლის საუკეთესო შესრულებისთვის.** აგერ უკვე მერამდენე წელია, ხალხი კითხულობს, — „გივი არ დაბრუნებულაო?“ და მუდმივად ერთი პასუხია: „დაბრძანდით, დაელოდეთ“. ბატონმა მიხეილმა ისიც თქვა: რა ევროკავშირის ელჩები, ჩემზე კარგი ფასილიტატორი ვინ არის, თავის დროზე ცოტა დამაკლდა, თორემ **სანაკოევის** მთავრობით ოსეთს ვიბრუნებდი და ოსებთან მთავარი ფასილიტატორი სწორედ მე ვიყავიო. ახლაღა გავიგეთ, რომ ოსებთან ფასილიტატორობის გამო მიშას შესაბამისი აბრევიატურაც ჰქონდა ფალ-ოსი და კი დაამტკიცა 2008 წელს, რომ სწორად შერჩეული სახელი იყო. ჰოდა, მაშინ გადასაცემ ჯილდოს, ახლა გავუგზავნით უკრაინაში — ვფიქრობთ, მისი პარტიის წევრებს ვუყიდოთ ბილეთი და და მათი ხელით გადავცეთ.

* გაგიკვირდებათ და, სააკაშვილს ვირთხის წელში ერგო სპეციალური პრიზი, რომელიც **კაციჭამია ვირთხების გამოყვანისთვის** გვქონდა დაწესებული. მან მოახერხა მთელი ოპოზიციის ერთად შეყრა, ახლა კი ამ ოპოზიციიდან კაციჭამია ვირთხა გამოჰყავს და ფსონს სწორედ მასზე დადებს. კულუარებში ამბობენ: დაწინაურებული **ნიკა მელიააო,** მაგრამ **შეძლებს თუ ვერა მელია კაციჭამია ვირთხის როლის შესრულებას, ძნელი სათქმელია.** ჰო, ამ **ბრძოლაში პარტიის თავმჯდომარე გრიგოლ ვაშაძე** კი მოინელეს და **გადმოაგდეს გემიდან (ან თავისით გადახტა). არადა, ვაშაძისთვის როგორი საოცარი პრიზი გვქონდა გამზადებული?! მისთვის, რო-** ►



„წლის ჩიტო“



„წლის გვრიტო“



„როცა შენს დალალებს ქარი შლის“

**ამ ბრძოლაში პარტიის თავმჯდომარე გრიგოლ ვაშაძე კი მოინელეს და გადმოაგდეს გემიდან (ან თავისით გადახტა). არადა, ვაშაძისთვის როგორი საოცარი პრიზი გვქონდა გამზადებული?! მისთვის, როგორც «ნაციონალური მოძრაობის» საპარლამენტო სიის მეორე ნომრისთვის, «გვრიტო» უნდა მიგვეცა; «ჩიტო» პირველ ნომერს, ბუბა კიკაბიძეს, შეხვდებოდა, ხოლო მესამე ნომერი მელია «ჩიტო-მარგალიტო» გამოდიოდა, მაგრამ ვინ დაგვაცადა?! იშვირა ხელი (ალბათ, ფეხიც, გრიგოლეტოა ბოლოს და ბოლოს) ვაშაძემ და წავიდა**



გიგა ბოკერია წელს პირველად იყო მაჟორიტაროზის კანდიდატი და ამომრჩეველმა მიახვედრა, რას ფიქრობს მასზე. ამ ყველაფერმა თამარ ჩერგოლეიშვილი ისე გააბრაზა, რომ ქოში უკულმა ყარა. გიგასა და თამარას ნომინაციაზე ბევრი ვიფიქრეთ და „რაც ალხანა, ის ჩალხანა“ მოვუძებნეთ.

2020 წლის ნომინაციები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნომინაციაში «მაგრად დაჰკარი, მაგრად დაჰკარი, დადგეს ყიჟინის კორიანტელი» გაიმარჯვა ჰელენ ხოშტარიამ, რომელიც ცესკო-ს ღობეს მიადგა ორი აგურით და ძალუმად სცემდა. როგორც ჩანს, ჯერ ვერ მიხვდა, ორი აგური როგორ უნდა გამოიყენოს, მაგრამ არა უშავს, მალე მიხვდება და მერე სასტვენი დაუმალეთ, მაგას კიდევ დასტვენა უნდა?!

**◀გორც „ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო სიის მეორე ნომრისთვის, „გვრიტო“ უნდა მიგვეცა; „ჩიტო“ პირველ ნომერს, ბუბა კიკაბიძეს, შეხვდებოდა; ხოლო მესამე ნომერი მელია „ჩიტო-მარგალიტო“ გამოდიოდა, მაგრამ ვინ დაგვაცადა?! იშვირა ხელი (ალბათ, ფეხიც, გრიგოლეტოა ბოლოს და ბოლოს) ვაშაძემ და წავიდა.**

* აბა, ხანგრძლივი ტაში ახლა — **დავით ალმაშენებლის სახელობის პრიზი** გადაეცემა... ეჰ, ათი საუკუნე მიილია ლამის და ეს პრიზი ისევ არავის არ გადაეცემა. არადა, როგორი იმედი მქონდა, **გიორგი ვაშაძემ** სტრატეგია ალმაშენებელი რომ ჩამოარაკრაკა, ეგ არის და გვეშველამეთქი, მაგრამ ეგ სტრატეგია ისეთივე ალმაშენებელია, როგორც **თაკო ჩარკვიანია** პუბლიცისტი. ახლა ის დროა, ვაშაძე „გალობანი სინანულისანი“-ს წერდეს, მაგრამ მაგასაც ნიჭი უნდა.

* ნომინაციაში **„კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების“** გაიმარჯვა **ნიკა გვარამიამ.** ახლა, ნიკაში რაც დგას, კი უნდა მიხვდეთ და, თუ ვერ ხვდებით, მის გამოსვლებს უსმინეთ, რა ილვრება მის ბაგეთაგან და ეგაა. ჰო, ნიკას ბაგის ხსენებაზე **გიორგი გაბუნია** უხერხულად კი შეიშმუშნა, მაგრამ რა გაეწყობა. გაბუნია წელს უსაჩუქროდ დაგვრჩა, თუმცა ნიკა გაუნაწილებს... წარმოდინებულს.

* **ლევან ბერძენიშვილს** არც ერთ ნომინაციაში არ გაუმარჯვია, მაგრამ მას შემდეგ, რაც განაცხადა: „ყველა, ვინც მხარი დაუჭირა „ქართულ ოცნებას“, ახლა არის სამარცხვინო ნაწილი ჩვენი ნაციის, ავადმყოფი ნაწილი ჩვენი ნაციისა“, გადავწყვიტეთ, მას სარკე ვაჩუქოთ, როცა ანალოგიურის თქმას დააპირებს, სარკეში რომ ჩაიხედოს და იქნებ ენას კბილი დააჭიროს.

* **გიგა ბოკერია** პირველად იყო მაჟორიტარობის კანდიდატი და ამომრჩეველმა მიახვედრა, რას ფიქრობს მასზე. ამ ყველაფერმა **თამარ ჩერგოლეიშვილი** ისე გააბრაზა, რომ ქოში უკულმა ყარა. გიგასა და თამარას ნომინაციაზე ბევრი ვიფიქრეთ და **„რაც ალხანა, ის ჩალხანა“** მოვუძებნეთ.

* ნომინაციაში **„ხვალინდელი ქათამი მირჩევნია დღევანდელ კვერცხს“** გაიმარჯვა **ნინო ბურჯანაძემ.** საქმე ის არის, რომ არჩევნებში ბურჯანაძის პარტიას კვერცხი ერგო, მაგრამ ქალბატონი ნინო ჯიუტად ქათამს იჩემებს. ჩემთან რა გინდაო, — იქიდან გვარამია აყვირდა, მაგრამ ამჯერად ფრინველზე ვსაუბრობთ. უმანდატო ბურჯანაძემ პარლამენტში არ შევალო და, ძალიანაც რომ უნდოდეს (არადა, უნდა), მაინც ვერ შევა.

* ახლა ხელისუფლებაზე გადავიდეთ. ოპოზიციაზე ნაკლებად თავი არც მათ გამოუჩენიათ და, პრიზის გარეშე რომ დავტოვოთ, არ გვაპატიებენ.



„აქ ჩამოდი ჩვენსაო, ქალი მიქნევს ხელსაო“



„რაც ალხანა , ის ჩალხანა“



„კოკასა შიგან რაცა დგას , იგივე წარმოდინდების“



„ხვალინდელი ქათამი მინდა“



არქიფო სააკაშვილი



„მაგრად დაჰკარი, მაგრად დაჰკარი, დადგეს ყიჟინის კორიანტელი“

ნომინაციაში **„აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“ ირაკლი კობახიძეს** უნდა გაემარჯვა, როცა დაბეჯითებით ამბობდა, კონსტიტუცია არ შეიცვლებაო, მაგრამ კელი დეგნანთან საუბრის შემდეგ მხოლოდ **„როცა შენს დალალებს ქარი შლის“** პრიზი მიიღო.

* **„მამალმა თქვა: მიყივლია, და ეხლა გინდ გათენდეს, გინდ არაო“** — ამ ნომინაციაში გაიმარჯვა თბილისის მერიამ. დედაქალაქი გაჩახჩახებულია და, ხალხი თუ ვერ ნახულობს და ვერ ტკბება, მერე რა. მერიაშივე წავიდა პრიზი **„რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“.** ნგრევაში კი გამოიდო **კალაძემ** თავი და, რისი ამშენებელია, აწი ის უნდა დაგვანახვოს.

* ნომინაციაში **„ვერ აგისრულე, რასაც დაგპირდი“** გაიმარჯვა **გიორგი გახარიამ.** საპარლამენტო ტრიბუნიდან პრემიერმა სიტყვა მოგვცა, ნაცებს დავასრულებო და დასრულებას ვინ ჩივის, იმაზე ორჯერ მეტი ხმა მიიღეს, ვიდრე მანამდე.

* ფინანსთა მინისტრი **ივანე მაჭავარიანი** სერიოზულ ბრძოლაში გამოვიდა გამარჯვებული. მას ლამის მინისტრთა კაბინეტის მთელი შემადგენლობა ეცილებოდა ნომინაციას **„ამ ქვეყანას მე ვერ გავასწორებ და ძილი რატომ უნდა დავიკლო“.** თუმცა, საბოლოოდ, ეროვნული ვალუტის ფონზე, მაჭავარიანმა იმარჯვა და... ეჭვი მაქვს, ასე თუ გაგრძელდება, ამ ნომინაციას ლოგიკური გაგრძელება ექნება და ვილაცას ვირზე უკუღმა შესვამენ.

დასასრულ — **ბიძინა ივანიშვილმა მთავარი კონკურენტის საპარლამენტო სიას რომ გადახედა, ნომინაცია თვითონ შეარჩია და გაიმარჯვა სიმღერით „მე რა მამღერებს: უძირო ზეცა, ზამბახის ფერი, თუ მილხინს ვმღერი, თუ ვსევდიანობ, მაინცა ვმღერი...“ ჰოდა, ვისაც გემღერებათ, აჰყევით...**

**ბესო ბარბაქაძე**



„დემოკრატიის ულიმღამო შუქურები“

# ნომინაციაში «დემოკრატიის ულიმღამო შუქურები» გაიმარჯვეს შალვა ნათელაშვილმა, გიგი უგულავამ და ირაკლი ოქრუაშვილმა. ალბათ, ყველას გემახსოვრებათ, სამივე აღმართული ხელებით რომ იდგა და ცხოვრება უხაროდა. ეს არჩევნებამდე იყო, ახლა ხელებიც დაშვებული აქვთ, ღიმილიც გაუქრათ სახიდან და შუქურობის კი რა მოგახსენოთ, ნათება უჭირთ

## ავი მესაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დასავლეთმა, სსრკ-ის მსგავსად, მიწიერი სამოთხე შექმნა, ოღონდ არა სსრკ-ის მსგავსი მაღალი ზნეობისა მქონე საზოგადოებისთვის, არამედ გათახსირებული ჰომო პედერასტიკუსებისთვის, ამ ეშმაკის მოციქულებისთვის, რომელთა ცხოვრების თახსირი წესის გამო სოდომ-გომორის მსგავსად ფერფლად ქცევის საფრთხის წინაშე დგას კულტურული კაცობრიობა. მოკლედ, ან ლგბტ-ისგან თავისუფალი, ერთმორწმუნე მართლმადიდებელი რუსეთი ან დასავლელი ჰომო პედერასტიკუსები — ეს მარადიული ბრძოლაა სიკეთესა და ბოროტებას, გნებავთ, სატანასა და ღმერთს შორის.**

# ჰომო სოვეტიკუსიდან ჰომო პედერასტიკუსამდე

**სანამ წერილის მთავარ თემაზე საუბარს დავიწყებ, უპრიანად მიმაჩნია, რამდენიმე სიტყვით რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ ეს უკვე მერამდენედ გამართულ, ტრადიციადქცეულ გრანდიოზულ პრესკონფერენციას შევეხო, რომელიც წინა წლებისგან განსხვავებით, კოვიდპანდემიის გამო ამჯერად ვიდეოფორმატით ჩატარდა — ვლადიმერ პუტინი ნოვო-ოგორიოვოს საპრეზიდენტო რეზიდენციიდან პასუხობდა მოსკოვში შეკრებილ, რუსეთის მტერ-მოყვარე ქვეყნების უამრავი ჟურნალისტის გაუფილტრავ კითხვებს — თუნდაც ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ რუსეთში გაცილებით მეტი დემოკრატიაა, ვიდრე აშშ-ევროპაში. აღარაფერს ვამბობ იმ უეჭველ ფაქტზე, რომ დონალდ ტრამპს აშშ-ის პოლიტელიტის ე.წ. ლიბერასტულმა ფრთამ არჩევნები მოჰპარა დემოკრატიის საფარქვეშ.**



ურსულა ფონ დერ ლაიენი და ჟოზეფ ბორელი

**ევროკავშირის მაღალჩინოსანი ჟოზეფ ბორელი: «ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ისეთ დრომოჭმულ განსაზღვრებებზე, როგორიც არის ნაციონალური ინტერესები, ასევე ეთნიკურ და რელიგიურ იდენტობაზე, რადგან ყოველივე ეს, საზოგადოების გაერთიანების მაგივრად მის დაყოფა-დაპირისპირებას უწყობს ხელს. იდენტობას შეუძლია მოკლას რამდენიმე პირი ერთდროულად, რადგან ყოველ ჩვენგანს საკუთარი ინდივიდუალობა გააჩნია. ჩვენ ბრძოლა უნდა მოვუგოთ იდენტობას, რადგან უნდა განვაგრძოთ ბრძოლა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებისთვის, როგორც ევროკავშირის ქვაკუთხედისთვის»**

სამწუხაროდ, პუტინის ვიდეოკონფერენციაზე დამსწრე მრავალი ქვეყნის ჟურნალისტთა სიაში კვლავ (თუ არ ვცდები, ეს უკვე მეორე შემთხვევა იყო) არ აღმოჩნდა ქართული მასმედიის არც ერთი წარმომადგენელი. რატომ? — ისინი ხომ გაცილებით „მნიშვნელოვანი" რამით არიან დაკავებულნი, რაზეც წინა წერილში ვწერდი და რამაც კახურ ანდაზამდე მიგვიყვანა: ვირი სადაც გინდა, იქ დააბი, ვირი მაინც ვირია!

ეს, რა თქმა უნდა, ნახევრად ხუმრობით, მაგრამ მწარე რეალობიდან გამომდინარე სახუმაროდ კი არა, სატირლად გვაქვს საქმე. ეს რომ ასეა, ამის ირიბი მტკიცებულება ზემოხსენებული პრესკონფერენციაა — თუ ადრე, დღევანდელისგან განსხვავებით, არათუ უპრობლემოდ იღებდნენ აკრედიტაციას ქართული მედიის წარმომადგენლები, არამედ კითხვის დასმის უფლებაც აშკარად ხაზგასმული პატივისცემით ეძლეოდათ იქამდეც კი, რომ ერთხელ ვლადიმერ პუტინმა ურიცხვ ბანერებს შორის შენიშნა მსოფლიო მასმედიის „აღიარებული ლიდერის" ერთ-ერთი ქართული ტელევიზიის წარმომადგენელი და პრესკონფერენციის წამყვანის მაგივრად, თავითონ მისცა სიტყვა „ნიჭიერ" ქართველ ჟურნალისტს. რატომ ასეთი აშკარა ირონია „მშობლიური" მასმედიის მიმართ? — იმიტომ, რომ ქართული მედიის „მაღალპროფესიული დონის" ჟურნალისტებმა არ იციან (ან დავალება აქვთ ასეთი), სად, ვის და რა კითხვა უნდა დაუსვან. ჯერ თვითონ ის ფაქტი რამხელა პატივია, რომ მილეთის ქვეყნების მართლაც საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე გამოცემების ჟურნალისტებს შორის გამოგარჩევენ და მათთან შედარებით, რომ იტყვიან, „ორლობის დონის" ჟურნალისტებს გაძლევენ კითხვის დასმის უფლებას და მეორე — შენი ინტელექტი თუ მთლად პლინტუსს ქვემოთ არ არის, ადვილად მიხვდები, რომ ასეთ „გამორჩევას" ის ქვეტექსტი ახლავს, რომელიც წერილის სათაურში მოვიყვანე და რომელიც პოპულარულ საბჭოთა მულტფილმის პერსონაჟს, კატა ლეოპოლდს ეკუთვნის: **Ребята! давайте жить дружно!"**

**მიუხედავად ამ იმედის შემცველი ქვეტექსტისა, საქართველოსთვის ობიექტურად არსებული არასახარბიელო მოცემულობის მიუხედავად, მაინც არაადეკვატურად შემტევ კითხვებს (რომელთა საერთო პათოსია „რუსეთი ოკუპანტიაა!") რომ უსვამ რუსეთის პრეზიდენტს, რა ჰქვია ამას? ეს ხომ ე.წ. კონფლიქტის ზონაში არსებულ მავთულხლართებთან „შარვალჩახდილთა" ურაპატრიოტიზმია?!**

**თუმცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ზალკალიანის სულელური განცხადების შემდეგ, რომელმაც თქვა, საქართველო რუსეთს მანამდე არ დაელაპარაკება, სანამ სოხუმ-ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარებას არ გააუქმებსო, ქართველ ე.წ. ლიბერალ ჟურნალისტებს, რა ჭკუა მოეკითხებათ?..**

ზემოთ შეგპირდით, სანამ წერილის მთავარ თემაზე გადავალ, ჯერ რუსეთის პრეზიდენტის მიერ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე ვიტყვი ორიოდ სიტყვას-მეთქი, მაგრამ, როგორც ხედავთ, დაპირებას ვერ ვასრულებ — ყოველივე ზემოთქმულს ვერაფრით ვუწოდებ „ორ სიტყვას". ამიტომ შესავლის ბოლოს ერთ სახალისო პარადოქსზე ვიტყვი.

ერთი მხრივ, ოკეანისგაღმელ „ჰუმანისტ დემოკრატებს" რომ ჰკითხო, ფეხებზე ჰკიდიათ „ბენზოკალონკა" რუსეთიც და მისი „ზაპრავშიკი" ვლადიმერ პუტინიც, მაგრამ, მეორე მხრივ, სწორედ პრესკონფერენციის დასასრულ, როდესაც ვლადიმერ პუტინმა, ბოლოს და ბოლოს, მშრალი, პროტოკოლური ტექსტით მიულოცა **ჯო ბაიდენს** გაპრეზიდენტება, დემოკრატმა იანკებმა, რომ იტყვიან, შვებით ამოისუნთქეს, — როგორც იქნა, ვლადიმერ პუტინმა აშშ-ს არჩევნების შედეგები ცნოო და დემოკრატიული გამოცემების პირველი გვერდები სწორედ ამ სასიხარულო ინფორმაციით იყო აჭრელებული. (ცნობისთვის აღვნიშნავთ, რომ ამ მილოცვით ვლ. პუტინმა მხოლოდ საერთაშორისო პროტოკოლი დაიცვა და თანაც რუსეთ-ამერიკის არაკეთილმოსურნეებს ყიჟინის საბაბი გამოაცალა – ეს რომ არ გაეკეთებინა, ატყდებოდა ერთი ამბავი, ეხლაც არ ულოცავს ბაიდენს, იმიტომ რომ ტრამპთან არის ფარულ ალიანსში და თანაც დაბოღმილია, რუსმა ხაკერებმა ბაიდენს რომ ვერ წააგებინესო. რედ.).

ახლა, რაც შეეხება წინამდებარე წერილის მთავარ თემას. ამას წინათ რუსულ ტელეარხ RTR-ის ეთერით ევროკავშირის ერთ-ერთი უმაღლესი წარმომადგენლის, ამ კავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში უმაღლესი წარმომადგენლის **ჟოზეფ ბორელის** შოკისმომგვრელი განცხადება ვიხილე. დიახ, ვიხილე და არა მოვისმინე, რადგან განცხადება რუსულ ენაზე ტიტრებით გადიოდა, რომლის წაკითხვასაც ვერ ვასწრებდი და ამიტომ სტოპკადრების მეშვეობით ვკითხულობდი და ვთარგმნიდი.

აი, რა განაცხადა დასავლური დემოკრატიის უმაღლესი კალიბრის ლიბერასტმა:

**„ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ისეთ დრომოჭმულ განსაზღვრებებზე, როგორიც არის ნაციონალური ინტერესები. ასევე ეთნიკურ და რელიგიურ იდენტობაზე, რადგან ყოველივე ეს, საზოგადოების გაერთიანების მაგივრად მის დაყოფა-დაპირისპირებას უწყობს ხელს"** — მაგარია, არა? თუმცა ჯერ სადა ხართ...

**„იდენტობას შეუძლია მოკლას რამდენიმე პირი ერთდროულად, რადგან ყოველ ჩვენგანს საკუთარი ინდივიდუალობა გააჩნია. ჩვენ ბრძოლა უნდა მოვუგოთ იდენტობას, რადგან ჩვენ უნდა განვაგრძოთ ბრძოლა ადამიანის უფლებებისთვის და ძირითადი თავისუფლებისთვის, როგორც ევროკავშირის ქვაკუთხედისთვის"...**

აი ასე, მეგობრებო, აი ეს არის დემოკრატია — **არც ეროვნება, ანუ თვითმყოფადობა, არც რელიგია, ანუ ღმერთი; არც მშობლები, და-ძმა, ბებია-ბაბუები, არც საზოგადოებრივი მორალი; წინაპართა საფლავები, არც ისტორია და ა.შ. ყველაფერი ის, რითაც ადამიანი ცხოველისგან განსხვავდება — მხოლოდ და მხოლოდ ე.წ. ადამიანთა უფლებების ნიღბით ყველანაირი გარყვნილების ნორმად ქცევა, საყოველთაო ლგბტ-ზაცია!**

როგორც მოსალოდნელი იყო, ჟოზეფ ბორელის ლიბერასტულ იდეას ევროკავშირში მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდა. მაგალითად, ამ იდეის საწინააღმდეგოდ უნგრეთმა უკვე მიიღო კანონი ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებისთვის ბავშვის შვილად აყვანის აკრძალვის შესახებ. ამ მიმართულებით კიდევ უფრო შორს წავიდა პოლონეთი — ოფიციალურმა ვარშავამ, პოლონეთის 100 ქალაქი ლგბტსგან თავისუფალ ზონად გამოაცხადა. ამაზე ევროკომისიის თავმჯდომარე **ურსულა ფონ დერ ლაიენმა** განაცხადა: ლგბტ-სგან თავისუფალი ზონა — ეს არის ადამიანობისგან თავისუფალი ზონა და ასეთი ზონების ადგილი ევროკავშირში არ არისო.

ყოველივე ზემოთქმული, **როგორც ჩანს, ევროკავშირისა და მისი ე.წ. ლიბერალური იდეოლოგიის დასასრულის დასაწყისია, რადგანაც ე.წ. დასავლური ფასეულობების თუ ღირებულებების პროპაგანდა ღმერთთან ბრძოლაა და მეტი არაფერი.**

აქედან გამომდინარე, „ქართული ოცნების" წარმომადგენლის, პარლამენტის თავმჯდომარე, **არჩილ თალაკვაძის** მიმართ, რომელმაც განაცხადა, 2022 წელს საქართველო ევროკავშირის წევრობაზე განაცხადს გააკეთებსო, ერთი კითხვა მაქვს: **ბატონო არჩილ! საით აპირებთ საქართველოს წაყვანას — ევროკავშირისკენ, რომლის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, ქალბატონი ურსულა ფონ დერ ლაიენი ახლავე აცხადებს, რომ ევროკავშირში ლგბტ-ისგან თავისუფალი ზონის ადგილი არ არის? გინდათ ქვეყანა ლგბტ ზონად გადააქციოთ?**

**დავით მხეიძე**

**P.S.** ე.წ. ჰომო სოვეტიკუსზე, როგორც დაცინვით გვიწოდებდნენ დასავლეთში, ვისაუბრეთ ერთ-ერთ წინა წერილში, რომლიდანაც გთავაზობთ ამონარიდებს მცირე კორექტივებით. დიახ, ჰომო სოვეტიკუსი, ანუ საბჭოთა ადამიანი, როგორც გარკვეულწილად ახალი, კრებსითი ეთნოსი დიდმა სტალინმა შექმნა და სოციალურ-ეკონომიკურ-სამხედრო გაერთიანების მწვერვალზე აიყვანა სსრკ-ში. თავს ბედნიერად ვთვლი, რომ განგების ნებით, სსრკ-ის ოქროს ხანაში, 60-70-ან წლებში ვიცხოვრე. ანუ, მაშინ, როდესაც ხვალინდელი დღის გათენების (დღევანდელი „თავისუფალი და დემოკრატიული" საქართველოსგან განსხვავებით) არ გეშინოდა — არიქა, ცოლ-შვილი რით და როგორ ვარჩინოო: ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია, გათბობა, სამედიცინო მომსახურება, სწავლა და ა.შ. „საზიზღარი კომუნისტების" პერიოდში ხომ პრაქტიკულად უფასო იყო. აღარაფერს ვიტყვი ზნეობრიობაზე და ხელისუფლების მიერ ნაჩუქარ ბინებში მცხოვრებ საბჭოთა ადამიანებზე... ხუმრობით თუ ვიტყვით, კომუნისტების საბედისწერო შეცდომა ის იყო, რომ თურმე მართლა მიწიერ სამოთხეში (კომუნიზმში ) ვცხოვრობდით და ამას გვიმალავდნენ. ამიტომაც დაინგრა სტალინის მიერ აშენებული ქვეყანა. ახლა? ჰომო სოვეტიკუსის ადგილი „თავისუფალი დასავლეთის" მიერ შექმნილმა, გნებავთ, შობილმა ჰომო პედერასტიკუსმა დაიკავა.

დასავლეთმა, სსრკ-ს მსგავსად, მიწიერი სამოთხე შექმნა, ოღონდ არა სსრკ-ს მსგავსი მაღალი ზნეობისა მქონე საზოგადოებისთვის, არამედ გათახსირებული ჰომო პედერასტიკუსებისთვის, ამ ეშმაკის მოციქულებისთვის, რომელთა ცხოვრების თახსირი წესის გამო სოდომ-გომორის მსგავსად ფერფლად ქცევის საფრთხის წინაშე დგას კულტურული კაცობრიობა. მოკლედ, ან ლგბტ-სგან თავისუფალი, ერთმორწმუნე მართლმადიდებელი რუსეთი, ან დასავლელი ჰომო პედერასტიკუსები — ეს მარადიული ბრძოლაა სიკეთესა და ბოროტებას, გნებავთ, სატანასა და ღმერთს შორის...

**ჩვენთან არს ღმერთი!**

**ექსპერტების აზრით, დღევანდელი ევროკავშირი არის კიდევ ერთი მცდელობა ევროპის გაერთიანებისა თითქოს მშვიდობიან საწყისებზე, მაგრამ, რაც დრო გადის, უფრო ნათელი ხდება, რომ მშვიდობის მტრედით ხელში ამ ახალი ექსპერიმენტის განხორციელება ვერ ხერხდება. პროცესის მდინარებამ გამორეცხა პროპაგანდისტული დანაშრევები, გააშიშვლა ქვაკუთხედი და ძირითადი მიმართულება: ნებით არ გსურთ? გაიძულებთ.**

25-ე გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართველობაზე უარის თქმით წინ — ევროკავშირის წევრობისკენ!

**ახალი ყაიდის მქადაგებლები გამოჩნდნენ განათლებულ ევროპაში — ნეოლიბერალიზმის ქურუმები: რაც უფრო მიუღებელი და უაზროა მათი პოსტულატები, მით უფრო კატეგორიულია და ქუხს, ვითარცა იერიქონის საყვირი.**

ამის კიდევ ერთი წინასაახალწლო დადასტურება იყო ევროკავშირის უზენაესი წარმომადგენლის (კაცმა არ იცის, ვისი არჩეულია) — **ჟოზეფ ბარელის** განცხადება, რომლითაც მან მოუწოდა ევროპის (და არა მხოლოდ ევროპის) ქვეყნებს, უარი თქვან თავიანთ იდენტურობაზე, ეროვნულ კუთვნილებაზე.

უარყონ, დაივიწყონ, რადგან თურმე იდენტურობა დამღუპველია, მოგკლავს, გაგანადგურებს, გაგაქრობს!

ყოჩაღ, ჟორა!

აი, რა თქვა ბარელმა ჟოზეფ-ჟორიკამ — უზენაესმა წარმომადგენელმა განათლებული ევროპისა, ჩვენი გონების ფორმირების გურუმ და სულიერების უმაღლესმა ქურუმმა:

**„ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ეროვნული ინტერესების ვიწროშუბლა განსაზღვრაზე, აგრეთვე, ეთნიკური ან რელიგიური ფასეულობების გამო ურთიერთისგან დაცილებაზე შემოერთების ნაცვლად. იდენტურობამ შეიძლება მოგკლას. თითოეულ ჩვენგანს გვაქვს საკუთარი ინდივიდუალობა, შეიძლება რამდენიმე პიროვნებას ერთდროულადაც კი. ჩვენ უნდა დავძლიოთ იდენტურობათა ბრძოლა. უნდა გავნაგრძოთ ბრძოლა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისთვის, ევროპული კავშირის ქვაკუთხედის დასაცავად“.**

**გაითავისა თუ არა სრულად ევროპამ ამ უაზროდ დახვავებული შეგონებების დედააზრი — იდენტურობის ერთგულება ერის სასიკვდილო განაჩენია?**

როგორ აფასებენ ბარელის „თეორიას“ სერიოზული ანალიტიკოსები?

ჩვენი პუბლიკაცია ამაზეა.

ბარელის ქადაგება მოწმობს, რომ ევროკავშირში სერიოზული კრიზისია. მთელ რიგ ქვეყნებს არ სურთ, ბრიუსელის მხრიდან სანქციების მოსალოდნელი დაწესებისა და ფულადი დახმარების შეწყვეტის მუქარის მიუხედავად, დაკარგონ დამოუკიდებლობა და საკუთარი იდენტურობა. კარგა ხნის წინათ ბარელი იმავეს ამბობდა ბალკანეთზე, ბოსნია-ჰერცოგოვინაზე. იქ იდენტურობის საკითხი ძალიან მწვავედ იდგა და დგას. ადამიანებს, რომლებიც ბალკანეთსა და ბრიუსელში ცხოვრობენ, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ იდენტურობაზე, ცხოვრებაზე, საერთოდ. ორი სრულიად განსხვავებული კულტურაა. ბარელი მათ მოუწოდებდა, დაევიწყებინათ საკუთარი თავი და გაერთიანებულიყვნენ უძირო, უჯიშო, უისტორიო ევროპულ მასად.

## როდის იყო ევროპა გაერთიანებული?!

ფაშისტური რაიხის დამთრგუნველი რეჟიმის პერიოდში გაერთიანება სამხედრო აგრესიის შედეგი იყო.



ევროპას ცეცხლი უკიდია

**ევროპის იდენტურობა დღესაც არ არსებობს. თუმცა დროშაც აქვთ და ევროპარლამენტიც მუშაობს, აცხადებენ, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რომ გვეყვარება ერთმანეთი, აყვავდება ქვეყნები, მგელი და ცხვარი ერთად მოძოვს**

ბარელის მოწოდება ამ ისტორიული ექსპერიმენტისკენ ხომ არ უბიძგებს თანამედროვე ევროპას, მათ შორის ჩვენც, რომლებიც ევროკავშირში გაერთიანების შესახებ 2024 წლისთვის ვაპირებთ განაცხადის შეტანას?

ექსპერტების აზრით, დღევანდელი ევროკავშირი არის კიდევ ერთი მცდელობა ევროპის გაერთიანებისა თითქოს მშვიდობიან საწყისებზე, მაგრამ, რაც დრო გადის, უფრო ნათელი ხდება, რომ მშვიდობის მტრედით ხელში ამ ახალი ექსპერიმენტის განხორციელება ვერ ხერხდება. პროცესის მდინარებამ გამორეცხა პროპაგანდისტული დანაშრევები, გააშიშვლა ქვაკუთხედი და ძირითადი მიმართულება: ნებით არ გსურთ — გაიძულებთ.

ჩვენზეც ამ მეთოდით მოქმედებენ, თაფლაკვერის რეპრესიული მეთოდით, რომელიც ნებაყოფლობითობის პრინციპით არის შეზავებული: საკუთარი ნებით უარი თქვით საკუთარ იდენტურობაზე, ხოლო ზემოქმედებაზე, დაძალებაზე (იქნება თუ არა) შემდეგ ვილაპარაკოთ.

ან — არაფერი ვთქვათ. რადგან პატივდებული ვიქნებით ევროკავშირის წევრობის, ევროკავშირის იდენტურობის.

მაგრამ **ვინმეს უნახავს ეს იდეალური გაერთიანება, რომელიც აპრიორი უნდა დავიჯეროთ?**

აპრიორი, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ შეეცადნენ ევროპის კონსტიტუციის შექმნას, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ შეძლეს.

**ევროპის იდენტურობა დღესაც არ არსებობს. თუმცა დროშაც აქვთ და ევროპარლამენტიც მუშაობს, აცხადებენ, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რომ გვეყვარება ერთმანეთი, აყვავდება ქვეყნები, მგელი და ცხვარი ერთად მოძოვს.**

**ასეთ მომავალს ნიკიტა ხრუშჩოვი 20 წელიწადში გვპირდებოდა ნახევარი საუკუნის წინათ.**

გმადლობთ, ყელამდე ვართ სავსე!

ოღონდ, ხრუშჩოვის კომუნიზმისგან განსხვავებით, ამჯერად უარი უნდა ვთქვათ საკუთარ ეკონომიკაზე, საკუთარ მრეწველობაზე, ეროვნულ ინსტიტუტებზე, არმიაზე.

**ისტორიკოსები გვაფრთხილებენ, რომ საკუთარ იდენტურობაზე უარის თქმა ნიშნავს „ჭეშმარიტი არიელობის“ დამკვიდრებისთვის ხელის შეწყობას.**

**ლაპარაკია ახალი ინკარნაციის ევროპელ ზეადამიანზე, რომელიც ყველასთვის სამაგალითო და მსოფლიოს განმგებელი იქნება.**

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეს არის ევროპული ფილოსოფიის ავადმყოფური, სიღრმისეული, სერიოზული პრობლემა, რომელიც ახასიათებს ამ პროექტს და ყოველთვის მასვე უბრუნდება სხვადასხვა კუთხით.

თეოლოგები ამტკიცებენ, რომ, ამასთან ერთად, ამჯერად უძლიერესად უტევენ ქრისტიანულ ფესვებს, ცდილობენ მართლმადიდებლობის მხოლოდ რაღაც მსგავსის შენარჩუნებას.

ეს თეორია, რომელიც ისტორიის ყოველ ახალ ეტაპზე მეორდება და ყოველ ჯერზე კატასტროფით მთავრდება, დღეს კვლავ გამომზეურდა ახალი პრობლემების ფონზე: ჯერ ქადაგებისა და შეგონების სახით მართლმადიდებლობის წინააღმდეგ გაძლიერებული გამოხდომით, მაგრამ მომდევნო ეტაპი, დიდი ალბათობით, იქნება ძალადობა საკუთარ თავზე და მის მიღმაც.

მაგალითისთვის დავასახელოთ **ბრძოლა ტერორისტების წინააღმდეგ,** რომელსაც ევროპა ახორციელებს საკუთარი ისტორიის დავიწყების საშუალებით. **რადიკალური ისლამი, ყველაფერთან ერთად, გაძლიერდა ევროპელების მიერ ისტორიის, რწმენის, კულტურის, ტრადიციების და ა.შ. დავიწყების ხარჯზე.** ევროპელებმა დაკარგეს ცხოვრების შეგრძნების უნარი, ხოლო ადამიანებს, რომლებიც აღმოსავლეთიდან ჩადიან, ეს უფრო ძლიერი აქვთ და სათავისოდ იყენებენ: ამ ფონზე ძლიერდება სხვადასხვა რადიკალური მიმდინარეობა, აგრესიული მოძრაობა.

## კონცეფციური ხაფანგი

ევროპელები, — გვეუბნებიან მკვლევარები, — ამ უცნაურ კონცეფციურ ხაფანგში მოექცნენ, რაც საკუთარ თავზე უარის თქმის შედეგია და მათ არნახულად ასუსტებს.

მაგრამ მაინცდამაინც აქეთ მოუწოდებენ სხვებს.

მათ შორის ჩვენც, რადგან ფიქრობენ, რომ ამ სხვათა მეშვეობით გადაწყვეტენ თავიანთ პრობლემებს. უცნაური ლოგიკაა.

მაგრამ ასეთია საკუთარ იდენტობაზე უარის თქმის შედეგი.

პრინციპული ექსპერტები განგვიმარტავენ, რომ ევროპელების სიძნელეების დაძლევის გზა გადის სხვების იძულებაზე უარყონ საკუთარი იდენტურობა: ამიტომ ახლა სხვები, მაგალითად, ჩვენც (ქართველები) უნდა დაგვარწმუნონ, დავივიწყოთ საკუთარი მეობა. მაშინ ჩვენც მათნაირები გავხდებით, ოღონდ — უსუსტესნი, სუსტებზე უსუსტესნი, მაშასადამე, მათი მორჩილი და ჩვენით მანიპულირება ასგზის გაიოლდება.

რის დამტკიცებაც იყო საჭირო.

ეს პრინციპი ყველაზე ვრცელდება. ცხადია, ევროპა ამ გაიძვერობას უსიტყვოდ არ დამორჩილებია... **უნგრეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც კრძალავს ერთი და იმავე სქესის წყვილების მიერ ბავშვების შვილად აყვანას. პოლონეთის 100-მა ქალაქმა და რეგიონმა (რაც ქვეყნის თითქმის მესამედია) მიიღო რეზოლუცია ლგბტ-ისგან თავისუფალი ზონების შექმნის შესახებ.** აღშფოთდა და გადაირია ამის გამო ევროკომისიის თავმჯდომარე **ურსულა ფონ დერ ლაიენი:** ლგბტ-ისგან თავისუფალი ზონები არის ადამიანურნობისგან თავისუფალი ზონები, მათ არ აქვთ ადგილი ჩვენს კავშირშიო.

ხოლო, როცა საფრანგეთში გადაწყვიტეს მრავალცოლიანობის წინააღმდეგ კანონის მიღება, ისეთი აურზაური ატყდა, რომ ხელისუფლებამ სასწრაფოდ უკან დაიხია და განმარტა, რომ ჩვენ მხოლოდ ისეთი შემთხვევების წინააღმდეგ გამოვდივართ, როცა პოლიგამია იძულებითიაო.

იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი ხელისუფლება არასდროს აღმოჩნდება ასეთ ორჭოფულ მდგომარეობაში.

## საით ჯხვალ?

„ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს“, რაც, როგორც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა 17 დეკემბერს, წმ. ბარბარეს დღესასწაულის დღეს სიონის საკათედრო ტაძარში განაცხადა, „დღეს ჩვენ ვითხოვთ მშვიდობას, სიხარულს, ქრისტიანული რწმენის განმტკიცებას, სიმშვიდეს გულში, გონებაში, სულში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ღმერთი შეისმენს ჩვენს ლოცვას“.

და სრულიად საქართველოს მართლმადიდებლურ მრევლს წარუდგინა მის მიერ დაწერილი ლოცვა:

**„მამაო ჩვენო, ღმერთო აბრაამისა, ისააკისა და იაკობისა, დიდება და მადლობა შენ! უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს სახელით, მისი მეოხებითა და შუამდგომლობით გევედრებით, გარდამოიხილე ზეცით მოწყალეო, შეგვინდევ შეცოდებანი ჩვენნი, მოგვეც ძალა ბოროტის დათრგუნვისა და სიმართლის გზით სვლისა. მოგვეც ძალა შენი მორჩილებისა. დაგვილოცე ოჯახები, შვილები და შვილიშვილები, ჩვენი ახლობლები, დაგვილოცე საქართველო და მთელი მსოფლიო. შენნი ვართ, გვაცხოვნე ჩვენ. შეგთხოვთ, უფალო, დაამშვიდე ცხოვრება ჩვენი. გვიხსენ ჭირთა და სენთაგან და მრავალფერთა განსაცდელთაგან. შეგთხოვთ, უფალო, არა უგულვებელყო ჟამსა მას მეორედ მოსვლისა შენისასა, არამედ გვიხაროდეს ორსავ სოფელსა შინა და მარად გადიდებდეთ შენ — მამასა, ძესა და წმინდასა სულსა. ამინ!“**

**არმაზ სანებლიძე**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სიზმრის სიზმრებში თუ გადახვალ, მერე, რამდენ ახალ სიზმარშიც ხარ შესული, ზუსტად იმდენჯერ თუ არ გამოგეღვიძა, მუდმივად სიზმარში ჩარჩები. ამგვარ უცნაურ მდგომარეობაშია ქართველი ხალხი, რომელსაც აღარც ის ახსოვს, დასავლეთის მერამდენე სიზმარშია უკვე გადასული და აღარც ის იცის, თუ რამდენი გამოღვიძება სჭირდება რეალობაში დასაბრუნებლად. ამასობაში ოცდაცხრა წელიწადი გასულა თბილისში სამოქალაქო ომის გაჩაღებიდან.**

# «ოქროს კვეთა»



## ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია

### ოცდამეთოთხმეტე გადაცემა

# სიზმრის სიზმარი

**ვალერი კვარაცხელია:** — გამარჯობა, ძვირფასო მაყურებელო, ეთერშია „ოქროს კვეთა“, რომელსაც, როგორც ყოველთვის, გავუძღვები მე — ვალერი კვარაცხელია.

დეკემბრის ბოლო კვირა ქართველ ხალხს დიდხანს გაახსენებს ოცდაცხრა წლის წინანდელ, 1991 წლის ბოლო კვირას, როდესაც საქართველოში სამოქალაქო ომი გაჩაღდა.

— რა სამოქალაქო ომი? — ამიყვირდება ვილაც, — მოღალატეებმა კანონიერი ხელისუფლება ჩამოაგდეს, რა შუაშია სამოქალაქო ომი?

კი, ბატონო, რაკი ასე გსურთ, ასე იყოს, მაგრამ იმ მოღალატეებს ხალხის ნაწილი ხომ უჭერდა მხარს? **ის უბედურება, რომელიც იმხანად საქართველოს დაატყდა თავს, სამოქალაქო ომი კი არა, ისეთი ფუნდამენტური სამოქალაქო დაპირისპირებისთვის დადებული სათავე იყო, რომელიც ოცდაცხრა წლის გასვლის შემდეგაც არ არის დამთავრებული. მაშინ სიძულვილით ორ ნაწილად გაყოფილი საქართველო დღემდე გაყოფილია და დაყოფილია, ოღონდ უკვე არა ორ ნაწილად, არამედ ბევრ ნაწილად. საქართველო დღემდე სიძულვილით სავსე ქვეყანაა, ყოვლისმომცველი და უკიდეგანო სიძულვილით პირთამდე სავსე ქვეყანა, სადაც ხალხი მრავალი ნიშნითაა ერთმანეთთან დაპირისპირებული:**

ზვიადისტები; შევარდნაძისტები; მიშისტები; ბიძინისტები; ეროვნულ ღირებულებებზე ორიენტირებულნი და დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებულნი; აშშ-ზე ორიენტირებულნი და რუსეთზე ორიენტირებულნი; მემარცხენეები, მემარჯვენეები და ა.შ.

ბევრი ასეთი ჯგუფის გამოყოფა შეიძლება.

უმრავლეს შემთხვევაში ამ ჯგუფებს აერთიანებთ არა ცოდნაზე დაფუძნებული და მსოფლმხედველობით განმტკიცებული პოლიტიკური პოზიციები, არამედ აკვიატების დონეზე ჩამოყალიბებული კერპებისა და იდეების მიმართ წარმართული ეპოქისთვის დამახასიათებელი ერთგულების სადღეისოდ სრულიად გაუგებარი გამოვლენა...

**სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალისტური სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ, სახელმწიფოს, რომელშიც არ არსებობდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის პირობები და საფუძვლები, მიღწეული იყო თანასწორობა და აღმოფხვრილი იყო უმუშევრობა, უფასო იყო ჯანდაცვისა და განათლების სისტემები და სიმბოლური ფასები ჰქონდა ენერგომატარებლებს, ტრანსპოტს, კომუნალურ მეურნეობას, ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი იყო საერთო სახალხო დოვლათიდან თავისი კუთვნილი წილი, ამერიკაში გამოგონილი და მრავალ ქვეყანაში წარმატებით გამოყენებული „ფერადი რევოლუციით“ ვერ დაანგრევდნენ. ამერიკელებმა ეს ამბავი შესანიშნავად იცოდნენ და ამიტომაც სრულიად განსხვავებულსა და მხოლოდ საბჭოთა კავშირისთვის მისადაგებულ სტრატეგიასა და ტაქტიკას ამუშავებდნენ.** მათ შეტევა ორი მიმართულებით განახორციელეს:

**1.** საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელისუფლებაში (პოლიტბიუროს დონეზე) თავიანთი აგენტურის მოყვანა და სახელმწიფოში ძირგამომთხრელი საქმიანობის გაჩაღება;

**2.** სხვაგვარად მოაზროვნეების (ე.წ. დისიდენტების) მომრავლებით, საზოგადოების სხვადასხვა ფენაში მათი ჩანერგვით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცნობიერებაში გლობალური უკმაყოფილების გამოწვევა.

ეს საბჭოთა კავშირის დასაშლელად გამიზნული ორი მთავარი სტრატეგიული მიმართულება იყო.

ორივე საკმაოდ რთული განსახორციელებელი იყო, მაგრამ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 1980-იანი წლებისთვის მას ორივე ეს ამოცანა უკვე შესრულებული ჰქონდა. 1985 წელს საბჭოთა კავშირის სათავეში მოიყვანეს **მიხეილ გორბაჩოვი,** რომელმაც საბჭოთა კავშირის იდეოლოგია აშშ-ის დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს (ცსს-ს) ნომრიან აგენტ **ალექსანდრე იაკოვლევს,** საგარეო საქმეთა სამინისტრო კი ცსს-ს ასევე ნომრიან აგენტ **ედუარდ შევარდნაძეს** ჩააბარა. რაც შეეხება ე.წ. საბჭოთა დისიდენტების მომრავლების საკითხს, ეს საქმე ჯერ კიდევ ხრუშჩოვის დროიდან იყო მოგვარებული. ისინი სარეველასავით მოამრავლეს. მართალია, დასდევდნენ, უთვალთვალებდნენ, აპატიმრებდნენ, მაგრამ დისიდენტობა ამით არაფერს კარგავდა, პირიქით, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი და სოციალისტური სისტემა ხელოვნურად შექმნილი პრობლემების ფონზე ავტორიტეტსა და საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერას კარგავდა, ეს ე.წ. სხვაგვარად მოაზროვნეები ძალას იკრებდნენ და პოპულარობას იხვეჭდნენ.



ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ გორბაჩოვი, ალექსანდრე იაკოვლევი (მარცხნივ) და ბეიკერი და ჯორჯ ბუში უფროსი (მარჯვნივ)

**საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ასე შეიკრა ამერიკული ვერაგული წრე — მაღლა ცსს-ს აგენტურა გორბაჩოვის გუნდის სახით, დაბლა ცსს-ს აგენტურა დისიდენტების სახით. და დაიწყო საბჭოთა ხალხის საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ფორსირებული იერიში ამ ვითომ ერთმანეთთან დაპირისპირებული, მაგრამ ერთი საქმის სამსახურში ჩამდგარი და ერთი (ამერიკული) ხელიდან მართული ორი ძალისა.** რაში ვლინდებოდა თუნდაცფორმალური დაპირისპირება გორბაჩოვის გუნდსა და საბჭოთა დისიდენტებს შორის? გორბაჩოვი და მისი გუნდი საბჭოთა სახელმწიფოს არა დასაშლელად, არამედ გარდასაქმნელად თუ ილვწოდა (ასე იყო დეკლარირებული), დისიდენტები საბჭოთა კავშირის დაშლას, ანუ სოციალისტური მონაპოვრის (სამართლიანობა, თანასწორობა და მოსახლეობის სოციალური დაცვის იქამდე არნახული პაკეტი) ლიკვიდაციას მოითხოვდნენ, ვინაიდან ყოველივე ამაზე მაღალ ღირებულებას ისინი სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტსა და ეროვნულ დამოუკიდებლობაში ხედავდნენ, რომელსაც, მათი აზრით, მოკლებულნი ვიყავით. ეროვნულ თავისუფლებას არამარტო მათი აზრით, არამედ ობიექტურადაც მოკლებულნი ვიყავით, ვინაიდან მთელი რიგი უფლებებისა მოკავშირე რესპუბლიკებს დელეგირებული ჰქონდათ ცენტრალურ ხელისუფლებაში, მაგრამ, მეორე მხრივ, ასეთი ტიპის სახელმწიფოებრივი მოწყობა (კავშირი) იყო ის მექანიზმი, რომელიც, უძლიერესი მტრული კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში, სოციალისტური სისტემის უსაფრთხო არსებობის გარანტიებს ქმნიდა. **აშშ-დან მართულმა დისიდენტებმა და მათ ფეხის ხმას აყოლილმა ავანტიურისტულმა ნაწილმა საზოგადოებისა ხალხი ასეთი არჩევანის წინაშე დააყენეს: ან სოციალისტური მონაპოვარი, ან თავისუფლება. იმის გამო, რომ სოციალისტური მონაპოვარი უფრო მატერიალური ხასიათის იყო, ხოლო თავისუფლება ამაღლებული სულიერი კატეგორიაა, რომელიც ყველა დროში უმაღლეს ღირებულებადაა მიჩნეული, უმრავლესობამ არჩევანი, ბუნებრივია, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის სასარგებლოდ გააკეთა — სოციალისტური სიკეთე თავისუფლებას მსხვერპლად შესწირა.**

მთელი ვერაგობა გორბაჩოვის გუნდისა და დისიდენტების ერთობლივი მოღვაწეობისა და ერთობლივი იერიშისა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე იმაში მდგომარეობდა, რომ ეს ერთობლიობა დაფარული იყო. ისინი ერთმანეთს ჯიბრში ედგნენ, ერთმანეთს მუშტებს უღერებდნენ და ერთმანეთთან მტრულ დამოკიდებულებას დაუფარავად ავლენდნენ. როგორც უკვე აღვნიშნე, **დისიდენტებს დევნიდნენ, აპატიმრებდნენ, მაგრამ მდევარნიც და დევნილნიც ერთი წერტილიდან იმართებოდნენ და ერთი ხელიდან იკვებებოდნენ.** ერთ-ერთი ამერიკელი მკვლევარი, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი **ჰერბერტ შილერი** ამასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს:

**ჰერბერტ შილერი,** კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი: — საზოგადოებრივ ცნობიერებაზე მანიპულაციით წარმატების მიღწევის მთავარი პირობაა, მანიპულაცია დარჩეს დაფარული. მანიპულაცია მხოლოდ მაშინ აღწევს მიზანს, როდესაც მანიპულირებულს სჯერა, რომ ის, რაც ხდება, ბუნებრივი და გარდაუვალი პროცესია, ხოლო თვითონ ფაქტი მანიპულაციისა მანიპულაციის ობიექტისთვის შეუმჩნეველია. ერთი სიტყვით, ცნობიერებაზე მანიპულაციისთვის აუცილებელია ყალბი გარემო, რომელსაც მანიპულირებული რეალობად მიიჩნევს.

**ვალერი კვარაცხელია:** — რა იყო მანიპულაციის ობიექტისთვის (ქართველი ხალხისთვის) შეუმჩნეველი და დაფარული? ბევრი რამ, რომელთა შორის უმთავრესი იყო შემდეგი:

1. თავისუფლება, რომლისთვისაც საქართველო ვითომ იბრძოდა, ილუზორული იყო. არავინ არ იბრძოდა საქართველოს თავისუფლებისთვის. ყველა — აშშ, ევროპა, საბჭოთა ხელმძღვანელობა და საბჭოთა დისიდენტები — იბრძოდა არა იმისთვის, რომ რესპუბლიკებს თავისუფლება მიეღოთ, არამედ საბჭოთა კავშირის დასაშლელად. მართალია, დისიდენტები საბჭოთა კავშირის დაშლის პარალელურად რესპუბლიკების თავისუფლებაზეც გაჰყვიროდნენ, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლა და რესპუბლიკების განთავისუფლება ერთი და იგივე არ იყო. **რესპუბლიკების განთავისუფლებისკენ მოწოდება იყო გზა და საშუალება საბჭოთა კავშირის დასაშლელად, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლა, თავის მხრივ, იყო გზა და საშუალება არა რესპუბლიკების განთავისუფლებისა, არამედ აშშ-ის მიერ მათი მიტაცებისა. აი, სად იყო ძაღლის თავი დამარხული. დეკლარირებული მიზეზი დეკლარირებულ მიზანს არ ემთხვეოდა და დეკლარირებული მიზანი — დეკლარირებულ შედეგს.** ყველაფერი ერთმანეთს აცდენილი იყო, ანუ ეს იყო ხელოვნურად დეფორმირებული რეალობა, რომელშიც მხოლოდ ფარული მიზანი ემთხვეოდა ფარულ შედეგს. **ქართველები როდესაც გავყვიროდით, — თავისუფალ საქართველოს გაუმაააარ... ჟოს! სინამდვილეში სხვა რამეს გავყვიროდით, — საბჭოთა კავშირის დაშლას, სამართლიანი სოციალისტური სისტემის ნგრევასა და საქართველოს აშშ-ის კლანჭებში მოქცევას გაუმაააარ... ჟოს! ეს იყო იმ ყვირილის რეალური შინაარსი. დისიდენტები ამას არც მალავდნენ. მათ ორიენტაცია თავისუფლებისკენ კი არა, დასავლეთისკენ ჰქონდათ აღებული.** ყველაფერი დასავლურის გაფეტიშებას, დასავლური ცხოვრების წესის ამქვეყნიურ სამოთხედ აღიარებასა და გამოცხადებას ისინი არასოდეს მორიდებიან, მაგრამ მაშინ საქართველოს ამის გაგება არ შეეძლო. საქართველო ისე იყო აღტყინებული და გაბრუებული თავისუფლებით, რომ ამ მაცდური სიტყვის მიღმა დასავლურ ვერაგობას ვერც დაინახავდა და ვერც იგუმანებდა. **ხომ აგვიხსნა იმ კაცმა, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა, — საზოგადოებრივ ცნობიერებაზე მანიპულაცია რომ განხორციელდეს, ამისთვის აუცილებელია მანიპულაციის ობიექტს (ხალხს) ეგონოს, რომ ყალბი გარე-**

▶

**საქართველოს მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, გორბაჩოვის გუნდისა და საბჭოთა დისიდენტების ერთობლივი მოღვაწეობის შედეგები კატასტროფულია. საბჭოთა კავშირი დაიშალა, სოციალისტური სისტემა დაინგრა, მაგრამ საქართველომ ნანატრი თავისუფლება ვერ მოიპოვა. დღეს საქართველო დასავლეთის ყოველმხრივ დანგრეულ-დაქცეული და პატივაყრილი კოლონიაა, ქართველები კი მოტყუებული ხალხი ვართ. ხალხი, რომლის ქვეცნობიერშიც ხელოვნური შეღწევა განხორციელდა და ჩანერგილი დასავლური იდეა-ვირუსი ტოტალურად განვითარდა.**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀მო და ვითარება, რომელშიც ცხოვრობს, ნამდვილიაო.**

**2.** დაპირისპირება დასავლეთსა და საბჭოთა „ვერხუშკას“ შორის ყალბი და მოჩვენებითი იყო. ისინი ერთმანეთის მტრები არ ყოფილან. ისინი საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლაში შენიღბული, მაგრამ ერთმანეთის საიმედო პარტნიორები იყვნენ.

**3.** დაპირისპირება საბჭოთა „ვერხუშკასა“ და საბჭოთა დისიდენტებს შორისაც ყალბი და მოჩვენებითი იყო. ისინიც ერთმანეთისთვის დასავლეთიდან დანიშნული პარტნიორები იყვნენ, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის, სოციალისტური სისტემის დანგრევისა და საბჭოთა ხალხის გაუბედურების ერთ „დიად“ მიზანს ემსახურებოდნენ.

ვინმემ აგვიხსნას, რით იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ედუარდ შევარდნაძე** ქართველ საბჭოთა დისიდენტებზე ნაკლები, თუკი იგი ჯერ კიდევ 1984 წელს (გარდაქმნის დაწყებამდე) საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტ **თენგიზ აბულაძეს** უაღრესად ანტისაბჭოთა ფილმ „მონანიებას“ უკვეთდა და ფილმის გადასაღებად პარტიზანულ გზებსაც თავადვე ეძებდა. ქართველ საბჭოთა დისიდენტებს, ერთად აღებულს, იმის მეათედი ან მეასედი რა ზიანი მიუყენებიათ საბჭოთა კავშირისთვის, რაც ამ ერთმა ფილმმა მიაყენა?! **რომელ დისიდენტს, თუნდაც იგი აკადემიკოსი ანდრეი სახაროვი ყოფილიყო, შეეძლო იმდენი ზიანის მიყენება საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სისტემისთვის, რამდენი ზიანიც საბჭოთა კავშირის პოლიტბიუროს წევრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ მიაყენა?!** ჰოდა, გამაგებინეთ, საბჭოთა კავშირის დაშლას ვინმეს თუ უნდა ვუმადლოდეთ, პირველ რიგში (გორბაჩოვზე არაფერს ვამბობ), შევარდნაძეს არ უნდა ვუმადლოდეთ?! რაღაცაში ხომ უნდა ვიყოთ ლოგიკური და თანამიმდევრული. **საბჭოთა კავშირი და სოციალისტური სისტემა ვინც დაანგრია, ის თუ გმირია, ასეთ შემთხვევაში გმირობას ედუარდ შევარდნაძეს ქართველთაგან ვერავინ შეეცილება, რადგან იგი იყო ქართველთა შორის ყველაზე გავლენიანი ადამიანი, ჯერ რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც წლების განმავლობაში ეწეოდა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სისტემის ძირგამომთხრელ საქმიანობას** (გაიხსენეთ მისი ყბადაღებული ექსპერიმენტები აბაშაში, ფოთში და ახლა, ამ გადასახედიდან მაინც მიხვდებით, რომ ეს ყველაფერი საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ მიმართული მტრული ქმედებები იყო), მერე კი პოლიტბიუროს წევრი და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელმაც დაუნდობლად, გააფთრებით, მთელი მისი თანამდებობრივი შესაძლებლობების გამოყენებით იბრძოლა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ.

საზოგადოების გარკვეულ ნაწილს დღემდე სჯერა, რომ საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სისტემის ნგრევა საქართველოსთვის დადებითი მოვლენა იყო. ამ წუთს თავი დავანებოთ იმაზე კამათს, სწორია თუ არა ასეთი მიდგომა და ის გავიაზროთ, ამგვარი მიდგომის შემთხვევაში რატომ არ უნდა მიაგებდე პატივს შევარდნაძეს, რომელმაც მთელი საბჭოთა პოლიტიკურ-დიპლომატიური არქიტექტურა მიწასთან გაასწორა, და რატომ უნდა მიაგებდე პატივს, ვთქვათ, **ირაკლი წერეთელს,** რომელმაც მხოლოდ ის მოახერხა, რომ ჩაქუჩით დაამტვრია აკადემიკოს **შჩუსევის** არქიტექტურული შედევრის, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობის ფასადი, რომელიც ბრწყინვალე მხატვრებისა და მოქანდაკეების — **იაკობ ნიკოლაძისა** და **თამარ აბაკელიას** მიერ იყო გამოძერწილი?! ისტორიისადმი, ფაქტებისა და მოვლენებისადმი ასეთი უცნაური მიდგომა ქართველი ხალხის სრულ პოლიტიკურ დაბნეულობასა და ბუნდოვან ეროვნულ სიზმარში უთავბოლო ბორიალზე არ მეტყველებს?! **მნგრეველს თუ უკმევ, ჯერ მთავარ მნგრეველს უკმიე და მერე — დანარჩენებს. და პირიქით, მნგრეველს თუ განიკითხავ, ამ შემთხვევაშიც ჯერ მთავარი მნგრეველი განიკითხე და მერე — დანარჩენი.** ესაა ლოგიკა და სწორი მიდგომა, მაგრამ საქართველოს არა მხოლოდ მნგრეველთა და მშენებელთა იერარქია აერია, იგი ისე შორს წავიდა, რომ ერთი და იგივე საქმის კეთებისთვის ერთს დაფნის გვირგვინს უწნავს, მეორეს კი ლაფს ასხამს, ეს, საერთოდ, ახალი (მხოლოდ ქართველებისთვის დამახასიათებელი) მიდგომაა. **დიდი საბჭოთა დისიდენტი შევარდნაძე გძულდეს და პატარა საბჭოთა დისიდენტების ხატს გულით დაატარებდე, იმგვარი პოლიტიკური აბსურდია, გამართლება კი არა, ყასიდა ახსნაც რომ არ აქვს. ნუ გაიგებთ ისე, თითქოს შევარდნაძეს ვიცავ. შევარდნაძე და ყველა საბჭოთა დისიდენტი ჩემთვის ერთნაირად მიუღებელია, რადგან მათ (საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სისტემის დანგრევით) საქართველო დამინგრიეს. მე ლოგიკასა და მსოფლმხედველობრივ არათანმიმდევრულობაზე, ანუ სრულ პოლიტიკურ სიბეცეზე მოგახსენებთ.** რა ისეთი პოლიტიკური დომხალი უნდა გქონდეს თავში, რომ ერთდროულად სტალინის პიროვნების დამფასებელიც იყო და მისი პოლიტიკური ანტიპოდისა და მსოფლმხედველობრივი მტრის — **ზვიად გამსახურდიას** მეხოტბედაც გვევლინებოდე?! მე არ მიკვირს, სტალინს ან გამსახურდიას პატივისმცემელი და დამფასებელი რომ ჰყავთ. ისტორიულ პიროვნებებს დამფასებლებიც ეყოლებათ და კრიტიკოსებიც, მაგრამ **ჩემ გაოცებას სტალინისა და გამსახურდიას ერთდროული აღიარება იწვევს. რანაირად შეიძლება, რომ სოციალისტური საბჭოთა სახელმწიფოს მშენებელ სტალინსა და იმ სახელმწიფოსა და**

**თავისუფლება აღარავის ახსოვს. მას ახლა ხან ნატო ჰქვია, ხან — ევროკავშირი, ხან — ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობა, ხან — სამივე ერთად, თუმცა არც ნატო ჩანს სიახლოვეს, არც ევროკავშირი და არც ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობა; ჩანს მხოლოდ მირაჟი, მხოლოდ სიზმარი და გამოღვიძებას საშველი არ დაადგა. მეტიც, გამოღვიძების ნაცვლად ხალხი ახალ, უფრო ღრმა სიზმარში, თუ შეიძლება ასე ითქვას, სიზმრის სიზმარში, მის მეორე, მესამე შრეში ისე ღრმად იძირება, რომ რეალობასთან კავშირს საბოლოოდ სწყდება**



ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ გორბაჩოვი, ჯორჯ ბუში უფროსი (მარჯვნივ) და ჯეიმს ბეიკერი

**იმ სისტემის დაუძინებელ მტერ გამსახურდიას ერთდროულად და ერთნაირად ეთაყვანებოდე?! რა ბუნდოვანი წარმოსახვა უნდა გქონდეს, რომ ერთი საქმის მკეთებელი ისტორიული პიროვნებები ერთმანეთთან დაპირისპირებულად წარმოიდგინო ან ერთმანეთის საწინააღმდეგო პოლუსები გვერდიგვერდ დააყენო?!**

გორბაჩოვის გუნდის წევრები და საბჭოთა დისიდენტები ერთი მიმართულების პოლიტიკური ფიგურები რომ იყვნენ, ამის გარკვევა ოცდაათი წლის გასვლის შემდეგაც თუ ვერ შეძელი, „ფეისბუკის“ დონეზეც კი არ უნდა ბოდიალობდე პოლიტიკაში, მაგრამ საქართველოში სხვა ვინ ან რა ემორჩილება ლოგიკას, ეს საქმე რომ დაემორჩილოს?! **არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, პიროვნულად უყვარდათ თუ სძულდათ ერთმანეთი გორბაჩოვის გუნდის წევრებსა და საბჭოთა დისიდენტებს, ვთქვათ, შევარდნაძესა და გამსახურდიას. ეს არ ცვლის რეალობას იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მათ შინაგანად ერთმანეთი სძულდათ და ერთმანეთის პირადი მტრები იყვნენ, ისინი ერთ საქმეს ემსახურებოდნენ.**

9 აპრილის ტრაგედიამ, რომლის სცენარიც ამერიკაში დაიწერა, გორბაჩოვის გუნდმა და ქართველმა საბჭოთა დისიდენტებმა კი თბილისში ერთად გაითამაშეს, საბოლოოდ ჩაანგრია რუს და ქართველ ხალხებს შორის არსებული ისტორიული ხიდები. საბჭოთა დისიდენტებს იქნებ მართლაც სჯეროდათ, რომ რესპუბლიკები რუს და ქართველ ხალხებს შორის მტრობის გაღვივებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის გზით თავისუფლებას მოიპოვებდნენ, მაგრამ არც ეს ცვლის ვითარებას. პოლიტიკურ სარბიელზე მთავარი ის კი არ არის, ვის რომელი ზღაპრის სჯეროდა ან, თუნდაც, ვის მეტად უყვარდა სამშობლო, მთავარი ისაა, ვინ რა შედეგი მოუტანა ქვეყანას!

**საქართველოს მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, გორბაჩოვის გუნდისა და საბჭოთა დისიდენტების ერთობლივი მოღვაწეობის შედეგები კატასტროფულია. საბჭოთა კავშირი დაიშალა, სოციალისტური სისტემა დაინგრა, მაგრამ საქართველომ ნანატრი თავისუფლება ვერ მოიპოვა. დღეს საქართველო დასავლეთის ყოველმხრივ დანგრეულ-დაქცეული და პატივაყრილი კოლონიაა, ქართველები კი მოტყუებული ხალხი ვართ. ხალხი, რომლის ქვეცნობიერში ხელოვნური შეღწევა განხორციელდა და ჩანერგილი დასავლური იდეა-ვირუსი ტოტალურად განვითარდა.** ვირუსს ჯერ თავისუფლება ერქვა, მაგრამ მის მიერ განცდილი მუტაციის შემდეგ, თავისუფლება აღარავის ახსოვს, მას ახლა ხან ნატო ჰქვია, ხან — ევროკავშირი, ხან — ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობა, ხან — სამივე ერთად, თუმცა არც ნატო ჩანს სიახლოვეს, არც ევროკავშირი და არც ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობა; ჩანს მხოლოდ მირაჟი, მხოლოდ სიზმარი, გამოღვიძებას კი საშველი არ დაადგა. მეტიც, გამოღვიძების ნაცვლად ხალხი ახალ, უფრო ღრმა სიზმარში, თუ შეიძლება ასე ითქვას, **სიზმრის სიზმარში,** მის მეორე, მესამე შრეში ისე ღრმად იძირება, რომ რეალობასთან კავშირს საბოლოოდ სწყდება. ჩვენ რეალობას მოწყვეტილი და სიზმრის სიზმარში ჩაძირული თაობა ვართ, რომელსაც რეალობაში დასაბრუნებლად ერთი გამოღვიძება უკვე არ გვეყოფა.

დიდებულ პოეტს, **ვახტანგ ჯავახაძეს,** აქვს ერთი საინტერესო ლექსი — „სიზმარი“, რომლის პირველი და ბოლო სტროფები ასეთია:

**წუხელ სიზმარში სიზმარი ვნახე,**
**სიზმრის სიზმარი... და გამიკვირდა:**
**შენი ისედაც ფერმკრთალი სახე**
**უფრო ფერმკრთალი ჩანდა იქიდან.**
**. . .**
**სიზმრის სიზმარმაც ვერ დამამშვიდა,**
**ჩამესმა შორი ექო მეხისა,**
**გამომეღვიძა ჯერ სიზმარში და**
**მერე ნამდვილად გამომეღვიძა.**

სიზმრის სიზმრებში თუ გადახვალ, მერე რამდენ ახალ სიზმარშიც ხარ შესული, ზუსტად იმდენჯერ თუ არ გამოგეღვიძა, მუდმივად სიზმარში ჩარჩები. ამგვარ უცნაურ მდგომარეობაშია ქართველი ხალხი, რომელსაც აღარც ის ახსოვს, დასავლეთის მერამდენე სიზმარშია უკვე გადასული და აღარც ის იცის, თუ რამდენი გამოღვიძება სჭირდება იმისთვის, რომ რეალობას დაუბრუნდეს. ამასობაში ოცდაცხრა წელიწადი გასულა თბილისში სამოქალაქო ომის გაჩაღებიდან...

**P. S.** აკვანში მშვიდად მძინარე ყრმას ფრთხილად ვეხები ფაფუკ თმებზე.

— გაიღვიძე, პატარავ, გაახილე შენი ლამაზი თვალები...

იქვე, განიერ საწოლზე წევს ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა ცოლ-ქმარი — მშობლები აკვანში მწოლარე ჩვილისა. მათთანაც მივდივარ.

— გაიღვიძეთ, ახალგაზრდებო, გაიღვიძეთ, თქვენი ჭირიმე. სიზმარში სხვა საქართველოს ხედავთ, აქ კი სხვა საქართველოა, საქართველო, რომელიც ჭაობში იძირება...

ოდნავ მოშორებით, ძველებურ ტახტზე წვერგაფანჩული მოხუცი წევს — აკვანში მწოლარე ჩვილის ბაბუა. იმასაც ღრმა ძილით ძინავს. ფრთხილად ვეხები მხარზე...

— გაიღვიძე, მეგობარო. გაიღვიძე, გამოცდილო კაცო. ვინ იცის, მერამდენე სიზმრიდან მერამდენე სიზმარში გადასულო, დაანებე თავი მაგ ხილვებს და ნამდვილ საქართველოს შეხედე. შეხედე აყრილ ფუძეს, გაქცეულ ხალხს, შეხედე სოფელს, რომელშიც მამალი აღარ ყივის, ძაღლი არ ყეფს, ძროხა არ ბღავის... შეხედე უამრავი უსახური და მაღალი შენობით დამძიმებულ ქალაქს, რომელშიც გადამთიელები ბინებს ყიდულობენ, რათა გარკვეული დროის შემდეგ ერთად მოედონ ჩვენს ქვეყანას, ჰო, ნაყიდი ბინებით, ნაყიდი მიწებით, ნაყიდი მოქალაქეობით, ნაყიდი პასპორტებით, ანუ კონსტიტუციურად, რა... გაიღვიძე, რა დროს ძილია, ეს ოხერი?!

არც ერთი არ განძრეულა. ყრმასაც, ახალგაზრდა მშობლებსაც, წვერგაფანჩულ მოხუცსაც ღრმა ძილით ეძინათ.

— უცნაურია, — გავიფიქრე, — უცნაურია ამდენი ძილი!

ფეხაკრეფით გამოვედი გარეთ. საქართველო შემომეგება, მთაგორიანი, უსწორმასწორო, მაგრამ ღვთაებრივად ლამაზი, აი, ისეთი, აკაკიმ რომ თქვა, — ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო.

ეს გავიფიქრე და... გამომეღვიძა. ისევ იქ ვიდექი.

— ნეტავ, რომელი გამოღვიძება იყო: სიზმრიდან წინა სიზმარში გადმონაცვლებისა თუ სიზმრიდან რეალობაში გადმოსვლისა? — საკუთარ თავს ვკითხე, მაგრამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდა...

**ვ.კ.**

ჩაკურსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როდესაც ასეთი მძიმე ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე ვდგებით, რომელ ევროპულ ნათელ მომავალსა და კომკავშირულ ლოზუნგებზეა საუბარი?! ასეთი ფრთიანი ფრაზებითა და ბრტყელ-ბრტყელი განცხადებებით აპირებენ ესენი, კვებონ საზოგადოება?! სხვათა შორის, ჰუმანიტარულ კატასტროფაზე ვსაუბრობთ და დაახლოებით ერთი კვირის წინათ რუსეთის ფედერაციამ გაავრცელა განცხადება, რომ გადადის ხორბლის ექსპორტის კვოტირების რეჟიმზე. ეს ნიშნავს იმას, რომ ადრინდელივით ადვილი აღარ იქნება რუსეთის ფედერაციიდან ხორბლის გატანა“.**



## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# ამ ყველაფერმა საქართველო არც ისე შორეულ მომავალში შეიძლება მშიერ ბუნტამდე მიიყვანოს

**18 დეკემბერს პრემიერმინისტრობის კანდიდატმა გიორგი გახარიამ, საქართველოს კონსტიტუციისა და პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, მეათე მოწვევის პარლამენტს სამთავრობო პროგრამა წარუდგინა. დოკუმენტი სახელწოდებით „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, რომლის შესახებაც საკანონმდებლო ორგანოში უახლოეს მომავალში იმსჯელებენ, პირველ რიგში, პანდემიით გამოწვეული კრიზისის დაძლევას, ეკონომიკის სწრაფ აღდგენას, განვითარებასა და სტრუქტურული რეფორმების გაგრძელებას ითვალისწინებს. „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ ძირითადი მიზანია პანდემიით შექმნილი კრიზისის დაძლევა, ეკონომიკის სწრაფი აღდგენა და განვითარება, თითოეული მოქალაქისთვის სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნა, სტრუტურული რეფორმების გაგრძელება. პარალელურად, ქვეყანა კვლავ გადადგამს ნაბიჯებს დემოკრატიის კონსოლიდაციისა და საგარეო ასპარეზზე ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ. შემდგომი წლების ძირითადი ამოცანა იქნება ქვეყნის ინსტიტუციური, ეკონომიკური და სოციალური მომზადება 2024 წელს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრობისთვის განაცხადის გაკეთებისთვის“, — აღნიშნულია მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**

ზემოაღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, ახალი სამთავრობო გუნდის ძალისხმევა მიმართული იქნება შემდეგ საკითხებზე: საგარეო პოლიტიკა — უსაფრთხოება, კონფლიქტების მოგვარება და ადამიანის უფლებები; ეკონომიკური განვითარება; სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება; სახელმწიფო მმართველობა.

**საფუძვლიანია თუ არა გიორგი გახარიას მიერ წარმოდგენილი ახალი სამთავრობო პროგრამა და შეძლებს თუ არა მომავალი მთავრობა მის განხორციელებას, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, 18 დეკემბერს პრემიერმინისტრობის კანდიდატმა გიორგი გახარიამ მეათე მოწვევის პარლამენტს წარუდგინა სამთავრობო პროგრამა „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“. დოკუმენტში აღნიშნულია მისი უმთავრესი მიზანი — პანდემიით გამოწვეული კრიზისის დაძლევა, ეკონომიკის სწრაფი აღდგენა და განვითარება, თითოეული მოქალაქისთვის სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნა და სტრუქტურული რეფორმების გაგრძელება... პოლიტიკურ სპექტრში ამ პროგრამას არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა... რეალურია ამ დოკუმენტის განხორციელება?**

— პირველი, რასაც მინდა, ხაზი გავუსვა, არის ის, რომ ბატონ გახარიას მიმართ ჩემი პოზიტიური დამოკიდებულება არასდროს დამიმალავს. პირიქით, ყოველთვის საჯაროდ გამოვხატავ და მიმაჩნია, რომ მოქმედ მთავრობაში თუ ვინმე დადებით შეფასებას იმსახურებს, სწორედ პრემიერია, თუმცა აქ ასევე ხაზგასასმელია ერთი მომენტი — **დღეს, როცა ვხედავთ „ახალ“ სამთავრობო გუნდს, რომელიც სინამდვილეში, ახალი კი არა, დაკომპლექტებულია ძველი კადრებით, სრულიად ნათელია, რომ ეს შემადგენლობა გახარიას არჩევანი არ არის. ეს არ არის გახარიას გუნდი, ეს არის გარკვეული ინერციით გადმოსული ხალხი იმ არაფორმალური მმართველობის პირობებში, რომელსაც ქმნის ერთი პიროვნება — ბიძინა ივანიშვილი.** რისთვის სჭირდება ივანიშვილს ეს ხალხი და რატომ შეაჩერა არჩევანი ისევ მათზე, გასაგებია...

**— რატომ შეაჩერა?**

— ჩემი აზრით, ძალიან მარტივი მიზეზის გამო: იმიტომ, რომ ივანიშვილმა ყველაზე კარგად იცის საკუთარი პოლიტიკური გარემოცვის პოტენციალი და ხედავს, რომ ამ პარლამენტს მომავალი არ უწერია. ეს უკვე თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ეს მთავრობაც არ არის გრძელვადიანი.

**— თქვენი აზრით, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები გარდაუვალია?**

— ყველა კარგად ვხედავთ, რომ რიგგარეშე არჩევნები არის მოცემულობა, რომელსაც ვერსად გაექცევა „ქართული ოცნება“, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, ობიექტური თვალსაზრისით არ არის კარგი ქვეყნისთვის და ამას უკვე ყველა ხვდება, ვინაიდან პანდემიის პირობებში შექმნილი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ფონზე ამას აუცილებლად მოჰყვება რყევები. აი, ეს არის რეალობა, ამიტომ, **ვფიქრობ, წინ გველოდება საკმაოდ მძიმე წელიწადი; და ძალიან მალე, ალბათ, მაისამდე, უკვე გამოიკვეთება ის პერიპეტიები, რომლებიც დაკავშირებული იქნება საპარლამენტო არჩევნების ვადამდე ჩატარებასთან.**

**— დავუბრუნდეთ „ახალ“ სამთავრობო გეგმას. მასში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ უნდა გაგრძელდეს სტრუქტურული რეფორმები, უნდა გაგრძელდეს და გაძლიერდეს დემოკრატიის კონსოლიდაცია და უმთავრესი — 2024 წელს საქართველომ უნდა გააკეთოს განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე. ეს ყველაფერი რეალურია?**

— ცოტა შორიდან დავიწყებ. არ მინდა, რაღაც შეთქმულების თეორიებს დავეყრდნო, მაგრამ, რაც დრო გადის, ყველა კარგად ხედავს, რომ მსოფლიო პოლიტიკური დღის წესრიგი დაკავშირებულია კოვიდ-19-ის მართვასთან. თავისთავად ეს პროცესი არ არის მხოლოდ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება, არამედ ამ ყველაფერმა აშკარა პოლიტიკური შეფერილობა მიიღო. ახლა ამ ყველაფერს რატომ ვუსვამ ხაზს: მთელი რიგი რეგულაციებისა, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკური ელიტების დონეზე ხორციელდება, მიმართულია მოქალაქეთა, როგორც სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებების, ისე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით გარკვეული სტატუსების ცვლილებებისკენ. მეტიც, **მიმდინარეობს საშუალო ფენის გაღატაკების შეუქცევადი პროცესი, რაც გამოიხატება ბიზნესების დახურვაში, გაკოტრებაში და ა.შ. აგერ გამოქვეყნდა კიდეც დასკვნა, რომ მსოფლიოში დასაქმებულ პირთა დაახლოებით 40% რჩება უმუშევარი...**

რაც შეეხება კონკრეტულად საქართველოს და აქ არსებულ ეკონომიკურ ვითარებას, მოგეხსენებათ, ჩვენს ქვეყანას აქვს უზარმაზარი ტურისტული პოტენციალი და, პრაქტიკულად, ყოველი მეორე მოქალაქე, რომელსაც ჰქონდა კრედიტის გამოტანის თუნდაც მცირე შესაძლებლობა, რაიონში, ქალაქში, დაბასა თუ სოფელში აკეთებდა სასტუმროებს. დღეს ეს ყველაფერი გაყინულია და თითოეული ის სასტუმრო გადაქცეულია კოვიდ-სასტუმროდ. ხდება ის, რომ პრაქტიკულად ყოველდღე ადამიანები კარგავენ სამსახურს. აი, ეს არის რეალობა და, **როდესაც ასეთი მძიმე ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე ვდგებით, რომელ ევროპულ ნათელ მომავალსა და კომკავშირულ ლოზუნგებზეა საუბარი?! ასეთი ფრთიანი ფრაზებითა და ბრტყელ-ბრტყელი განცხადებებით აპირებენ ესენი, კვებონ საზოგადოება?! სხვათა შორის, ჰუმანიტარულ კატასტროფაზე ვსაუბრობთ და დაახლოებით ერთი კვირის წინათ რუსეთის ფედერაციამ გაავრცელა განცხადება, რომ გადადის ხორბლის ექსპორტის კვოტირების რეჟიმზე.** ეს ნიშნავს იმას, რომ ადრინდელივით ადვილი აღარ იქნება რუსეთის ფედერაციიდან ხორბლის გატანა. არადა, საქართველო თითქმის ასი პროცენტით დამოკიდებულია რუსულ ხორბალზე. ისე, ძალიან მაინტერესებს, **იმ პირობებში, როცა დიპლომატიური ურთიერთობა არ გვაქვს მოსკოვთან, იმ პირობებში, როცა მოლაპარაკებები არ მიდის და პრაქტიკულად გაწყვეტილია ყველანაირი კავშირები, როგორ აპირებს ხელისუფლება ხორბლის იმპორტის მიმართ არსებული სირთულეების გადალახვას.** ცალკე თემაა ის, რომ ამერიკის პოლიტიკური ისტებლიშმენტი უკვე საჯაროდ აცხადებს რუსეთს თავის პირველ მტრად. ჩვენ ვართ ამერიკის სტრატეგიული პარტნიორები, ნატოსკენ სწრაფვის გაცხადებული პოლიტიკით... არაფერს ვამბობ იმაზე, რომ გვერდით გვყავს ახალი იდეოლოგიური პლატფორმის მქონე უზარმაზარი სახელმწიფო თურქეთის სახით, რომელმაც აზერბაიჯანთან დაამყარა ძალიან ახლო პარტნიორული ურთიერთობა და „დიდი თურანის“ იდეის განსახორციელებლად არაფერს ერიდება...

**— სამთავრობო გეგმის წარდგენისას პრემიერმა რამდენიმეჯერ ახსენა სტრუქტურული რეფორმების გაგრძელების აუცილებლობა. საუბარი იყო რეფორმებზე მთელი რიგი მიმართულებით, მათ შორის სოციალური, დემოკრატიული, პოლიტიკური, ადამიანის უფლებების კუთხით და ა.შ. როგორ ფიქრობთ, ეს რეფორმები მცირედით მაინც არ შეცვლის ქვეყანაში ვითარებას?**

— „ქართული ოცნება“, რვა თუ ცხრა წელია უკვე, ხელისუფლებაშია. ამ ხნის განმავლობაში რამდენი რეფორმა იყო, მაგრამ რამე არსებითად შეიცვალა?! არანაირი ცვლილებები აქ არ არის და არ მგონია, რომ მომავალშიც იქნეს, იმიტომ, რომ ამ არჩევნების შედეგად ჩვენ, ფაქტობრივად, არაფრის ამარა დავრჩით. **გვაქვს უზარმაზარი ვალი, რომელსაც შვიდი მილიარდი დაემატა შარშან და ახლა ემატება კიდევ ორი მილიარდი. რეალურად ჩვენ ახლა შევდივართ დეფოლტის ზონაში და, საქართველო იქნება თუ არა მზად ამ ვალების მომსახურებისთვის, არავინ იცის. ყოველ შემთხვევაში, თუ მზად იქნება, ეს ისევ და ისევ სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირის გაძლიერების ხარჯზე.** აი, ეს არის ის კრიზისი, რომელსაც უკვე თითოეული მოქალაქე გრძნობს საკუთარ მხრებზე, თუმცა, რაც ყველაზე სამწუხაროა, მმართველი გუნდი არათუ მდგომარეობის გამოსწორებაზე არ მუშაობს, ყველანაირად ცდილობს, ეს პროცესები გადაფაროს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კინკლაობით, რომელიც ყველას მობეზრდა... მერწმუნეთ, ამ ყველაფერმა საქართველო არცთუ შორეულ მომავალში იმ სტადიამდე შეიძლება მიიყვანოს, რომლამდეც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე არასოდეს მისულა — ეს არის მშიერი ბუნტი.

რაც შეეხება გამოსავალს, **სიმართლე გითხრათ, ივანიშვილის გარეშე ახლო პოლიტიკურ მომავალს ვერ ვხედავ, ოღონდ ვერ ვხედავ არა იმიტომ, რომ ის დიდი პოლიტიკური მოვლენაა, არა. უბრალოდ, იმიტომ, რომ ობიექტურად ასეა. გამომდინარე აქედან, ვფიქრობ, რომ ივანიშვილი, რომელმაც ჩიხში შეიყვანა ქვეყანა თავისი არასწორი ხედვებითა და მიდგომებით, თვითონ უნდა გამოვიდეს ობრაზცოვის (სერგეი ობრაზცოვი — მოსკოვის თოჯინების თეატრის რეჟისორი, საბჭოთა კავშირის გმირი — ჯ.ჟ.) როლიდან და შემოვიდეს რეალურ პოლიტიკაში რეალური ახალი წინადადებებით, რომლებიც დაფუძნებული იქნება დიდ გეოპოლიტიკურ ცენტრებს შორის საქართველოს მყარი ხიდის როლის განსაზღვრაზე.** ამის პარალელურად, რა თქმა უნდა, უნდა დაიწყოს მზადება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებისთვის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ეროვნულ იდეოლოგიაზე დამყარებული სუბიექტები გაფართოებული ფორმატით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და ამას ხაზი მინდა გავუსვა იმიტომ, რომ **ასეთ პოლიტიკურ კონფიგურაციაში ისეთი დანაშაულებრივი პარტიებისთვის, როგორიცაა „ნაციონალური მოძრაობა“ თავის განაყოფებთან ერთად, ადგილები იქნება ძალიან მცირე.** აი, ასე მესახება არსებულ რეალობაში ერთადერთი გამოსავალი, თუმცა არის თუ არა მზად ამისთვის „ქართული ოცნების“ ლიდერი, სხვა საკითხია. ყოველ შემთხვევაში მე ამას ასე ერთმნიშვნელოვნად და გამოკვეთილად ვერ ვხედავ, ამიტომ საუბარი იმაზე, რომ ახლო მომავალში შეიძლება რამე დადებითი ძვრები მოხდეს, საფუძველს მოკლებულია. ეს, ალბათ, ასე იოლად არ და ვერ მოხდება, რაც ჩვენთვის, როგორც სახელმწიფოსთვის, სრულ უძრაობას ნიშნავს.

**«ვფიქრობ, რომ ივანიშვილი, რომელმაც ჩიხში შეიყვანა ქვეყანა თავისი არასწორი ხედვებითა და მიდგომებით, თვითონ უნდა გამოვიდეს ობრაზცოვის (სერგეი ობრაზცოვი — მოსკოვის თოჯინების თეატრის რეჟისორი, საბჭოთა კავშირის გმირი — ჯ. ჟ.) როლიდან და შემოვიდეს რეალურ პოლიტიკაში რეალური ახალი წინადადებებით, რომლებიც დაფუძნებული იქნება დიდ გეოპოლიტიკურ ცენტრებს შორის საქართველოს მყარი ხიდის როლის განსაზღვრაზე»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„ჰააგის სასამართლოს წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანი იყო, არ გამოეწვიათ შიდა კონფლიქტი, ამიტომაც ძალიან ბევრი რამ სხვანაირად გააკეთეს — ქართველი სამხედროების დაპატიმრება არაფერს მოიტანდა, რადგან ქვეყანას ისედაც ჰყავდა უამრავი დაზარალებული“.

ვერდიქტის მოლოდინში
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ნიკოლოზ ჯეირანაშვილი:

# ჰააგის სასამართლო ქართველებს, ალბათ, არ დაადანაშაულებს, არც რუსებს

**2008 წლის აგვისტოს ომიდან ერთი წლის შემდეგ იმხანად გაეროს სპეციალური წარმომადგენლის, ჰაიდი ტალიავინის, საგამოძიებო დასკვნა გამოქვეყნდა, რომელიც ქართულ ენაზე 2013 წელს ითარგმნა. დასკვნაში ეწერა: „არაპროვოცირებული ღია საომარი მოქმედებები ცხინვალის დაბომბვით დაიწყო საქართველომ, მაგრამ შეუძლებელია, მთელი პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთ მხარეს დაეკისროს“. როგორც ჩანს, ტალიავინის დასკვნაში 2009 წელს ჩაწერილი ეს ფრაზა ვიღაცას არ მოეწონა და 2015 წლის მარტში ჰააგის სასამართლოს პროკურორ ფატუ ბენსუდას ხელმძღვანელობით, 2008 წლის აგვისტოს ომის თაობაზე გამოძიება დაიწყო. ბენსუდა საქართველოში უმალვე ჩამოვიდა და „ქართული ოცნებაც“ გამოძიების უსწრაფესად დასრულებას დაჰპირდა ქართველ ხალხს...**



**რამდენიმე დღის წინათ ჰააგის სასამართლოს მოსამართლედ საქართველოს იუსტიციის მინისტრად წარდგენილი გოჩა ლორთქიფანიძე აირჩიეს, რასაც იუსტიციის ყოფილი მინისტრი თეა წულუკიანი განცხადებით გამოეხმაურა. „ეს სასამართლო აგვისტოს ომის საქმეს იძიებს. კიდევ ერთხელ ვივსები იმედით, რომ ჰააგაში მალე იზეიმებს ქართული სიმართლე, ქართველი ჯარისკაცის, ჩვენი დევნილების, ანწუხელიძის, სოფრომაძისა და სხვების სიმართლე, რომელსაც აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოზე თავდასხმა, ქართველების დევნა, წამება და მკვლელობა ჰქვია. გოჩა, გილოცავ! მადლობა ჩვენს ყველა ელჩს, ვინც ამ წარმატებისთვის ბევრი იშრომა, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერმინისტრს, საგარეო საქმეთა მინისტრსა და სამინისტროს. ვულოცავ საქართველოსა და ჩვენს მომავალ თაობებს ჰააგის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სასამართლოში პირველად ქართველი მოსამართლის არჩევას!“ — დაწერა თეა წულუკიანმა სოციალურ ქსელში.**

**რა აქვს საქართველოს მისალოცი და რას უნდა ველოდოთ ჰააგის სასამართლოსგან აგვისტოს ომზე? — ამ შეკითხვით მივმართეთ ჰოლანდიაში მოღვაწე, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯასტინ ინტერნეიშენალის“ წარმომადგენელ ნიკოლოზ ჯეირანაშვილს, რომელიც წლების განმავლობაში ჰააგის სასამართლოსთან თანამშრომლობდა და ქართულ მხარეს წარმოადგენდა:**

— ჰააგის სასამართლოში 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიება, ფაქტობრივად, დასკვნით ეტაპზეა. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული საგამოძიებო მოქმედებები კვლავ მიმდინარეობს, შეიძლება ჩაითვალოს, რომ გამოძიება დასრულებულია. გვქონდა მოლოდინი, რომ დასკვნა უკვე გასაჯაროვდებოდა, მაგრამ პანდემიის გამო გადაიდო და მომავალი წლის ზაფხულში ყველაფერი ცხადი გახდება, მანამდე კონფიდენციალურია.

**ფატუ ბენსუდამ** გამოძიების დაწყებაზე ავტორიზაცია მოსამართლეებისგან 2015 წლის ოქტომბერში მოითხოვა და 2016 წლის იანვარში მიიღო. ასე რომ, გამოძიება 2016 წელს დაიწყო. ეს გამოძიება ყველაზე „გაჭიანურებული“ გამოძიებაა ჰააგის სასამართლოს ისტორიაში და ამას ჰქონდა თავისი მიზეზები. ჰააგის სასამართლოსთვის ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც აფრიკის რეგიონების გარეთ მოუწიათ გამოძიების წარმოება. ისინი არ იყვნენ მზად ამისთვის. მათ არაფერი იცოდნენ საქართველოს შესახებ... მათ ისიც კი არ იცოდნენ, ჩვენ რა ენაზე ვსაუბრობთ, მიჩვეული იყვნენ აფრიკულ ქვეყნებთან მუშაობას და ეგონათ, რომ ჩვენთან ოფიციალური ენა ფრანგული იყო. პირადად მე ძალიან ბევრი რამის ახსნა მიწევდა მათთან ურთიერთობისას. ამ ყველაფერში კი გამოძიებისთვის განკუთვნილი დროიდან თითქმის ერთი წელიწადი დაიკარგა. პრობლემა იყო აგრეთვე ის, რომ სასამართლოში ადამიანური რესურსები არ ჰყოფნიდათ; პრობლემა იყო რუსეთიც, რადგან ეს ქვეყანა არ არის ჰააგის სასამართოს წევრი და ესეც აღმოჩნდა გამოძიებისთვის ბარიერი.

**— იქმნებოდა თუ არა პრობლემა ქართველი პოლოტიკოსების მხრიდან?**

— პოლიტიკოსების განცხადებები გამოძიების პროცესზე გავლენას არ ახდენდა, უბრალოდ, ბევრი დრო იკარგებოდა ახსნა-განმარტებების მოსმენისას...

**სასამართლო იძიებს არა იმას, ვინ დაიწყო ომი, არამედ იმას, ვინ ჩაიდინა კონკრეტული დანაშაული, ეს ყველაფერი არ ბრალდება სახელმწიფოებს, არამედ კონკრეტულ პირებს. საუბარია ქართველებზე, რუსებსა და ოსებზე. ამ სამი ეთნოსიდან უნდა იპოვონ კონკრეტული პირები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული 2008 წლის ივნისიდან ოქტომბრის ბოლომდე... ამ პერიოდში თუ აქვთ ჩადენილი დანაშაული კონკრეტულ პირებს, სწორედ ამაზე იქნება საუბარი. ასე რომ, პოლიტიკოსები რას იტყვიან, მნიშვნელობა არ აქვს.**

ჩვენთან ხშირად საუბრობენ რუსეთის მხარეზე, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი არ არის ჰააგის სასამართლოს წევრი ქვეყანა, ის მაინც თანამშრომლობს სასამართლოსთან.

**— როგორც ამბობთ, ზაფხულში გამოქვეყნდება ჰააგის სასამართლოს დასკვნა. არის თუ არა ამ დასკვნაში საქართველოს დანაშაული რაიმე ფორმით?**

— დეტალები გასაიდუმლოებულია, ამაზე ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ გამოძიების პროცესში საუბარია სამ მხარეზე — საქართველოზე, რუსეთსა და ოსეთზე, იძიებენ თავდასხმას რუსეთის სამშვიდობოებზე; არის, აგრეთვე, დავა საქართველოს მხრიდან აკრძალული კასეტური ბომბების გამოყენებაზე...

**— საქართველოდან ვინ არის ჩართული ჰააგის სასამართლოს გამოძიების პროცესში?**

— საქართველოდან ჩართულია იუსტიციის სამინისტრო და პროკურატურა. მასალების მიწოდება არ ხდება მხოლოდ საქართველოს მხრიდან. რუსეთის ფედერაციამ აგვისტოს ომზე გაგზავნა 30 ტომი, რომლებშიც მათი დანაშაული არ იქნება აღწერილი და ეს ბუნებრივია. იქ საუბარი იქნებოდა საქართველოზე. ჩვენ არ ვიცით, რა გაგზავნა რუსეთმა ჰააგის სასამართლოში, ეს ინფორმაცია გასაიდუმლოებულია, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რუსებმა ბევრი საინტერესო მასალა გაგზავნეს. სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურებმაც მიაწოდეს გამოძიებას ძალიან ბევრი მასალა, ეს იყო სატელიტებით მოპოვებული მასალები ომამდე და ომის შემდეგ... ამ ყველაფრის შესწავლას ძალიან დიდი დრო დასჭირდა. იმ ორგანიზაციამ, რომელსაც მე წარმოვადგენ, 2008 წლიდანვე დაიწყო მუშაობა, ომის დასრულების პირველივე კვირიდან ვმუშაობდით. ძალიან ბევრი მასალა მივაწოდეთ დაზარალებულ მოსახლეობაზე, რომლებიც საუბრობდნენ, რა ჩაიდინეს ოსმა და რუსმა სამხედროებმა. არ მაქვს მოლოდინი, რომ ქართველებს დაგვადანაშაულებს ჰააგის სასამართლო.

**— ვინ აღმოჩნდება დამნაშავის სკამზე, თუკი კონკრეტულ პიროვნებებზეა საუბარი?**

— ვფიქრობ, ბევრი რამ შეიცვალა გამოძიების პროცესში, თავდაპირველად ყველაფერი სხვაგვარად მიმდინარეობდა, მაგალითად, თავდაპირველად საუბარი იყო იმაზე, თუ ვინ დაიწყო ომი, მაგრამ ჰააგის სასამართლომაც ბევრი რამ გაიგო. ადრე თუ მათ ეგონათ, ქართველი სამხედროების დაკავება-დადანაშაულება ადვილი იყო, ეს ყველაფერი გააქარწყლა 2018 წელს ქართველი სამხედრობის განცხადებამ, რომლითაც მათ დაგმეს საქართველოს შეიარაღებული ძალების პოლიტიზირებისა და პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების მცდელობა.

ჰააგის სასამართლოს ეგონა, რომ ქართველი სამხედრო მაღალჩინოსნები ადვილი დასაპატიმრებლები იყვნენ, მათ ეგონათ, რომ, თუკი მათ დააკავებდნენ — არა უშავს! მაგრამ მათთვის ისიც მნიშვნელოვანი იყო, არ გამოეწვიათ შიდა კონფლიქტი, ამიტომაც ძალიან ბევრი რამ სხვანაირად გააკეთეს — ქართველ სამხედროებს გვერდი აუარეს, ქვეყანას ისედაც ჰყავდა უამრავი დაზარალებული.

**არ ვფიქრობ, რომ ჰააგა ქართველებს დაადანაშაულებს, არც იმას ვფიქრობ, რომ რუსეთს დაადანაშაულებს. აქედან გამომდინარე, დამნაშავის სკამზე შეიძლება სამხრეთ ოსეთის რომელიმე წარმომადგენელი აღმოჩნდეს...**

ჰააგის სასამართლო ახალი ინსტიტუტია და დიდი შეცდომა იყო ჩვენი ხელისუფლების მხრიდან ზედმეტად დამაიმედებელი განცხადებები. ეს ჩვენმა ორგანიზაციამ თავიდანვე იცოდა. ჩვენ ვცდილობდით ჩვენი დაზარალებული მოსახლეობის დაცვას და ჩვენ ამას მივაღწიეთ.

სიმართლე გითხრათ, **დიდია მოლოდინი იმისა, რომ ჰააგის სასამართლომ, საერთოდ, დახუროს აგვისტოს ომის საქმე და დამნაშავე ვერ გამოავლინოს. როცა მე აზრი მკითხეს, ვუთხარი, რომ ასე არ გამოვა, გამოძიების ხუთი წლის თავზე დამნაშავე ვერ გამოავლინოთ და დასკვნა ვერ შეიმუშავოთ, არასერიოზულია-მეთქი. მაგრამ არ მგონია, ჩემმა სიტყვებმა რამე შეცვალოს.**

**— ჰააგის სასამართლო არ გაითვალისწინებს ტალიავინის კომისიის დასკვნას?**

— ჰააგისთვის ეს დასკვნა ნაკლებად საინტერესოა, ზოგადი სურათის აღსაწერად შეიძლება გარკვეული ნაწილი გამოიყენონ, მაგრამ არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის.

**— იუსტიციის ყოფილი მინისტრი თეა წულუკიანი დიდ იმედს ამყარებს გოჩა ლორთქიფანიძის არჩევაზე ჰააგის მოსამართლედ. ის ფიქრობს, რომ აგვისტოს ომის გამოძიება საქართველოსთვის დადებითი შედეგით დასრულდება...**

— ლორთქიფანიძე აგვისტოს ომის გამოძიების შედეგებზე გავლენას ვერ მოახდენს, გამოძიება თითქმის დასრულებულია, მაგრამ მისი არჩევა ჰააგის სასამართლოს მოსამართლედ ჩვენი ქვეყნის პრესტიჟია.

დასასრულ ვიტყვი, რომ ახლანდელ ხელისუფლებას და პირადად თეა წულუკიანს დიდი მოლოდინი ჰქონდათ ჰააგის გამოძიების, მაგრამ ეს ასე მარტივი არ არის. კონკრეტული პიროვნება რომ დაადანაშაულო, გენერალიტეტი უნდა აალაპარაკო — ასე არ მოხდა და ამას ჩვენი ხელისუფლება 2018 წელს მიხვდა.

**«ახლანდელ ხელისუფლებასა და პირადად თეა წულუკიანს დიდი მოლოდინი ჰქონდათ ჰააგის გამოძიების, მაგრამ ეს ასე მარტივი არ არის. კონკრეტული პიროვნება რომ დაადანაშაულო, გენერალიტეტი უნდა აალაპარაკო — ასე არ მოხდა და ამას ჩვენი ხელისუფლება 2018 წელს მიხვდა»**

**«გამოძიების პროცესში საუბარია სამ მხარეზე — საქართველოზე, რუსეთსა და ოსეთზე. იძიებენ თავდასხმას რუსეთის სამშვიდობოებზე; არის, აგრეთვე, დავა საქართველოს მხრიდან აკრძალული კასეტური ბომბების გამოყენებაზე»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

პური ჩვენი არსობისა

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთის ხელისუფლებამ პირველად ნოემბერში განაცხადა, რომ ხორბლის გატანაზე კვოტებს დააწესებდა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ კონკრეტული კომპანიები მთავრობასთან შეთანხმებული რაოდენობის გატანას შეძლებენ და მეტი, უბრალოდ, აღარ გავა.**

# სანამ დავეწევით და გავასწრებთ ამერიკას, იქნებ ჯერ იმ საამაყო ხორბლის ჯიშების მოყვანა დავიწყოთ, რომლებიც გვაქვს და ვერ ვიყენებთ?

**საქსტატის მონაცემებით, 2020 წლის 10 თვეში რუსეთიდან საქართველოში დაახლოებით 250 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ხორბალი შემოვიტანეთ, ე.ი., თვეში 25 მლნ ლარზე მეტ პურ-პროდუქტებს ითვისებს საქართველოს მოსახლეობა. მთლიანობაში გამოდის, რომ საქართველოს წელიწადში 300 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ხორბალი სჭირდება. ხელისუფლება გაძვირებული ხორბლის სუბსიდირებას გეგმავს და თვეში ამ საქმისთვის 2.5 მილიონი ლარი გადადო, ანუ დააფინანსებს მოსახმარებელი პროდუქტის ათ პროცენტს, რაც პურის 10%-ით გაძვირებას ნიშნავს.**



ეს ციფრები კი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ **2021 წლის 15 თებერვლიდან 30 ივნისის ჩათვლით რუსეთის მთავრობა მარცვლეულის ექსპორტის კვოტირებას გეგმავს. ამასთანავე, მსოფლიო თანხმდება იმაზე, რომ გაისად ხორბლის არცთუ სახარბიელო მოსავალი იქნება და, შესაბამისად, უკვე ახალი წლის შემდეგ ტონა ხორბალზე ფასი ევროპის მასშტაბით, სულ ცოტა, 25 ევროთი მოიმატებს.** ერთი შეხედვით, ტონაზე 25 ევრო ცოტაა, მაგრამ, როცა ასეთ მასშტაბებზე მიდის საუბარი, ძალიან ბევრია. ისე გამოდის, რომ ხელისუფლებას, თუ სუბსიდირებას გააგრძელებს, თანხის მომატება მოუწევს, მაგრამ ეს ნელ-ნელა თავის მოტყუებას ემსგავსება. სახელმწიფო კონკრეტულ პროდუქტზე, თუნდაც ეს პური იყოს, სუბსიდიას მუდმივად ვერ გააკეთებს. საბოლოოდ მივიღებთ იმას, რომ, **როცა სუბსიდია შეწყდება, პურის მწარმოებლები იძულებულნი იქნებიან, ფასი ერთბაშად გაზარდონ, ეს კი მოსახლეობას უმძიმეს ტვირთად დააწვება.** ამას გარდა, აღსანიშნავია ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი — ბუნებრივი აირის გაძვირების გამო პურ-პროდუქტები გააძვირეს მცირე საცხობებმა, რადგან მათ გადასახადი მოემატათ და ეს მაშინ, როცა დიდ საცხობებს ძველი ფასი შეუნარჩუნდათ. შედეგად, **მცირე საცხობები ნელ-ნელა, მაგრამ აუცილებლად გაკოტრდებიან და ბაზარზე მხოლოდ მსხვილი მოთამაშეები დარჩებიან, რაც მონოპოლიის შესაძლებლობასა და საერთო ფასის შენარჩუნების უდიდეს შანსს აჩენს. გამოდის, აღარ იქნება კონკურენცია და რამდენიმე მსხვილი მწარმოებელი ერთმანეთში შეთანხმდება, რა და როგორ გაყიდოს.**

რაც შეეხება რუსულ ბაზარს, ახალი ამბავი არ არის, რომ, როცა მსოფლიოში რომელიმე პროდუქტის დეფიციტია მოსალოდნელი, რუსეთის ხელისუფლება მაშინვე ცდილობს, აღნიშნული პროდუქტის გატანა შეზღუდოს, რადგან საკუთარი ხალხი არ დარჩეს მშიერი. ამ შემთხვევასთან გვაქვს ახლა საქმე და, უდიდესი ალბათობით, რუსეთი უარს იტყვის ხორბლის გაყიდვაზე არამხოლოდ საქართველოში, არამედ, საზოგადოდ, დანარჩენ მსოფლიოში. ჩვენ კი ხორბალი მხოლოდ რუსეთიდან შემოგვაქვს და სასწრაფოდ ახალი გზები უნდა მოვნახოთ, თუ ასეთი არსებობს, რასაკვირველია.

„რუსული ხორბლის ფასი საერთაშორისო ბაზარზე ყოველთვის შედარებით დაბალია, ვიდრე მაგალითად ფრანგული, გერმანული ან ამერიკული ხორბლის. ეს ბევრი ფაქტორითაა გამოწვეული. დღეს ფოთში რუსეთიდან გემით შემოტანილი ხორბლის ფასი არის 255 დოლარი, რომელსაც 15 თებერვლიდან 25 ევრო დაემატება და ძალიან ცოტა ხორბალი გამოვა რუსეთიდან. ეს ფასი საერთაშორისო ბაზარზე არსებულ ფასებს გაუთანაბრდება. მაგალითად, რაც ფრანგული ხორბალი ღირს, ზუსტად ის ფასი ექნება რუსულ ხორბალსაც და ჩვენ შეიძლება წავიდეთ და ვიყიდოთ ფრანგული ან თუნდაც უნგრული ხორბალი. ამის გამოცდილება გვაქვს. რუსული ხორბალი დღეისთვის მხოლოდ იმიტომ შემოგვაქვს, რომ უფრო იაფია“, — განაცხადა ფოთის მარცვლეულის ტერმინალის დირექტორმა **ქეთი კუბლაშვილმა.**

„იმ შემთხვევაში თუ რუსული ხორბლის ფასები და პირობები არ იქნება კონკურენტუნარიანი, ბიზნესი მოახდენს ბაზრების დივერსიფიკაციას, იმისთვის, რომ ეს არ აისახოს საქართველოში ხორბლის მოწოდებაზე“, — ეს კი უკვე სოფლის მეურნეობის მინისტრ **ლევან დავითაშვილის** სიტყვებია.

ის, რომ საფრანგეთი მსოფლიოში ხორბლის ბაზარზე ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშეა, ახალი ამბავი არ არის. მეტიც, საფრანგეთიდან ხორბლის შემოტანის მცდელობა ჯერ **მიხეილ სააკაშვილის** მთავრობას ჰქონდა, შემდეგ იმავეს გაკეთებას **გიორგი მარგველაშვილიც** შეეცადა, ბოლოს კი საფრანგეთში ვიზიტად მყოფი **სალომე ზურაბიშვილი** საუბრობდა ამ თემაზე. ზურაბიშვილი საფრანგეთში მიღებული პერსონაა, არაერთი წელი იქაურ საგარეო საქმეთა სამინისტროში მაღალ თანამდებობებზე იმუშავა, თუმცა ვერც მან შეძლო, საფრანგეთი ჩვენთვის ხორბლის მოწოდებაზე დაეყოლიებინა. მიზეზი მარტივია — **ფრანგები არ რისკავენ, არამდგრადი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებთან საქმე დაიჭირონ და ხორბალი ნისიად მისცენ.**

რჩება **უნგრეთის** ვარიანტი, რომელსაც საუკეთესო ხორბალი არ აქვს, მაგრამ... აქ სხვა კითხვაც ჩნდება — თუ უნგრეთი ახერხებს იმას, რომ ექსპორტზე გასატანი ათეულათასობით ტონა ხორბალი დათესოს და მოიყვანოს, რატომ ვერ ვაკეთებთ ამას ჩვენ? არადა, წინა თუ ამჟამინდელი ხელისუფლება იმას გვიმტკიცებს, უნგრეთი, პოლონეთი და ბულგარეთი ჩვენზე ძალიან წინ არ არიან, მალე დავეწევითო. ჰოდა, **სანამ სხვა რამეში დავეწევით უნგრეთს, ბულგარეთსა თუ სხვა ქვეყანას, იქნებ ჯერ იმ საამაყო ხორბლის ჯიშების მოყვანა ვისწავლოთ, რომლებიც გვაქვს და ვერ ვიყენებთ? წესითა და რიგით, ხორბალი უკვე დათესილი უნდა გვქონდეს, მაგრამ გადახედეთ საქართველოს მინდორ-ველებს და მიხვდებით, რომ უკეთესის სურვილს ტოვებს მათი მდგომარეობა. ეს, ჩვენი სიზარმაცის გარდა, იმის ბრალიცაა, რომ ხელისუფლებას სოფლის მეურნეობა მივიწყებული აქვს,** არსად ჩანს დაპირებული სუბსიდია, რომელიც, წესით, სწორედ ამ სფეროს აყვავებას უნდა მოხმარებოდა. **კი ამბობენ „ოცნების“ ლიდერები, — სოფლის მეურნეობაში 2 მილიარდ ლარზე მეტი ჩავდეთო, მაგრამ, ბატონებო, შედეგი სადაა? თუ მართლა ჩადეთ, მოიკითხეთ ეს თანხები, რადგან შედეგი, უბრალოდ, არ არის და, თუ არ მოიკითხავთ, სამომავლოდ გამეტებულ ფულსაც ისე გააქრობენ, როგორც ეს გააქრეს. გაბზარულს გატეხილი სჯობსო და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ აქ ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს პროდუქციის წარმოებას მისი შემოტანა ურჩევნია, რადგან ასე დიდძალი ფული იშოვება.**

**კი ამბობენ «ოცნების» ლიდერები, — სოფლის მეურნეობაში 2 მილიარდ ლარზე მეტი ჩავდეთო, მაგრამ, ბატონებო, შედეგი სადაა? თუ მართლა ჩადეთ, მოიკითხეთ ეს თანხები, რადგან შედეგი, უბრალოდ, არ არის; მაგრამ, თუ არ მოიკითხავთ, სამომავლოდ გამეტებულ ფულსაც ისე გააქრობენ, როგორც ეს გააქრეს. გაბზარულს გატეხილი სჯობსო და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს აქ პროდუქციის წარმოებას მისი შემოტანა ურჩევნია, რადგან ასე დიდძალი ფული კეთდება**

მხოლოდ ის რად ღირს, ისედაც მწირ ქართულ მოსავალს მაშინვე აზიის ქვეყნებისკენ რომ გაუყენებენ ხოლმე გზას, მერე იმავე აზიიდან გაცილებით მდარე ხარისხის პროდუქცია შემოაქვთ და ჩვენზე ასაღებენ. ხომ უნდა მიხვდეს ვინმე, რომ ჭარბად შეგვიძლია ამ ყველაფრის წარმოება და, როგორც გატანა, ისე საშინაო მოხმარებისთვის გამოყენება. ეს, უწინარესად, ადამიანების ჯანმრთელობაზე იმოქმედებს დადებითად და შემდეგ ეკონომიკასაც წაადგება, ადგილობრივ მოსახლეობაში ფული გაჩნდება და... ის თუ იცით, ტურიზმის გადამკიდე, სვანეთში ბევრი კარტოფილის თესვას რომ თაკილობს და თურქულ თუ ირანულ კარტოფილს ყიდულობს? ჰო, იმ სვანეთში, სადაც კარტოფილი შემოსავლის მთავარი წყარო იყო, მაგრამ ახლა, როცა ტურისტი ერთ ღამეში ორი ტომარა კარტოფილის ფასს ტოვებს, ეზარებათ. ლორით განთქმულ რაჭაში გაყინული ღორის ხორცი ააქვთ ქალაქიდან სამწვადედ და ასე, ნელ-ნელა იმასაც ვანადგურებთ, რაც აქა-იქ შემორჩენილი იყო.

ისევ ხორბალსა და რუსულ ბაზარს დავუბრუნდეთ. არაერთხელ დაგვიწერია, რომ, თუ რუსეთი ხორბალს არ მოგვაწვდიდა, უდიდესი პრობლემის წინაშე დავდგებოდით. იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებამ განგაშის ზარებს შემოჰკრას, არარეალურ ილუზიებს მიჰყვება და არ აღიარებს, რომ **იანვრის ბოლოს დიდი გამოწვევის წინაშე დადგება ქვეყანა.** ძალიან საეჭვოა, ფრანგებმა საკუთარი დალაგებული ჩვენ გამო არიონ, მითუმეტეს ამ ვირუსის ფონზე, როცა თითოეული ნაბიჯი კარგად არის გასათვლელი და დასათვლელი. როგორც რუსული მედია წერს, **რუსეთის ხელისუფლებამ პირველად ნოემბერში განაცხადა, რომ ხორბლის გატანაზე კვოტებს დააწესებდა, ეს ნიშნავს იმას, რომ კონკრეტული კომპანიები მთავრობასთან შეთანხმებული რაოდენობის გატანას შეძლებენ და მეტი, უბრალოდ, აღარ გავა.** უდიდესი ალბათობით, ეს რუსეთმა შიდა ბაზარზე ფასების დასარეგულირებლად განახორციელა. ჰოდა, სანამ იქ სიტუაცია არ დარეგულირდება, სანამ საბოლოოდ არ დარწმუნდება ხელისუფლება, როგორი პირი უჩანს 2021 წლის მოსავალს, მანამდე ეს შეზღუდვები იარსებებს. **რუსეთის ფედერაცია, პირველ რიგში, საკუთარ თავზე ფიქრობს, ზუსტად ისე, როგორც დანარჩენი ქვეყნები და ჩვენ რატომ ვფიქრობთ მუდმივად სხვაზე? უფრო სწორად, რატომ ვართ მუდმივად სხვის იმედად? არ ვამტკიცებთ იმას, რომ მუხლებზე ხოხვით უნდა ჩავიდეთ რუსეთში, მაგრამ საუბარი იმაზე, რომ კვოტირების პირობებშიც კი საქართველო რუსეთის საერთო სქემიდან არ ამოვარდეს და ხორბალი ჩვენთან კვლავ შემოვიდეს, ნამდვილად შეიძლება.** ამისათვის კი სურვილი და ამ სურვილის ხმამაღლა თქმაა საჭირო, თუმცა ხელისუფლება ხმამაღალ განცხადებას ერიდება, აქაოდა, რუსეთუმეობა არ დამწამონო. ეს მაშინ, როცა დანარჩენი მსოფლიო მაქსიმალურად ცდილობს რუსეთის, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ბაზრის, ათვისებასა და ამ ქვეყნის, როგორც ერთ-ერთი უდიდესი იმპორტიორის, სათავისოდ გამოყენებას. ჩვენ კი...

ახალ წელს გილოცავთ, ხვავი, ბარაქა და ჯანმრთელობა დაგებედოთ!

**როცა მსოფლიოში რომელიმე პროდუქტის დეფიციტია მოსალოდნელი, რუსეთის ხელისუფლება მაშინვე ცდილობს, ამ პროდუქტის გატანა შეზღუდოს, რადგან საკუთარი ხალხი არ დარჩეს მშიერი. ამ შემთხვევასთან გვაქვს ახლა საქმე და, უდიდესი ალბათობით, რუსეთი უარს იტყვის ხორბლის გაყიდვაზე არამხოლოდ საქართველოში, არამედ, საზოგადოდ, დანარჩენ მსოფლიოში. ჩვენ კი ხორბალი მხოლოდ რუსეთიდან შემოგვაქვს და სასწრაფოდ ახალი გზები უნდა მოვნახოთ, თუ ასეთი არსებობს, რასაკვირველია**

ბესო ბარბაქაძე

**„საქართველოს ხელისუფლებას არ ესმის და, ალბათ, არც სურს, ესმოდეს ელემენტარული რამ: იმ ვითარებაში, როცა მთელი მსოფლიო, ფაქტობრივად, შიმშილის ზღვარზეა სურსათის ნაკლებობის გამო, ადგილობრივი წარმოების განვითარება ერთადერთი გამოსავალი შეიძლება იყოს სრული ეკონომიკური კოლაფსის თავიდან ასაცილებლად“.**

ეკონომიკა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# პაატა კოღუაშვილი: სიღარიბე სასურსათო უსაფრთხოების განუხორციელებლობის პირდაპირი შედეგია

## «ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს ახალი მთავრობა ჰყავს. საქართველოს ჰყავს ძველი სამთავრობო კადრები, ოღონდ ხელახლა დანიშნული»

**ევროკავშირის ელჩმა საქართველოში კარლ ჰარცელმა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ზალკალიანმა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD 4) მეოთხე ფაზის დაწყებას ხელი ოფიციალურად მოაწერეს. შეთანხმება, რომლის ბიუჯეტიც 55 მილიონ ევროს შეადგენს (დაახლოებით 215 მილიონ ლარს), კოვიდ-19-ის გამოწვევების დასაძლევად გაწეული დახმარებების ნაწილია: „2013 წლიდან ევროკავშირი ეხმარება საქართველოს სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და სოფლად ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში. მოხარული ვარ, რომ ENPARD-ის მეოთხე ფაზის ფარგლებში მთავრობასთან თანამშრომლობას ვაგრძელებთ. გვსურს, მომავალში ვიხილოთ უკეთ აღჭურვილი ქართველი ფერმერები, კოოპერატივები, მცირე და საშუალო მეწარმეები, რომლებიც მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებას და ევროკავშირში ექსპორტს უკეთ შეძლებენ“, — განაცხადა შეხვედრაზე კარლ ჰარცელმა.**

**«10-მილიონიანი სუბსიდია მისცეს მხოლოდ მონოპოლისტ წისქვილკომბინატებს; ხოლო თონეებს, რომელთა წილიც ასევე ძალიან დიდია პურით მომარაგებაში, მხედველობაში მაქვს მცირე საწარმოები, არ დაეხმარნენ. აი, ზუსტად ამის შედეგია ის, რომ ქართული პური, ე.წ. ლავაში, უკვე ერთი ლარი და ოცი თეთრი გახდა; სამწუხაროდ, ეს პროცესი გაგრძელდება. გაგრძელდება თუნდაც იმიტომ, რომ იმავე რუსეთმაც, რომელიც მსოფლიოში ხორბლის ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორია, გააძვირა ხორბალი»**

ევროკავშირის ელჩის განმარტებით, ევროკავშირის სურვილია, სოფლად კიდევ უფრო განვითარდეს ინფრასტრუქტურა, ტურიზმი, ეფექტიანი ადგილობრივი საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობა, რომლებიც მთლიანობაში ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკურ ზრდას: „გარდა ამისა, გვსურს, ვიხილოთ სოფლად უკეთესი ინფრასტრუქტურა და სერვისები, უფრო განვითარებული ტურიზმი, ეფექტიანი ადგილობრივი საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობა და მეწარმეობა. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ქვეყნის ეკონომიკის ზრდას...“

**რა მდგომარეობაშია დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობა, გააუმჯობესა თუ არა ევროკავშირის მიერ 2013 წლიდან დღემდე გაწეულმა ფინანსურმა დახმარებამ ამ მიმართულებით მდგომარეობა და რა შედეგებს მოიტანს ამჯერად გამოყოფილი 55 მილიონი ევრო — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში პაატა კოღუაშვილი.**

**— ბატონო პაატა, ევროკავშირის წარმომადგენელმა საქართველოში კარლ ჰარცელმა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ დავით ზალკალიანთან ერთად, ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელიც საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის მეოთხე ფაზის დაწყებას ითვალისწინებს. შეხვედრაზე ჰარცელმა განაცხადა, რომ ევროკავშირის სურვილია, უკეთ აღჭურვილი ქართველი ფერმერები, მცირე და საშუალო მეწარმეები იხილოს, რომლებიც თავიანთი ნაწარმის ევროკავშირში გატანას უპრობლემოდ შეძლებენ... ჯერ მოდი, იმ დახმარებაზე ვისაუბროთ, რომელიც დღემდე მიგვიღია ევროკავშირისგან სოფლის მეურნეობის განვითარების სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში. რა შედეგები მოიტანა ამ დახმარებებმა და რას მოიტანს ის მომავალში?**

— თავისთავად ამ პროგრამაში იდეის დონეზე ცუდი არაფერია, პირიქით — მისასალმებელია და დასაფასებელი, თუ ვინმე რამე კარგს აკეთებს, მაგრამ ერთია პროგრამა, რომელიც თეორიულად შეიძლება მოსაწონია, თუნდაც მისი პრიორიტეტებიდან გამომდინარე, და მეორე — მისი განხორციელება. ჰარცელმა ხაზი გაუსვა, პირველ რიგში, კოოპერატივების განვითარებას და შემდეგ — ფერმერების მხარდაჭერას. თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დამოკიდებულება კოოპერატივებისადმი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია. იმის მაგივრად, რომ სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებით იყოს ხელშეწყობა და ჩამოყალიბდეს პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების ერთიანი ციკლი, **სოფლის მეურნეობის სამინისტრო მხარს უჭერს მხოლოდ გადამამუშავებელ საწარმოებს. არადა, ეს საწარმოები სოფლად, ფაქტობრივად, გვევლინებიან ფეოდალებად, რომლებიც, ცხადია, თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, რაც შეიძლება იაფად ართმევენ გლეხებს წარმოებულ პროდუქციას. აი, ეს არის მიზეზი იმისა, რომ დღეს სოფლად ბევრს ეკარგება პროდუქციის წარმოების სურვილი და იძულებულია, იქიდან აიყაროს...**

**— რა არის მიზეზი იმისა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, უკვე მრავალი წელია, ამგვარ პოლიტიკას ატარებს?**

— მიზეზი ისევ და ისევ არის ის ე.წ. ლიბერტარიანული ხედვა, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე შემორჩა საქართველოს მთავრობაში. ეს ხედვა და მიდგომები დღეს ისევ დომინირებს მმართველ გუნდში. ცალკე საკითხია, დილეტანტიზმი და არაპროფესიონალიზმი, რომლებიც, პრაქტიკულად, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩანს.

**— მოდი, დავაკონკრეტოთ: რაში გამოიხატება ეს ყველაფერი?**

— **მთავარი პრობლემა არის ის ე.წ. ეკონომიკური ლიბერალიზმი (შეიძლება, ფსევდოლიბერალიზმიც დავარქვათ), რომელიც გვეუბნება, რომ, თურმე, ბაზარი თავისით არეგულირებს ყველაფერს და სოფელს არ სჭირდება მხარდაჭერა. ვფიქრობ, ეს არის 21-ე საუკუნის ჩვეულებრივი ბოროტება, რომელიც პირდაპირ, მიზანმიმართულად გათვლილია სოფლისა და სოფლის მეურნეობის ცნების გაქრობაზე.** სხვათა შორის, ეს პოლიტიკა არ დაწყებულა ამ ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, ეს ჯერ კიდევ წინა ხელისუფლებამ დაიწყო, როცა საჯაროდ განაცხადა, რომ **სოფლის მეურნეობა „არარენტაბელურია“ და სახელმწიფოს მძიმე ტვირთად აწვება.** ადრეც არაერთხელ ვთქვი და ახლაც მინდა, ხაზი გავუსვა, რომ **სოფლის მეურნეობა მსოფლიოში, რომელ ქვეყანაზეც არ უნდა იყოს საუბარი, რეგულირებას დაქვემდებარებული დარგია — ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიმართულება, რომლის მიმართაც გულგრილმა დამოკიდებულებამ შეიძლება სახელმწიფოები კატასტროფამდე მიიყვანოს სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით.** რაც შეეხება კონკრეტულად დღევანდელ ვითარებას, საქართველოს ხელისუფლებას არ ესმის და, ალბათ, არც სურს, ესმოდეს ელემენტარული რამ: იმ ვითარებაში, როცა მთელი მსოფლიო, ფაქტობრივად, შიმშილის ზღვარზეა სურსათის ნაკლებობის გამო, ადგილობრივი წარმოების განვითარება ერთადერთი გამოსავალი შეიძლება იყოს მასიური შიმშილის და სრული ეკონომიკური კოლაფსის თავიდან ასაცილებლად. სხვათა შორის, ეს რომ არ ესმით ხელისუფლების წარმომადგენლებს, ამის დასტურია ის პოლიტიკაც, რომელიც ახლახან განახორციელეს ფქვილის მიმართ. ვგულისხმობ იმას, რომ **10-მილიონიანი სუბსიდია მისცეს მხოლოდ მონოპოლისტ წისქვილკომბინატებს; ხოლო თონეებს, რომელთა წილიც ასევე ძალიან დიდია პურით მომარაგებაში, მხედველობაში მაქვს მცირე საწარმოები, არ დაეხმარნენ. აი, ზუსტად ამის შედეგია ის, რომ ქართული პური, ე.წ. ლავაში, უკვე ერთი ლარი და ოცი თეთრი გახდა; სამწუხაროდ, ეს პროცესი გაგრძელდება. გაგრძელდება თუნდაც იმიტომ, რომ იმავე რუსეთმაც, რომელიც მსოფლიოში ხორბლის ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორია, გააძვირა ხორბალი.**

ახლა რაში ვხედავ უმთავრეს პრობლემას ამ კონკრეტული მიმართულებით: პირველი. **პრობლემა არის ის, რომ საქართველოს სოფლის მეორნეობის სამინისტრო არ ფიქრობს მარცვლეულის მოყვანისა და წარმოების სახელმწიფო პროგრამის შემუშავებაზე. ამ დროს საქართველოს ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ პირველ ეტაპზე 100-120 ათასი ჰექტრის დამუშავებით უზრუნველყოს ჩვენი მოთხოვნების 60-65%-ის დაკმაყოფილება.** საერთოდ, ნებისმიერ სპეციალისტს რომ ჰკითხო, გეტყვით, რომ სიღარიბე სასურსათო უსაფრთხოების განუხორციელებლობის პირდაპირი შედეგია, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობაში დღეს ეს არ ესმით; არ ესმით და, ალბათ, ვერც ვერასდროს გაიგებენ, იმიტომ, რომ არ აქვთ შესაბამისი განათლება, არ აქვთ კომპეტენცია და არ იცნობენ მსოფლიოში არსებულ ტენდენციებს.

**— დავუბრუნდეთ ისევ ჰარცელის განცხადებას. შეხვედრაზე მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროგრამის ერთ-ერთი მიზანია, ქართველმა ფერმერებმა დაუბრკოლებლად შეძლონ ევროკავშირის ქვეყნებში თავიანთი პროდუქციის გატანა. როგორ ფიქრობთ, ეს რეალურია?**

— მაინტერესებს, რა გაგვაქვს დღეს საექსპორტოდ ან რა გვაქვს და რის გატანა შეგვიძლია? **„ბორჯომი“ რომ გაგვაქვს, ეს სოფლის მეურნეობის პროდუქციაა?! რაც შეეხება ხილს, ჩაიხედოს, ვისაც აინტერესებს, ციფრებში და ნახავს, რომ, სულ რაღაც, ხუთი მილიონის კარალიოკი გაგვაქვს, ექვსი მილიონის — ხურმა და ა.შ. ეს არის ექსპორტი?! სხვა დანარჩენი მე არ ვიცი...** ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: საქართველოში, პირველ რიგში, უნდა შეიქმნას სახელმწიფო მარეგულირებელი სამსახური, რომელიც იმუშავებს რამდენიმე სექტორის მიმართულებით — ეს არის ხორბალი, ხორცი და რძე. ეს არის ძირითადი სასურსათო პროდუქტები, რომლებსაც შეუძლია ქვეყნის გადარჩენა... სხვათა შორის, **რაც ჩვენთან ხორცის წარმოების მიმართ ხდება, წარმოუდგენელი რამაა, მხედველობაში მაქვს ის, რომ ნედლი ხორცი იბეგრება 18%-იანი დღგ-თი. მსგავსი რამ არსად არ ხდება და, ალბათ, არც მომხდარა. აი, ეს არის მთავრობის სრული სიბეცე, კონკრეტულად კი — ეკონომიკის სამინისტროსი.**

**— თუმცა დღეს საქართველოს ახალი მთავრობა ჰყავს, რომელიც უახლოეს მომავალში შეუდგება საქმიანობას. გაქვთ იმედი, რომ ახალი გუნდი ნაწილობრივ მაინც გაატარებს იმ ცვლილებებს, რომლებიც აუცილებლად მიგაჩნიათ?**

— ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს ახალი მთავრობა ჰყავს. ვინაა ახალი?! საქართველოს ჰყავს ძველი სამთავრობო კადრები, ოღონდ ხელახლა დანიშნული. გუნდში ახალია მხოლოდ **გოჩა ლორთქიფანიძე**, რომელიც ნამდვილი პროფესიონალი და ჩამოყალიბებული პიროვნებაა, მაგრამ, როგორც ვიცი, იგი საზღვარგარეთ მიემგზავრება... დანარჩენი რა გითხრათ, ყველაფერი იგივეა; **დავითაშვილისგან** არაფერი გამოვა, იმავეს ვიტყვი სხვებზეც.

**რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, გამომდინარე ამ ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკიდან, დარწმუნებული ვარ, არაფერი არ შეიცვლება. დაიწყებენ ისევ ლაპარაკს იმაზე, რომ თურმე ყველაფერი კარგად არის და ექსპორტი იზრდება, სინამდვილეში, როგორც გითხარით, ექვსი მილიონის ვაშლი გააქვთ და ხუთი მილიონის ჩირი. აი, ეს არის ყველაფერი.** ხოლო ის, რომ სოფელი დაიცალა, ხალხი გარბის და ტოვებს ქვეყანას, თურმე არაფერია. სანამ არ მოხდება სოფლის ტერიტორიულ ერთეულად გადაქცევა და მას არ ექნება სამართალსუბიექტის სტატუსი, არაფერი არ გამოვა. ლაპარაკი დარჩება ლაპარაკად, ხოლო მდგომარეობა დღითიდღე გაუარესდება.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რუზველტმა ერთხელ მაღალი რანგის დიპლომატს უთხრა: „თუ ჩვენ მსოფლიოს ყველა უმნიშვნელოვანეს საქმეს გადასაწყვეტად მივანდობთ ძია ჯოს ყოველგვარი კონგრესისა და პარლამენტის გარეშე, ყველა ჩვენგანის საქმე გაცილებით უკეთესად იქნება!“**

**უძველესი დროიდან, როდესაც არა მხოლოდ პოეტები და მწერლები, არამედ დიპლომატებიც კი მელნით წერდნენ, ყველა ატარებდა წვრილად დაფქულ ფხვნილს, რომელსაც ახალდაწერილ ტექსტს ზემოდან მოაყრიდნენ, რათა ნაწერი დროულად გამშრალიყო და არ გადღაბნილიყო. ფრანგმა ფილოსოფოსმა პიერ ბუასტმა, ამ ფაქტიდან გამომდინარე, საერთაშორისო მასშტაბის აფორიზმი შექმნა: „დიპლომატების მელნით ნაწერი ადვილად იშლება და ორთქლდება თუ მას საზარბაზნე დენთი არ მოეყრება“.**

# სტალინი — კაცობრიობის ამოუხსნელი ფენომენი

## 21 დეკემბერი სტალინის დაბადების დღეა

ყველასათვის ცნობილია, რომ სტალინს მელნით წერა არ უყვარდა; იგი ფანქრებით ასრულებდა ძირითად სამუშაოს, მაგრამ ამაზე ქვემოთ. სტალინმა ომის დაწყების დღიდან კარგად იცოდა, რომ: **„მისი საქმე სამართლიანია, უთუოდ გაიმარჯვებს და რომ მის ქუჩაზეც იქნება ზეიმი“.** ბელადს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ „სისხლისღვრით მოპოვებული გამარჯვება შესაბამისი შედეგით უნდა დასრულდეს, სამშვიდობო ხელშეკრულება გამარჯვებულისთვის ნაყოფის მომცემი უნდა იყოს და მებრძოლების მიერ ბრძოლის ველზე მოპოვებული წარმატება დიპლომატებმა მოლაპარაკების მაგიდასთან არ უნდა დათმონ!“ ამიტომ სამამულო ომის დამთავრებამდე დიდი ხნით ადრე სტალინი საგულდაგულოდ ამზადებდა საზარბაზნე დენთს, რომელიც მას მსოფლიო გადანაწილების იმ ხელშეკრულებაზე უნდა მოეყარა, რომელსაც ბერლინის გარეუბან პოტსდამში მოეწერა ხელი.

### წარმატებული დიპლომატი და მხედართმთავარი

ბელადის ფრაზა: **„კარგი საგარეო პოლიტიკა ხშირად მეტს იწონის, ვიდრე ორი-სამი არმიის მოქმედება ფრონტზე!“** სტალინის დიპლომატიის განუმეორებელი ხელოვნება მოკავშირეებს საშუალებას არ აძლევდა, „საზარბაზნე ხორცად“ ექციათ საბჭოთა კავშირი. ამის ნათელი დასტურია ის უნიკალური მასალა, რომელსაც რუსეთის ფედერალურმა საარქივო სააგენტომ, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს ისტორიულ-დოკუმენტურმა დეპარტამენტმა და რფ-ის ისტორიულმა საზოგადოებამ გრანდიოზული გამოფენა მიუძღვნეს.

**ვიაჩესლავ მოლოტოვი** იგონებს: „სტალინს არაერთხელ უთქვამს, რომ რუსეთი იმარჯვებს ომებში, მაგრამ ვერ იღებს გამარჯვების ნაყოფს. რუსები იბრძვიან ბრწყინვალედ, მაგრამ არ შეუძლიათ დაამყარონ მშვიდობა!“ ამ აზრს ხშირად იმეორებდა სტალინი უცხოელ დიპლომატებთან საუბრისას დიდი სამამულო ომის პერიოდში. „რუსები ყველას დაქირავებული მუშახელი ჰგონია, — ეუბნებოდა სტალინი აშშ-ის ელჩს საბჭოთა კავშირში **ავერელ ჰარიმანს,**— თურმე რუსებმა უნდა გაათავისუფლონ პოლონეთი, ხოლო პოლონელებმა მიიღონ ლვოვი. ისინი ფიქრობენ, რომ რუსები „დურაკები“ არიან!“

**მოლოტოვი წერს:** სტალინი ყოველთვის გვაფრთხილებდა, რომ არ მიგვეცა უცხოელებისათვის ჩვენი „გადურაკების“ უფლება, არც ომის მიმდინარეობისა და არც გამარჯვებით მიღებულ ალაფის განაწილებისას. ბელადი ასეთივე პირდაპირობით სვამდა საკითხებს ამერიკის პრეზიდენტ **ფრანკლინ დელანო რუზველტისა** და დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრ **უინსტონ ჩერჩილის** წინაშე. სტალინის საუბარი მოკავშირეებთან ყოველთვის კონსტრუქციული იყო, რაც მათ ანცვიფრებდა. სტალინით აღფრთოვანებულმა რუზველტმა ერთხელ მაღალი რანგის დიპლომატს უთხრა: **„თუ ჩვენ მსოფლიოს ყველა უმნიშვნელოვანეს საქმეს გადასაწყვეტად მივანდობთ ძია ჯოს ყოველგვარი კონგრესისა და პარლამენტის გარეშე, ყველა ჩვენგანის საქმე გაცილებით უკეთესად იქნება!“**

### სტალინისა და ჩერჩილის პირველი შეხვედრა

1942 წლის 12 აგვისტოს ჩერჩილს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა კრემლში სტალინთან . ეს იყო მათი პირველი შეხვედრა. ყოვლისშემძლე ჩერჩილი იმედოვნებდა, რომ საუბრის დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ სტალინი მის ყველა მოსაზრებას გაიზიარებდა. მაგრამ ბრიტანეთის პრემიერი ანგარიშში მოტყუვდა... ნოკდაუნში ჩავარდნილ ჩერჩილს კიდევ ერთხელ დაარტყა სტალინმა, როდესაც განუცხადა: — **„თქვენ გერმანელების არ უნდა გეშინოდეთ!“ ჩერჩილს ფერი ეცვალა. სტალინმა აშკარად დასცინა ჰერცოგ მალბოროს თავმოყვარე შვილიშვილს, და სიმხდალეში დასდო ბრალი.** ჩერჩილმა გადაწყვიტა, რომ შეხვედრას ვადამდე დაასრულებდა. ის თავის ელჩ **არჩიბალდ კერთან** აღელვებული მივიდა და უთხრა: — **„ვის ელაპარაკება ის? ყველაზე დიდი იმპერიის წარმომადგენელს, რომელიც კი ოდესმე ყოფილა? ვის შეურაცხოფს ეს ვიღაც გლეხუჭა?!“** გაივლის სამი წელი და 1945 წლის 6 თებერვალს ეს „გლეხუჭა“ კენიგსბერგის კარიბჭეზე დააკაკუნებს, შემდეგ ბრესლაუსთან გადალახავს მდინარე ოდერს და ბუდაპეშტის ქუჩებში წითელ დროშასთან ერთად წითელი ალიც ავარდება.

იდგა სისხლისმღვრელი ომის 1326-ე დღე. შავი ზღვის სანაპიროზე სტალინის მიერ გადაგდებულ ანკესზე ორი ვეშაპი იყო წამოგებული — ამერიკა და დიდი ბრიტანეთი, რომელთა პირველი პირებიც ლივადიის სასახლეში მოათავსეს. სწორედ იქ, რუსეთის იმპერიის ყოფილ სასახლეში, გლეხუჭა „იოსკა ჩოფურა“ მასპინძლობდა ჰერცოგ მალბოროს მოთვინიერებულ შვილიშვილს — უინსტონ ჩერჩილს, რომელმაც იალტის კონფერენციაზე, სადაც მსოფლიო გეოპოლიტიკის ბედი წყდებოდა, განაცხადა: „მე ვცნობ საბჭოთა კავშირის უფლებას, დაიცვას თავისი სახელმწიფო ინტერესები!“ **ჩერჩილი ყოველთვის ამბობდა, რომ ბრიტანეთის მთავრობა ცნობდა კერზონის ხაზს (სადემარკაციო ხაზი პოლონეთსა და რსფსრ-ს შორის — გრ. ონიანი) უცვლელად, როგორც გავლებულია ის საბჭოთა კავშირის მიერ და ეთანხმება ლვოვის საბჭოთა კავშირთან შეერთებას“. ჩერჩილი და იდენი ბევრჯერ გააკრიტიკეს ამის გამო, როგორც პარლამენტში, ისე კონსერვატიულ პარტიაში.**



ჩერჩილი, რუზველტი და სტალინი იალტის კონფერენციაზე. 1945 წ.

**«სტალინი რუსების მიერ წარსულში დაკარგული მიწების შემგროვებლად იქცა. დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე დაიბრუნა ყველაფერი წარსულში წართმეული და დამატებით მიიღო ის, რასაც ასწლეულები დასჭირდებოდა», — დაწერა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მწერალმა კონსტანტინე სიმონოვმა**

### როგორ გადაწყვიტა სტალინმა პოლონეთის ბედი

იალტაში მოკავშირეებმა მხარი დაუჭირეს სტალინის წინადადებას და ერთხმად შეთანხმდნენ პოლონეთის საკითხზე. რუზველტმა პირდაპირ განაცხადა: „პოლონეთის საკითხი ხუთი საუკუნის განმავლობაში მსოფლიოს თავისტკივილი იყო, ჩერჩილმა თქვა, რომ უნდა ვეცადოთ, მომავალში კიდევ არ იყოს პოლონეთი კაცობრიობის თავის ტკივილი“.

**„სტალინი რუსების მიერ წარსულში დაკარგული მიწების შემგროვებლად იქცა. დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე დაიბრუნა ყველაფერი წარსულში წართმეული და დამატებით მიიღო ის, რასაც ასწლეულები დასჭირდებოდა“, — დაწერა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მწერალმა კონსტანტინე სიმონოვმა.**

საინტერესოა გრაფი **ალექსეი იგნატიევის** გამონათქვამიც. გრაფი ოფიცრის ჩინით მსახურობდა მეფის არმიის ცხენოსანთა პოლკში. სამხედრო სამსახური კი წითელი არმიის გენერალ-ლეიტენანტის წოდებით დაამთავრა. იგნატიევი ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდა რუსეთს. მან შემდეგი რამ დაწერა თავის წიგნში „50 წელი რაზმში“: **„უნდა ვაღიარო, რომ რუსეთის იმპერია არასოდეს ყოფილა ისეთი უზარმაზარი, როგორც სტალინის დროს — ელბიდან წყნარ ოკეანემდე!“**

1945 წლის 12 აპრილს გარდაიცვალა ამერიკის დიდი პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი, რომელსაც 18 დღე დააკლდა, რომ რაიხსტაგის თავზე დროშის აღმართვას მოსწრებოდა. რუზველტმა თან წაიღო გამარჯვების სიხარულიც და იალტაში მიღწეული მსოფლიოში მშვიდობის დამყარების ერთერთ ინიციატორის სახელიც.

### ურთიერთობა სტალინსა და რუზველტს შორის

რუზველტს რომ ეცოცხლა, მისი და სტალინის კიდევ ათწლიანი მეგობრობა მსოფლიოს გადააქცევდა ამქვეყნიურ სამოთხედ, რომელსაც ბოროტის ხელი ვერას დააკლებდა. მოკავშირეობისას ჩერჩილი სინანულით შენიშნავდა, რომ „ის ყოველთვის მესამე იყო“. რუზველტისა და სტალინის შეთანხმებას იაპონიასთან ერთობლივი საომარი მოქმედების დაწყებაზე ჩერჩილი არ დასწრებია. 1943 წელს, რუზველტისა და ჩერჩილის შეხვედრისას კვებეკში, ჩერჩილმა განაცხადა: **„გადაწყვეტილია, ინგლისი აქტიურად და ენერგიულად ჩაებმება იაპონიასთან ომში!“** ჩერჩილს არაერთხელ დაუდასტურებია თავისი ეს განცხადება, მაგრამ იალტაში იაპონიასთან ომის დაწყების საკითხის განხილვას ჩერჩილმა შეგნებულად აარიდა თავი, რასაც ბევრი კითხვა მოჰყვა. არ გამორიცხავდნენ, რომ ჩერჩილმა რუზველტსა და სტალინთან საკითხის გარკვევას გვერდი მიზანმიმართულად აუარა, რადგან აღმოსავლეთის საკითხი მას არ ეხებოდა. მაგრამ, მაშინ რატომ ეხებოდა რუზველტს ევროპის საკითხი? ზოგი ფიქრობდა, რომ ჩერჩილმა ხელი არ შეუშალა რუზველტს თავისი სიმპათია გამოეხატა სტალინის მიმართ და აქაც თავი მესამე კაცად ჩათვალა. რუზველტმა კარგად იცოდა სტალინის ამბავი — საბჭოეთის ლიდერი დიდ ყურადღებას მიაქცევდა წვრილმან საკითხებსაც კი, ამიტომ ამერიკის პრეზიდენტმა ბევრი ფიქრის შემდეგ, იალტის კონფერენციის მიმდინარეობის მეორე დღეს, წერილობით აცნობა თავისი მოსაზრებები სტალინს. სსრკ-ს იმჟამინდელი ელჩი ამერიკაში **ანდრეი გრომიკო** იგონებს: **„დილით, კონფერენციის გახსნამდე, სტალინმა სპეციალური დაცვით მიიღო „სასწრაფო პაკეტი პრეზიდენტისაგან“. სტალინი მაწვდის რაღაც ქაღალდს და მეუბნება — აი, წერილი რუზველტისაგან, ესესაა მივიღე. შემდგომ დასძინა: მინდა, რომ ეს წერილი წაიკითხოთ და მითარგმნოთ სასწრაფოდ, ზეპირად. მინდა, სხდომის დაწყებამდე ზუსტად ვიცოდე მისი შინაარსი! მე მყისვე გავაკეთე თარგმანი. წერილი ეხებოდა კურილიის კუნძულებსა და სახალინს. რუზველტი აცნობებდა სტალინს, რომ იაპონიის დამარცხებისა და ოკუპაციის შემდეგ, ამერიკის მთავრობა იაპონიის კურილიის კუნძულების ნახევრის და სახალინის ნახევრის საბჭოთა კავშირისთვის გადაცემას დათანხმდებოდა. წერილმა სტალინი კმაყოფილი დატოვა. ის დადიოდა კაბინეტში და გავიგონე მისი ჩუმი ხმა — კარგია, ძალიან კარგია!“** აღნიშნული ქმედებით ამერიკამ რეაბილიტაცია გაუკეთა თავის ქვეყანას და გამოისყიდა ადრე ჩადენილი დანაშაული. 1905 წელს, რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ გამართულ მოლაპარაკებაზე, ამერიკა ეხმარებოდა იაპონიას, რის შედეგადაც რუსეთს წაართვეს ზემოხსენებული ტერიტორიები. გრომიკო განაგრძობს: „ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ბელადმა განაცხადა: კარგია, რომ რუზველტი მივიდა ამ გადაწყვეტილებამდე. ამერიკამ დაიკავა კარგი პოზიცია. ეს ძალზე საჭიროა მომავალი ურთიერთობების თვალსაზრისით საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის! სტალინს, მე ვიტყოდი, განსაკუთრებული კმაყოფილებით ეჭირა ხელში რუზველტის წერილი, მას შემდეგ, რაც გაეცნო წერილის შინაარსს. ჩვენ ერთად დავდიოდით მის სამუშაო ოთახში და თითქოს, ენანებოდა ხელი გაეშვა წერილისთვის. დამშვიდობების შემდეგ ვფიქრობდი, რომ პრეზიდენტ რუზველტის პოზიცია სახალინის, კურილიის კუნძულებისა და ასევე მეორე ფრონტის გახსნის საკითხში დიდწილად განსაზღვრა სტალინის დამოკიდებულებამ რუზველტისადმი, როგორც პრეზიდენტისადმი და როგორც კაცისადმი!“

**დიდ სამამულო ომში სტალინსა და რუზველტს შორის დამყარდა ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო, რაზეც მეტყველებს ის** ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინს არაერთხელ უთქვამს, რომ რუსეთი იმარჯვებს ომებში, მაგრამ ვერ იღებს გამარჯვების ნაყოფს. რუსები იბრძვიან ბრწყინვალედ, მაგრამ არ შეუძლიათ დაამყარონ მშვიდობა!“ ამ აზრს ხშირად იმეორებდა სტალინი უცხოელ დიპლომატებთან საუბრისას დიდი სამამულო ომის პერიოდში. „რუსები ყველას დაქირავებული მუშახელი ჰგონია, — ეუბნებოდა სტალინი აშშ-ის ელჩს საბჭოთა კავშირში ავერელ ჰარიმანს,— თურმე რუსებმა უნდა გაათავისუფლონ პოლონეთი, ხოლო პოლონელებმა მიიღონ ლვოვი. ისინი ფიქრობენ, რომ რუსები „დურაკები“ არიან!“**

**დიდ სამამულო ომში სტალინსა და რუზველტს შორის დამყარდა ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო, რასაც მეტყველებს ის გულთბილი მიმოწერა, რომელსაც საარქივო მასალები ინახავენ. ასევე ის თბილი დამოკიდებულება, რომელსაც იჩენდნენ, როგორც ერთი, ისე მეორე ლიდერი ურთიერთის მიმართ, როგორც ცხარე კამათის დროს, ისე თავისუფალ გარემოში. ყველასთვის ცნობილია რუზველტის ქვრივის ომის შემდგომი გამონათქვამი: «სტალინი მოსწონდა რუზველტს. სტალინსაც ესიმპათიურებოდა რუზველტი არამხოლოდ როგორც პოლიტიკოსი, არამედ როგორც პიროვნება!»**

◀ გულთბილი მიმოწერა, რომელსაც საარქივო მასალები ინახავენ. ასევე ის თბილი დამოკიდებულება, რომელსაც იჩენდა, როგორც ერთი, ისე მეორე ლიდერი ურთიერთის მიმართ, როგორც ცხარე კამათის დროს, ისე თავისუფალ გარემოში. ყველასთვის ცნობილია რუზველტის ქვრივის ომის შემდგომი გამონათქვამი: „სტალინი მოსწონდა რუზველტს. სტალინსაც ესიმპათიურებოდა რუზველტი არამხოლოდ როგორც პოლიტიკოსი, არამედ როგორც პიროვნება!“



ბერია და სტალინი

## ურთიერთობა სტალინსა და ჩერჩილს შორის

ჩერჩილი ამბიციური პიროვნება იყო. 1946 წლის 6 მარტს პრეზიდენტ **ტრუმენის** თანხლებით შეერთებულ შტატებში საუნივერსიტეტო ქალაქ ფულტონს ეწვია და უზარმაზარ დარბაზში სიტყვა წარმოსთქვა. ვიდრე ჩერჩილი ტრიბუნაზე შედგებოდა და მოხსენების კითხვას დაიწყებდა, სტალინს უკვე მიღებული ჰქონდა ჩერჩილის გამოსვლის სტენოგრამა, რომელსაც კარგა ხანს საიდუმლოდ ამუშავებდა. 1946 წლის 9 თებერვალს სტალინი მოსკოვის დიდი თეატრის ტრიბუნაზე, ავიდა, როგორც დეპუტატობის კანდიდატი და ერთი ტკბილი სიტყვაც ვერ გაიმეტა ყოფილი მოკავშირეების მართით. ბელადმა არტილერიის ცეცხლი გაუხსნა და გააშიშვლა ყოფილი მოკავშირეები, საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეს — ქალსა თუ კაცს — კი აუნთო გულები, გასამმაგებულად ეშრომათ. სტალინმა გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ ქვეყნის არც ერთი მოქალაქე თავს არ დაზოგავდა სამშობლოს დასაცავად. ამ გამოსვლისას ბელადმა ჩერჩილი **ჰიტლერს** შეადარა. მან დარბაზში მსხდომთ გააცნო ზოგიერთი ამონარიდი ჰიტლერის გამოსვლიდან, შეადარა ისინი ჩერჩილის გამოსვლებს და ყოფილი მოკავშირე კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულსა და ატომის ერაში ომის გაჩაღების მცდელობაში დაადანაშაულა, რომელმაც შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას ცივილიზაციას. სტალინმა ირონიულად, მაგრამ მჭექარე ხმით განაცხადა: **„ჩერჩილი და მისი მეგობრები ამერიკიდან და ინგლისიდან გვთავაზობენ: მიიღეთ ჩვენი ბატონობა ნებაყოფლობით და ამის შემდეგ ყველაფერი რიგზე იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ომი გაჩაღდებაო! ეს უკვე ულტიმატუმია, ეს უკვე ომის გამოცხადებაა“.**

გამორიცხული იყო, სტალინს არ ეპასუხა ჩერჩილის გამოწვევისათვის, როდესაც იგი მოუწოდებდა ანგლო-საქსებს, სასწრაფოდ შეექმნათ სამხედრო კავშირი საბჭოეთის წინააღმდეგ საომრად. უახლეს საზღვრებს დასავლეთით, რომელიც გადიოდა ბერლინზე, პრაღაზე, ბუდაპეშტზე და მიემართებოდა აღმოსავლეთისაკენ პორტ-არტურამდე, სამხრეთით კი თითქმის მისული იყო შავი ზღვის სრუტეებამდე, დაცვა სჭირდებოდა. სტალინმა, თითქოს ფარაჯა გაიხადა, ისე მოიცილა ის ლოიალური, დიპლომატიური და ღიმილიანი საუბრის მანერა ჩერჩილსა და სხვა მოკავშირეებთან, რომელსაც ომის პერიოდში მიმართავდა და განაცხადა; „დადგა დრო, ვილაპარაკოთ ბოლშევიკური პირდაპირობით! ...საბჭოთა კავშირში დადის ხმები ახალი ომის შესახებ. ზოგიერთი უკვე იმარაგებენ ასანთსა და საპონს!“. ეს მკაცრი სიტყვები მეხივით გავარდა მსმენელთა შორის. მილიონამდე საბჭოთა ოფიცერი, რომლებიც დემობილიზაციას ელოდებოდა, სტალინის სიტყვას მოღუშული შეხვდა. სოფლად გლეხები ჩურჩულებდნენ, — დასავლეთის ზეწოლით სტალინი კოლექტივებს აუქმებსო! კონფრონტაცია საბჭოთა კავშირსა და დასავლეთს შორის საომარ რელსებზე შედგა. ყოვლისშემძლე „კა-გე-ბე“-ს მეშვეობით, სტალინმა იცოდა, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობა არა ომს, არამედ კარგ ცხოვრებას ელოდა. მთავრობა ფიქრობდა, ბელადი უფრო ლოიალური იქნებოდა, ხოლო ინტელიგენციას კი ამერიკის ფულის იმედი ჰქონდა და ფიქრობდა, რომ სტალინს ან შეაშინებდნენ, ან შეარბილებდნენ მაინც. ლენინგრადში იმაზე ოცნებობდნენ, რომ ომში დამხარების სანაცვლოდ, ამერიკა ლენინგრადს თავისუფალი ვაჭრობის ზონის ქალაქად გამოცხადებას შესთავაზებდა. სტალინმა კარგად იცოდა, რა ძლიერ ძალასთან მოუწევდა შეტაკება. ამას ემატებოდა ჩერჩილის ტრაბახი ბრიტანეთის იმპერიისა და აშშ-ს ძალების გაერთიანებაზე, ამ ალიანსის გაბატონებაზე ყველა საზღვაო სივრცეზე, უამრავი სამხედრო ბაზის შექმნის შესახებ, სადაც ატომური იარაღით აღჭურვილი ამერიკული „მფრინავი ციხესიმაგრეები“ განლაგდებოდნენ. **სტალინი ფიქრობდა, რომ ჩერჩილის მუქარა და სიტყვების რახარუხი ის ბუშტი იყო, რომელიც მალე გასკდებოდა, მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არ სტკიოდა. სტალინის გაანგარიშებით, არც ამერიკას და არც ინგლისს წითელ არმიასთან ომის რესურსი არ ჰქონდათ. ამის მიუხედავად, ბელადმა თავის დაზღვევის მიზნით სამუშაო ჩაატარა იმისათვის, რომ ამერიკის მოსახლეობა მტკიცე პროტესტით გამოსულიყო „მზაკვრული ალბიონისა“ და მყვირალა ჩერჩილის წინააღმდეგ, რომელსაც სურდა ამერიკის მოსახლეობის ჩათრევა საზღვარგარეთთან დაპირისპირებაში.** აი, ამიტომ ვერ გაბედა ამერიკამ ჩერჩილის გეგმას გაჰყოლოდა... სტალინს ბევრი ადგილობრივი თუ საზღვარგარეთელი კეთილისმსურველი ურჩევდა, ირანიდან ჯარების გამოყვანას და ტრუმენთან შეხვედრას, მაგრამ ყოველივე ეს სტალინისათვის კეთილ სურვილებად რჩებოდა. **სტალინს ზებუნებრივი ძალები სხვა მიმართულებით უბიძგებდნენ. ყოველგვარი დათმობა სტალინს ღვთაებრივ პოზიციას უსუსტებდა, რადგან უფრო ძლიერი სახელმწიფოებისაკენ ნაბიჯის გადადგმა არ ჯდებოდა სტალინის პოლიტიკურ ფილოსოფიაში. ამის ნაცვლად სტალინმა აირჩია ხელისუფლების გაძლიერების გზა ნებისმიერ ფასად.** ნებისმიერი სახის გარე დამოკიდებულების უარსაყოფად აუცილებელი იყო: ქანჩების მოჭერა, თვითდაჯერება, რეპრესიების, ანტიამერიკანიზმისა და იზოლაციის გზა. ამ გზაზე სტალინმა გადაჭრა რამდენიმე პრობლემა — შექმნა „დიდი ძალა“. მეზობლებზე ზეწოლის გზით ემზადებოდა გარდაუვალი ომისათვის, დაპირისპირებისათვის. ომში გამარჯვება თუ ომის თავიდან აცილება ვის შეეძლო უფრო ოსტატურად თუ არა ერთადერთ ტრიუმფატორს — სტალინს, რომელიც მტკიცედ იდგა მშვიდობის სადარაჯოზე.

## რატომ სჯეროდა დასავლეთს, რომ სტალინი 1953 წლამდე ატომურ ბომბს ვერ შექმნიდა

სჯეროდა იმიტომ, რომ **ლავრენტი ბერიასა** და მისი აგენტურის შესაძლებლობები ვერ გათვალეს, რომლებმაც ამერიკელებს ატომური ბომბი მოპარეს. ჩერჩილი 1946 წლის მარტში ფულტონიდან წერდა დიდი ბრიტანეთის მთავრობას: „დარწმუნებული ვარ, ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლება ღრმად არის დაჭრილი რუსების მოქმედების გამო და არ აპირებს შეეგუოს მოსკოვის ირანში შეჭრას, მანჯურიასა და კორეაში შეღწევას, ან თურქეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთში რუსეთის გაფართოებას. დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებელია გარკვეული ძალა და ძალისმიერი წინააღმდეგობა რუსეთთან მისაღები პირობების მოგვარების მისაღწევად. ვფიქრობ, შეერთებულ შტატებში გაბატონებული მოსაზრება უახლეს მომავალში ამასთან მიგვაახლოვებს! **თუ სტალინი მოულოდნელად, ომის პერიოდში გადატვირთული პირობების გამო გარდაიცვალა და მის ადგილას მოლოტოვი ან სხვა ვინმე მოვიდა, მოვლენები სხვანაირად განვითარდება. კრემლი არ დაიწყებს ზესახელმწიფოს მშენებლობას ნებისმიერ ფასად, გლეხები მიიღებენ დათმობებს, ინდუსტრია ნელ-ნელა განვითარდება, მრეწველობა კი — ჩქარა, ატომური ბომბი კი არ შეიქმნება უახლოეს მომავალში, მისი შექმნა 1953 წლამდე გადაიწევს!“** ამ სისულელეებით გაბერილმა საპნის ბუშტმა, რომელიც ჩერჩილმა ფულტონში ჰაერში გაუშვა, ევროპამდე ვერ ჩამოაღწია, რაც ადრევე იწინასწარმეტყველა კრემლში მობინადრე ღმერთკაცმა. **სტალინი არც სიკვდილს აპირებდა და არც ანგლო-საქსების ბატონობას რუსეთის იმპერიაში. თავისი „გამბედაობისა და ნებისყოფის“ ხარჯზე სტალინმა 1946 წელს მიიღო ზუსტად ის შედეგი, რისი იმედიც ჰქონდა. მან მოახერხა სახელმწიფო აპარატის, სამხედროებისა და საბჭოთა ხალხის მობილიზება ბირთვული ზესახელმწიფოს შესაქმნელად.**

## სისასტიკე და ჰუმანურობა

საოცარ სისასტიკესთან ერთად სტალინი ყოველთვის გამოირჩეოდა გასაოცარი ჰუმანური ბუნებით. ეს ხომ ტიპური ქართული ხასიათია?! მხატვარმა **ბორის ეფიმოვმა** გაზეთ „პრავდაში“ ფულტონში ჩერჩილის გამოსვლის კარიკატურა გაგზავნა გამოსაქვეყნებლად. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელების კარიკატურებს სტალინი ამოწმებდა. ჩერჩილის კარიკატურის ქვეშ ეწერა ერთი სიტყვა „ყბედი“. სტალინმა ეფიმოვს დაურეკა და ნებართვა სთხოვა: ჩერჩილი დიდი პიროვნებაა, ნუ შეურაცხვყოფთ და თუ თანახმა იქნებით, **„ყბედის“** ნაცვლად **„უხვსიტყვიანი“** ვიხმაროთ. ცხადია, ეფრემოვი ბელადს უსიტყვოდ დათანხმდა... **მიუხედავად ასეთი მკაცრი ურთიერთობისა, როგორც მეოცე საუკუნეს, ისე მომავალ საუკუნეებს ორი უდიდესი პოლიტიკოსი და დიპლომატი შერჩა — სტალინი და ჩერჩილი. სტალინს, როგორც ქართველსა და კავკასიელს, მუდამ ჰქონდა წყენა წარსულისა, რომელსაც ფარულად ინახავდა. ჩერჩილს კი თუმცა შურდა სტალინის, მაგრამ მის შეუვალობას გასაღები ვერ მოუუძებნა და, ბოლოს და ბოლოს, სტალინის დაბადების 80 წლისთავზე, 1959 წელს, თემთა პალატაში თავისი გამოსვლით სტალინის ხელთუქმნელი ძეგლი დაუდგა, რომელსაც კაცობრიობა არასოდეს დაივიწყებს.**

ქართველო, დიდი სტალინი შენი სისხლი და ხორცია, შენი მიწის შვილია, შენს ენაზე საუბრობდა, შენს შოთას და ილიას ეთაყვანებოდა, შენი დავით აღმაშენებლით ამაყობდა, შენი ტრადიციებით ცხოვრობდა, სტუმართმოყვარეობდა და შენი მრავალხმიანი სიმღერებით ხიბლავდა მსმენელს. ის ღმერთკაცი იყო, მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობდა. სტალინის უსაყვარლეს ადამიანს, ადმირალ **ივანე ისაკოვს,** ფრონტზე მიღებული ჭრილობების გამო ფეხის ამპუტაცია დასჭირდა. ოპერაციას თვითონ სტალინი ესწრებოდა. ნარკოზში მყოფ ადმირალ ისაკოვს, რომელსაც მარცხენა ფეხი მოჰკვეთეს, მარჯვენა ფეხი სტალინმა დაბანა და შეუმშრალა...

**ასე მხოლოდ სტალინს შეეძლო მოქცევა, სტალინს რომელიც 21 დეკემბერს 141 წლის გახდა.**




## ყურადღება!

„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

გენერალისიმუსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„შეუძლებელი იყო სტალინთან ისეთი მოხსენებით მისვლა, რომელიც, დავუშვათ, შეიცავდა ისეთ რუკას, რომელზეც თუნდაც უმნიშვნელოდ არსებობდა „თეთრი ლაქები“. ასევე შეუძლებელი იყო სტალინისთვის საორიენტაციო, მით უმეტეს, გაზრდილი მონაცემების მიწოდება. ი.ბ. სტალინი ვერ იტანდა ვარაუდიდან გამომდინარე პასუხებს, ითხოვდა ამომწურავ სისავსესა და სიცხადეს. მას ჰქონდა განსაკუთრებული ამოცნობის უნარი და დაუყოვნებლივ პოულობდა მოხსენებებსა და დოკუმენტებში არსებულ სუსტ ადგილებს, იგი მკაცრად სთხოვდა ამისთვის პასუხს დამნაშავეებს“.**

# გამოჩენილი საბჭოთა სარდლები იოსებ სტალინის სამხედრო ნიჭსა და დამსახურებებზე

**1879 წლის 21 დეკემბერს გორში დაიბადა გენიალური ქართველი იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი, შემდგომში სტალინი. იოსებ სტალინის პიროვნული ღვაწლი ნაცისტური გერმანიის, ფაშისტური იტალიის, რუმინეთის, უნგრეთის, სლოვაკეთის, ფინეთისა და მილიტარისტული იაპონიის დამარცხებაში უდიდესია. სტალინი პასუხისმგებელია მეორე მსოფლიო ომისა და დიდი სამამულო ომის, როგორც წარუმატებლობებზე, მარცხებსა და დანაკარგებზე, ისე საბოლოო გამარჯვებაზე. დიახ, სტალინი არის გამარჯვების კონკრეტული ავტორი.**



სტალინი 1941 წლის ივნისში საბჭოთა კავშირზე ნაცისტური გერმანიის თავდასხმის დღიდან ხელმძღვანელობდა ომს. 23 ივნისს შევიდა უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის („სტავკის“) შემადგენლობაში, ხოლო 10 ივლისიდან მისი მეთაური გახდა. 19 ივლისიდან 1947 წლის მარტამდე თავდაცვის სახალხო კომისრის (მინისტრის) პოსტსაც ითავსებდა, ხოლო 1941 წლის 8 აგვისტოდან 1945 წლის სექტემბრამდე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი გახლდათ. 1945 წელს მიიღო გენერალისიმუსის ტიტული და საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

სტალინის ხელში კონცენტრირებული აღმოჩნდა სამხედრო ძალაუფლება, მაგრამ იგი ასევე უწყვეტად უძღვებოდა საბჭოეთის საგარეო პოლიტიკას და, ამასთანავე, მას არც ეკონომიკასა და საშინაო პოლიტიკაზე ზრუნვა შეუნელებია — სტალინს მინისტრთა საბჭოს (1946 წლამდე — სახალხო კომისართა საბჭოს) თავმჯდომარის თანამდებობაც ეკავა. მაინც რაში მდგომარეობს სტალინის გენიალურობა და როგორ გაართვა მან თავი ურთულეს ამოცანას — ერთდროულად, უშუალოდ ეხელმძღვანელა სამხედროებისთვის, დიპლომატებისა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისთვის? და, თანაც, დრო რჩებოდა არქიტექტურაზე, კულტურასა და ხელოვნებაზე ფიქრისა და ზრუნვისათვის!.. ამ თემაზე დიდხანს შეიძლება საუბარი, მაგრამ ახლა მოვიყვანოთ სტალინის თანამედროვე გამოჩენილი რუსი (საბჭოთა) სამხედროების რამდენიმე ციტატა, რომლებიც სტალინის უნიკალურ თვისებებს უფრო გასაგებად წარმოაჩენს.

**გიორგი ჟუკოვი (1896-1974), წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსი, უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილე, თავდაცვის კომისრის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის მარშალი:**

„შეუძლებელი იყო სტალინთან ისეთი მოხსენებით მისვლა, რომელიც, დავუშვათ, შეიცავდა ისეთ რუკას, რომელზეც თუნდაც უმნიშვნელოდ არსებობდა „თეთრი ლაქები“. ასევე შეუძლებელი იყო სტალინისთვის საორიენტაციო, მით უმეტეს, გაზრდილი მონაცემების მიწოდება. ი.ბ. სტალინი ვერ იტანდა ვარაუდიდან გამომდინარე პასუხებს, ითხოვდა ამომწურავ სისავსესა და სიცხადეს. მას ჰქონდა განსაკუთრებული ამოცნობის უნარი და დაუყოვნებლივ პოულობდა მოხსენებებსა და დოკუმენტებში არსებულ სუსტ ადგილებს, იგი მკაცრად სთხოვდა ამისთვის პასუხს დამნაშავეებს“.

**ჟუკოვი წერს:** „სტრატეგიულ საკითხებში სტალინი ომის დაწყებიდანვე ერკვეოდა. სტრატეგია მისი პოლიტიკის ჩვეულ სფეროსთან ახლოს იდგა; და, რაც უფრო პირდაპირ ურთიერთქმედებაში მოდიოდა პოლიტიკურ საკითხებთან სტრატეგიის საკითხები, მით მყარად გრძნობდა იგი თავს... ჭკუამ და ნიჭმა მას ომის მსვლელობისას მისცა შესაძლებლობა, ოპერატიულ ხელოვნებას ისე დაუფლებოდა, რომ ფრონტების მეთაურები გამოეძახებინა და მათთან ოპერაციების ჩატარებასთან დაკავშირებული თემები განეხილა. სტალინმა თავი გამოიჩინა, როგორც ადამიანმა, რომელიც ამ საკითხებში თავის ქვეშევრდომებზე არანაკლებად, ხშირად კი უკეთესად ერკვეოდა. ამასთანავე, იყო შემთხვევები, როდესაც იგი თავად პოულობდა და ასახელებდა საინტერესო ოპერატიული გადაწყვეტის გზებს“.

**გიორგი ჟუკოვი განაგრძობს:** „ი.ბ. სტალინი საფრონტო ოპერაციების საკითხებს შესანიშნავად ფლობდა და მათ საქმის სრული ცოდნით უძღვებოდა. მას შეეძლო, სტრატეგიულ მდგომარეობაში მთავარი რგოლი ეპოვა და მტრის საწინააღმდეგოდ, ამა თუ იმ შეტევითი ოპერაციის განხორციელებისას გამოეყენებინა. ეჭვგარეშეა, რომ სტალინი ღირსეული უმაღლესი მთავარსარდალი იყო. გარდა ამისა, ოპერაციების უზრუნველყოფაში, სტრატეგიული რეზერვების შექმნაში, საომარი ტექნიკის წარმოების ორგანიზებაში და, საერთოდ, იმ ყველაფრის თავმოყრაში, რაც ფრონტს სჭირდება, ი.ბ. სტალინმა, პირდაპირ ვიტყვი, თავი გამოავლინა, როგორც უდიდესმა ორგანიზატორმა. უსამართლობა იქნება, ჩვენ რომ მას ჯეროვანი პატივი არ მივაგოთ ამის გამო“.

**ალექსანდრე ვასილევსკი (1895-1977), ოპერატიული მართვის უფროსი, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, მოსკოვის კონტრშეტევის ორგანიზატორი, გენერალ-ლეიტენანტი:**

„სტალინზე, როგორც ომის წლების სამხედრო ხელმძღვანელზე, აუცილებელია სიმართლის დაწერა. იგი არ იყო სამხედრო ადამიანი, მაგრამ მას ჰქონდა გენიალური ტვინი. მას შეეძლო საქმის არსში ღრმად შეღწევა და სამხედრო გადაწყვეტის კარნახი... თუკი სტალინი რაიმეთი უკმაყოფილო იყო, ხოლო ომში, განსაკუთრებით მის დასაწყისში, საამისო მიზეზი ბევრი იყო, მას შეეძლო, ადამიანი მკვეთრი ფორმით და უსამართლოდ გაელანძღა, მაგრამ ომის მსვლელობისას იგი შესამჩნევად შეიცვალა. გენშტაბის მუშაკებისა და თავდაცვის სახალხო კომისარიატის მთავარი სამმართველოების მიმართ, ფრონტების სარდლების მიმართ იგი უფრო თავშეკავებული და მშვიდი გახდა, მაშინაც კი, როდესაც ფრონტზე რაღაც ცუდი ხდებოდა. მასთან შეხვედრა გაცილებით მარტივი გახდა, ვიდრე უწინ იყო. როგორც ჩანს, ომმა, მისმა ზიგზაგებმა, ჩვენმა წარუმატებლობებმა და წარმატებებმა სტალინის ხასიათზე იმოქმედა... მე კარგი ურთიერთობა მქონდა **ნ. ს. ხრუშჩოვთან** ომის დასრულების პირველ წლებში, მაგრამ ეს ურთიერთობა შემეცვალა მას შემდეგ, რაც **მხარი არ დავუჭირე ხრუშჩოვის მტკიცებებს იმის თაობაზე, თითქოს ი. ბ. სტალინი ვერ ერკვეოდა ოპერატიულ-სტრატეგიულ საკითხებში და არაკვალიფიციურად ხელმძღვანელობდა ჯარების მოქმედებებს, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი. დღემდე ვერ გამიგია, როგორ შეეძლო ხრუშჩოვს ასეთი რამის მტკიცება. როდესაც იგი პარტიის ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი და რიგი ფრონტების სამხედრო საბჭოს წევრი იყო. ნ. ს. ხრუშჩოვს არ შეეძლო, არ სცოდნოდა, რაოდენ მაღალი იყო „სტავკისა“ და სტალინის ავტორიტეტი სამხედრო მოქმედებების წარმოების საკითხებში.** ასევე შეუძლებელია, მას არ სცოდნოდა, რომ ფრონტებისა და არმიების სარდლები დიდი პატივით ეპყრობოდნენ „სტავკასა“ და სტალინს, აფასებდნენ მათ ბრძოლებში ნაჩვენები განსაკუთრებული კომპეტენტურობისთვის. **ჩემი ღრმა რწმენით, ი. ბ. სტალინი ...იყო ყველაზე ძლიერი და კოლორიტული ფიგურა სტრატეგიულ სარდლობაში. იგი წარმატებით ახორციელებდა ფრონტების მეთაურობას და შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა ომში მოკავშირე ქვეყნების წამყვან პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეებზე. სტალინთან მუშაობა საინტერესო და თან წარმოუდგენლად ძნელი იყო, განსაკუთრებით ომის პირველ წლებში. იგი ჩემს მეხსიერებაში დარჩა მკაცრ, ძლიერი ნებისყოფის სამხედრო ხელმძღვანელად, რომელსაც, ამასთანავე, პიროვნული მომხიბვლელობაც არ აკლდა.** ი. ბ. სტალინს არა მხოლოდ უზარმაზარი გონება ჰქონდა, არამედ საოცრად დიდი ცოდნა. მისი ანალიტიკური აზროვნების შესაძლებლობები პარტიის ცკ-ის პოლიტბიუროს სხდომებზე, თავდაცვის სახელმწიფო ბიუროს სხდომებზე და „სტავკაში“ მუდმივი მუშაობისას ჩანდა. **სტალინი აუჩქარებლად, ოდნავ მხრებში მოხრილი დააბიჯებდა და ისე უსმენდა გამომსვლელებს, ხანდახან კითხვას სვამდა, რეპლიკებს აკეთებდა. როდესაც განხილვა მთავრდებოდა, მკაფიოდ აყალიბებდა დასკვნებს, შედეგებს აჯამებდა. მისი დასკვნები არ იყო უხვსიტყვიანი, სამაგიეროდ არ აკლდა შინაარსობრივი სი-** ▶

**სტალინი 1941 წლის ივნისში საბჭოთა კავშირზე ნაცისტური გერმანიის თავდასხმის დღიდან ხელმძღვანელობდა ომს. 23 ივნისს შევიდა უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის („სტავკის“) შემადგენლობაში, ხოლო 10 ივლისიდან მისი მეთაური გახდა. 19 ივლისიდან 1947 წლის მარტამდე თავდაცვის სახალხო კომისრის (მინისტრის) პოსტსაც ითავსებდა, ხოლო 1941 წლის 8 აგვისტოდან 1945 წლის სექტემბრამდე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი გახლდათ. 1945 წელს მიიღო გენერალისიმუსის ტიტული და საბჭოთა კავშირის გმირის წოდება**

**სტალინის ხელში კონცენტრირებული აღმოჩნდა სამხედრო ძალაუფლება, მაგრამ იგი ასევე უწყვეტად უძღვებოდა საბჭოეთის საგარეო პოლიტიკას და, ამასთანავე, მას არც ეკონომიკასა და საშინაო პოლიტიკაზე ზრუნვა შეუნელებია — სტალინს მინისტრთა საბჭოს (1946 წლამდე — სახალხო კომისართა საბჭოს) თავმჯდომარის თანამდებობაც ეკავა. მაინც რაში მდგომარეობს სტალინის გენიალურობა და როგორ გაართვა მან თავი ურთულეს ამოცანას — ერთდროულად, უშუალოდ ეხელმძღვანელა სამხედროებისთვის, დიპლომატებისა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისთვის? და, თანაც, დრო რჩებოდა არქიტექტურაზე, კულტურასა და ხელოვნებაზე ფიქრისა და ზრუნვისთვის!..**

„სტალინი აუჩქარებლად, ოდნავ მხრებში მოხრილი დააბიჯებდა და ისე უსმენდა გამომსვლელებს; ხანდახან კითხვას სვამდა, რეპლიკებს აკეთებდა. როდესაც განხილვა მთავრდებოდა, მკაფიოდ აყალიბებდა დასკვნებს, შედეგებს აჯამებდა. მისი დასკვნები არ იყო უხვსიტყვიანი, სამაგიეროდ არ აკლდა შინაარსობრივი სიღრმე და, როგორც წესი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ან სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის დადგენილების საფუძველი ხდებოდა, ისევე, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის დირექტივებსა და ბრძანებებში აისახებოდა“.

გენერალისიმუსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ღრმე და, როგორც წესი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ან სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის დადგენილების საფუძველი ხდებოდა, ისევე, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის დირექტივებსა და ბრძანებებში აისახებოდა“.

**კირილე მოსკალენკო (1902-1985), 38-ე და მე-40 არმიების სარდალი, სსრ კავშირის მარშალი:**

„როდესაც **ნიკოლოზ ვატუტინმა** უმაღლესთან (მთავარსარდალთან) თავისი საუბრის შესახებ მოგვითხრო, მე ვერ ვფარავდი გაოცებას იმ სინატიფის გამო, რომლითაც „სტავკა“ აანალიზებდა სამხედრო მოქმედებებს და უნებურად აღმომხდა: „რომელი რუკებით ადევნებს თვალს უმაღლესი (მთავარსარდალი) ჩვენს ქმედებებს, თუკი ჩვენზე მეტს ხედავს და ჩვენზე ღრმად იყურება?“ ნიკოლაი ფიოდოროვიჩმა გაიღიმა: „ორ და ხუთათასიანებით უყურებს ფრონტს და ასიათასიანებით — თითოეულ არმიას. იგი იმის უმაღლესია, რომ გვიკარნახოს ჩვენ, შეგვისწოროს შეცდომები...“

**ივანე (ოვანეს) ბაგრამიანი (1897-1982), 1-ელი ბალტიისა და მე-3 ბელორუსიის ფრონტების სარდალი, სსრ კავშირის მარშალი:**

„ვიცოდი რა სტალინის უზარმაზარი უფლებამოსილებანი და მისი რკინისებური მმართველობა, მე გამაოცა ხელმძღვანელობის მისეულმა მანერამ. მას შეეძლო მოკლედ ებრძანებინა: „მიეცით კორპუსი! — წერტილი“, მაგრამ, ამასთანავე, სტალინი დიდი ტაქტითა და მოთმინებით ილვწოდა იმისთვის, რომ შემსრულებელი თვითონ დარწმუნებულიყო ამ ნაბიჯის აუცილებლობაში. შემდგომ მე, როგორც ფრონტის სარდალს, თავად მიწევდა უმაღლეს მთავარსარდალთან საუბარი და დავრწმუნდი, რომ მას თავისი ქვეშევრდომების აზრის მოსმენა შეეძლო. თუკი შემსრულებელი მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე და საამისოდ მყარი არგუმენტები ჰქონდა, სტალინი თითქმის ყოველთვის უთმობდა“.

**ალექსანდრე გოლოვანოვი (1904-1975), შორი მოქმედების ავიაციის სარდალი, მე-18 საჰაერო არმიის სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი:**

„უმაღლესი მთავარსარდალი ი. ბ. სტალინი უმძიმესი მსოფლიო ომის სათავეში იდგა... როდესაც იგი ამა თუ იმ ადამიანს შეისწავლიდა და მის ცოდნასა და ნიჭში დარწმუნდებოდა, ნდობით ეკიდებოდა. ასეთ ადამიანებს, მე ვიტყოდი, უსაზღვრო ნდობა ჰქონდათ, მაგრამ, ღმერთმა დაიფაროს, რომ ასეთ ადამიანებს ცუდი თვისებები გამოევლინათ რამეში. სტალინი ასეთ რაღაცას არავის მიუტევებდა... მისი დამოკიდებულება ადამიანების მიმართ, თუკი შეიძლება ასე ითქვას, შეესაბამებოდა მათ შრომას, მათთვის დავალებული საქმისადმი დამოკიდებულებას. **ი. ბ. სტალინთან მუშაობა, პირდაპირ უნდა ითქვას, არ იყო იოლი. იგი ფლობდა დიდ ცოდნას, არ ითმენდა ზოგადი ხასიათის მოხსენებებს, ზოგად ფორმულირებებს. ყველა კითხვას კონკრეტული პასუხები უნდა გასცემოდა, უაღრესად მოკლე და გასაგები... სტალინს შეეძლო ადამიანებთან მიკიბვ-მოკიბვის გარეშე საუბარი, ეთქვა მათთვის პირდაპირ ის, რასაც ფიქრობდა, და ეს ამ ადამიანის წყენინებისა და შეურაცხყოფის გარეშე ხდებოდა. ეს იყო სტალინის განსაკუთრებული ხასიათი. სტალინის წილი დიდი სამამულო ომის მსვლელობაში უაღრესად მაღალი იყო როგორც წითელი არმიის მმართველ პირთა შორის, ისე საბჭოთა არმიის შეიარაღებული ძალების ყველა ჯარისკაცსა და ოფიცერს შორის. ეს უდავო ფაქტია, რომელსაც ვერავინ ვერაფერს უპირისპირებს“.**


გიორგი ჟუკოვი


ალექსანდრე ვასილევსკი


ანდრეი ხრულიოვი


ალექსანდრე გოლოვანოვი


ივანე ბაგრამიანი


კირილე მოსკალენკო

**«სტალინი იყო ყველაზე ძლიერი და კოლორიტული ფიგურა სტრატეგიულ სარდლობაში. იგი წარმატებით ახორციელებდა ფრონტების მეთაურობას და შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა ომში მოკავშირე ქვეყნების წამყვან პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეებზე. სტალინთან მუშაობა საინტერესო და თან წარმოუდგენლად ძნელი იყო, განსაკუთრებით ომის პირველ წლებში. იგი ჩემს მეხსიერებაში დარჩა მკაცრ, ძლიერი ნებისყოფის სამხედრო ხელმძღვანელად, რომელსაც, ამასთანავე, პიროვნული მომხიბვლელობაც არ აკლდა»**

**ანდრეი ხრულიოვი (1892-1962), თავდაცვის კომისრის მოადგილე, წითელი არმიის ზურგის მთავარი სამმართველოს უფროსი:**

„სტალინი ყველაფერს თავისკენ იზიდავდა. თვითონ არსად მიდიოდა. მოვიდოდა, დავუშვათ, დღის ოთხ საათზე კრემლის კაბინეტში და იწყებდა გამოძახებას. მას ჰქონდა სია, ვინ უნდა მოეწვია. როცა მოდიოდა, ესე იგი, თავდაცვის კომიტეტის ყველა წევრი უნდა გამოცხადებულიყო. ადრე არავინ იკრიბებოდა. მოვიდოდა სტალინი და მისი მდივანი **პოსკრებიშევი** იწყებდა მათთან რეკვას, ვინც მოცემულ მომენტში იყო საჭირო... თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ყველა წევრს ჰქონდა თავისი სამუშაო უბანი. მაგალითად, **მოლოტოვი** ტანკებზე აგებდა პასუხს, **მიქოიანი** — საინტენდანტო მომარაგებაზე, საწვავით მომარაგებაზე, ლენდ-ლიზის საკითხებზე, ხანდახან ასრულებდა სტალინის დავალებებს ფრონტზე ჭურვების გასაგზავნად. **მალენკოვი** დაკავებული იყო ავიაციით, ხოლო **ბერია** — საბრძოლო მასალებითა და შეიარაღებებით. ყველა მოდიოდა სტალინთან თავისი საკითხებით და ამბობდა: გთხოვთ, მიიღოთ ესა და ეს გადაწყვეტილება ამა და ამ საკითხზე... და რა არის „სტავკა“? ეს იყო სტალინი, „სტავკის“ წევრები, ოპერატიულ საკითხებზე გენერალური შტაბის ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე და თავდაცვის მთელი სახალხო კომისარიატი... არც „სტავკაში“, არც სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტში არანაირ ბიუროკრატიზმს არ ჰქონია ადგილი. ეს იყო მხოლოდ ოპერატიული ორგანოები. ხელმძღვანელობა სტალინის ხელში იყო კონცენტრირებული... სახელმწიფო და სამხედრო აპარატში ცხოვრება დაძაბული იყო, მუშაობა — ოცდაოთხსაათიანი, ყველანი იმყოფებოდნენ თავიანთ სამუშაო ადგილებზე. არავინ იძლეოდა ბრძანებას, რომ ეს ასე უნდა იყოს, მაგრამ ეს ასე მოხდა თავისით. სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალმა **ა. ნოვიკოვმა** ერთხელ ბრძანება გასცა, რომელშიც ასეთი პრეამბულა ეწერა: იმუშავეთ იმავე საათებში, როგორც სტალინი; ამაზე უმაღლესს მაშინვე ჰქონდა რეაქცია: რა მნიშვნელობა აქვს, რომ მე ასე ვმუშაობ. სტალინი მუშაობას იწყებდა და ასრულებდა სხვადასხვა დროს სხვადასხვა დღეებში. მას შეეძლო ერთ დღეს ნაშუადღევის 4 საათზე მოსულიყო, მეორე დღეს კი — საღამოს 8 საათზე, მუშაობის დასრულება შეეძლო დილის 4-ზე ან 7 საათზე... სტალინი დოკუმენტებს ხშირად აწერდა ხელს ისე, რომ მათ არ კითხულობდა, მაგრამ ეს ასე იყო მანამ, სანამ თქვენ საკუთარ თავს არ გაუკეთებდით კომპრომეტაციას. ყველაფერი ნდობაზე იყო აგებული. თუკი სტალინი დარწმუნდებოდა, რომ ეს ადამიანი მატყუარაა, რომ მან იცრუა, მისი ბედი მაშინვე წყდებოდა... მე სტალინისთვის ხელმოსაწერად ათასობით დოკუმენტი მაქვს მომზადებული, მაგრამ მათი მომზადებისას თითოეულ ასოს ვაკვირდებოდი... თუკი არ მიძახებდა, მაგრამ მნიშვნელოვანი საქმე მქონდა, მივდიოდი თავად, შევდიოდი სტალინთან კაბინეტში. თუკი რამე სხდომა ტარდებოდა, ვჯდებოდი შესაფერისი მომენტის მოლოდინში. მე არასოდეს გამოვუგდივარ, თუმცა არც არავინ გამოუგდიათ იქიდან“.

ეს მხოლოდ მცირე ნაწილია პროფესიონალი სამხედროების მიერ დიდი მთავარსარდლის შეფასებებისა.

didisamamulo.ge

პრეს-კონფერენცია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პუტინი მსოფლიო ლიდერებიდან ბოლო იყო, რომელმაც ბაიდენს აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და პირველად ილაპარაკა ვაშინგტონთან ურთიერთობაზე ახალი ადმინისტრაციის პირობებში: „ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ აშშ-ის ახალარჩეული პრეზიდენტი გამოცდილი ადამიანია, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში და იოლად მიხვდება, რაც ხდება. ვიმედოვნებთ, რომ ყველა პრობლემა თუ არა, რომლებიც შეიქმნა, ნაწილი მაინც გადაწყდება ახალი ადმინისტრაციის პირობებში.**

# «მოდი, მეგობრულად ვიცხოვროთ!»

**ბევრმა დასავლურმა მედიასაშუალებამ გააშუქა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ვიდეოკონფერენცია, რომელიც 18 დეკემბერს ნოვო-ოგარიოვოს რეზიდენციაში გამართა და 14 საათსა და 30 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა. ჟურნალისტები წერენ, რომ „კორონავირუსთან“ ბრძოლაში წარმატებების თემა „წითელ ძაფად“ გასდევდა ამ ღონისძიებას. ამასთანავე პუტინმა დაადანაშაულა დასავლეთი მანიპულაციებსა და რუსეთთან ურთიერთობის გაუარესებაში, თუმცა, ამასთანავე, განაცხადა, რომ მზად არის აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასთან და სხვა უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობისთვის. პუტინმა მათ ცნობილი მულტფილმის გმირის, კატა ლეოპოლდის, სიტყვებით მიმართა: „მოდი, მეგობრულად ვიცხოვროთ!“**

## «პუტინი პუტინად რჩება»: დასავლური მედია რუსეთის პრეზიდენტის პრესკონფერენციაზე



**Das Erste-მა (გერმანული ტელევიზია) განაცხადა, რომ პუტინმა მოსახლეობას მასობრივი ვაქცინაციისკენ მოუწოდა და ადამიანები სამამულო წარმოების ვაქცინა «სპუტნიკ V»-ის ეფექტიანობასა და უსაფრთხოებაში დაარწმუნა**

### „წითელი ძაფით“

**The Washington Post**-ი წერს: „პრესკონფერენციის პირველი საათის არსი იყო ის, რომ რუსეთი სხვა ქვეყნებთან შედარებით წარმატებით უმკლავდება პანდემიას“.

„პრესკონფერენციის განმავლობაში რუსეთის ლიდერმა შეინარჩუნა თავდაჯერებული ტონი და განაცხადა, რომ მისმა ქვეყანამ კორონავირუსის პანდემიასთან ბრძოლაში თავი უკეთესად გამოავლინა, ვიდრე აშშ-მა და ევროპამ“, — იუწყება **Bloomberg**-ი.

ავსტრიულმა გაზეთმა **Kurier**-მა კი აღნიშნა, რომ „რუსეთის სტატისტიკური მონაცემები, სავარაუდოდ, შემცირებულია. „ჩვენ უკეთესი ვართ, ვიდრე სხვა ქვეყნები“, — ეს გამონათქვამი წითელ ძაფად გასდევდა ღონისძიებას“.

**Das Erste**-მა (გერმანული ტელევიზია) განაცხადა, რომ პუტინმა მოსახლეობას მასობრივი ვაქცინაციისკენ მოუწოდა და ადამიანები სამამულო წარმოების ვაქცინა „სპუტნიკ V“-ის ეფექტიანობასა და უსაფრთხოებაში დაარწმუნა.

### სპილო, რომლის არშემჩნევა შეუძლებელია

ფრანგული **FR1** წერს, რომ იყო სპილო, რომლის არშემჩნევა არ შეიძლებოდა. ეს არის ბლოგერ **ალექსეი ნავალნის** მოწამვლის საკითხი, რომელიც ჟურნალისტებმა წამოწიეს.

**The Guardian**-ი აღნიშნავს, რომ **პუტინმა უცხოელი ექსპერტების მიერ ჩატარებულ მოწამვლის გამოძიებას „ამერიკული სპეცსამსახურების მასალების ლეგალიზება“ უწოდა და დარწმუნებით განაცხადა, რომ „ნავალნი ამ სპეცსამსახურების მხარდაჭერით სარგებლობს. „ვის სჭირდება ის? რომ გვდომოდა, საქმეს ბოლომდე მივიყვანდით“**, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

ესპანური El Paris-ის ცნობით, „რუსეთის ლიდერმა ირონიული ტონითა და ნახევრად ღიმილით აღნიშნა, რომ თავდასხმა, რომელიც კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა ნავალნის, იყო „ტრიუკი გარკვეული დონის მისაღწევად“.

### საყვედურები დასავლეთს

„პუტინი მსოფლიო ლიდერებიდან ბოლო იყო, რომელმაც ბაიდენს აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და პირველად ილაპარაკა ვაშინგტონთან ურთიერთობაზე ახალი ადმინისტრაციის პირობებში“, — წერს **The Washington Post**-ი. **„ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ აშშ-ის ახალარჩეული პრეზიდენტი გამოცდილი ადამიანია, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში და იოლად მიხვდება, რაც ხდება. ვიმედოვნებთ, რომ ყველა პრობლემა თუ არა, რომლებიც შეიქმნა, ნაწილი მაინც გადაწყდება ახალი ადმინისტრაციის პირობებში“.**

გერმანული **Handelsblat**-ის ცნობით, პუტინმა დასავლეთი და აშშ შეთანხმებების დარღვევაში დაადანაშაულა, კერძოდ, ნატოს გაფართოებაში აღმოსავლეთით, აგრეთვე, განიარაღების შესახებ რამდენიმე ხელშეკრულების შეუსრულებლობაში. რუსეთის პრეზიდენტმა, აგრეთვე, დაადანაშაულა ამერიკელები რუსული ბუნებრივი აირის ევროპისთვის მიწოდებაში ხელის შეშლაში და ძვირად ღირებული ამერიკული თხევადი აირის შეთავაზებაში. რუსეთის ლიდერმა ევროპელები გააფრთხილა, რომ ამერიკული ბუნებრივი აირის არჩევის შემთხვევაში ელექტროენერგია აუცილებლად გაუძვირდებათ.

ფრანგული **BFMTV**-ი იუწყება, რომ პუტინი პუტინად დარჩა. მან დასავლეთს პოპულარული საბჭოთა მულტფილმის პერსონაჟის, კატა ლეოპოლდის, სიტყვებით მიმართა: **„მოდი, მეგობრულად ვიცხოვროთ!“**

**russian.rt.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**გერმანული Handelsblat-ის ცნობით, პუტინმა დასავლეთი და აშშ შეთანხმებების დარღვევაში დაადანაშაულა, კერძოდ, ნატოს გაფართოებაში აღმოსავლეთით, აგრეთვე, განიარაღების შესახებ რამდენიმე ხელშეკრულების შეუსრულებლობაში. რუსეთის პრეზიდენტმა ამერიკელები, აგრეთვე, დაადანაშაულა რუსული ბუნებრივი აირის ევროპისთვის მიწოდებაში ხელის შეშლაში და ძვირად ღირებული ამერიკული თხევადი აირის შეთავაზებაში**

# ვლადიმერ პუტინი: ამიერკავკასიაში მაღალია ვითარების გამწვავების რისკი



## «რუსეთი უმოკლეს ვადაში უნდა იყოს მზად თავის საზღვართან უცხოური რაკეტების განლაგებაზე პასუხის გასაცემად»



**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი რფ-ის თავდაცვის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც 21 დეკემბერს გაიმართა, სიტყვით გამოვიდა. აი მისი გამოსვლის ძირითადი თეზისები:**

* დეკემბრის შუა რიცხვებში რუსეთის არმიაში თანამედროვე შეიარაღებისა და ტექნიკის წილი 70%-ს შეადგენს, ბირთვულ ძალებში — 80%-ს;

*** რუსეთის არმია და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ატომური ტრიადა გავიდა იმ დონეზე, რომელიც გარანტირებულად უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებას;**

* შეიარაღების ცვლილების სიჩქარე „ფორმულა-1“-ის სიჩქარეებზეც კი მეტია, ის კოსმოსურია და, თუ გაჩერდება ერთი წამითაც კი, ჩამორჩენა დაიწყება;

*** რუსეთი უმოკლეს ვადაში უნდა იყოს მზად თავის საზღვრებთან უცხოური რაკეტების განლაგებაზე პასუხის გასაცემად.**

* მსოფლიოში სამხედრო-პოლიტიკური ვითარება რთულია. მაღალია ვითარების გამწვავების რისკი ამიერკავკასიაში, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში.

**Busines-gazeta.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

**დეგრადაციამ ევროპელი ადამიანის პიროვნებისა, რომელსაც ტლანქად ჩორკნიან „მულტიკულტურიზმის“, „ტოლერანტობისა“ და „პოლიტკორექტულობის“ სტერეოტიპების სულისკვეთებით, შეუქცევადი პროცესის სახე მიიღო. დანარჩენი — იდეებისა და სტრუქტურიზებული პოლიტიკური აზროვნების არარსებობა, ლიდერების კრიზისი, სახელმწიფოებრივი ნების დამბლა, დემოკრატიის გადაგვარება ოხლოკრატიად — ეს შედეგია.**

შეუქცევადი პროცესი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ანტიფრანგული პროტესტი კარიკატურების მორიგი სკანდალის შემდეგ

# ევროპელი ადამიანის პიროვნების დეგრადაცია ევროპულ ოხლოკრატიაში

**ნოემბერსა და დეკემბერში გამართულმა ევროკავშირის სამიტებმა, რომლებზეც ბევრი იყო უთანხმოება და კამათი, ხოლო გადაწყვეტილებები რაღაც უნიათო კომპრომისებამდე დაიდა (თავი აარიდეს თურქეთისთვის სანქციების დაწესებას, დაბლოკეს პოლონეთისა და უნგრეთის მოთხოვნები ევროკავშირის 7-წლიანი ბიუჯეტის მიმართ), დაადასტურა, რომ ევროპაში უკვე აღარ არიან ძლიერი პოლიტიკური ლიდერები.**

„თანამედროვე ევროპა ლიდერების კრიზისს განიცდის. ევროპის პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ვერ ვხედავ ადამიანს, რომელსაც ვუწოდებდი სანიმუშო ევროპელ ლიდერს“, — აგდებით თქვა ერთხელ **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა.** და თურქეთის ლიდერის დიაგნოზს ბევრი ეთანხმება.

* „გამოჯანმრთელებისკენ“ მიმავალი გზის პოვნა პრობლემაა, ძალიან დიდი პრობლემა თვით **ანგელა მერკელისთვისაც** კი“, — აღნიშნავს გამოცემა European Politico. ქალბატონი ფედერალური კანცლერი აშკარად სუსტდება.

* „სანიმუშო ევროპელი ლიდერის“ როლს ვერ ირგებს და ახლოსაც არ არის მსოფლიოს ლიდერობასთან საფრანგეთის პრეზიდენტი **ემანუელ მაკრონი,** როგორც უნდა ცდილობდეს და „ოცნებობდეს მსოფლიო გლობალიზაციის იდეაზე“, — წერს Time. **„მაკრონის მმართველობის პერიოდში, — აღნიშნავს ამერიკული გამოცემა, — ქვეყნის ეკონომიკა არ იზრდება, საზოგადოებაში კი დაპირისპირებამ მოიმატა. შეიძლება ითქვას, რომ მაკრონი, როგორც პოლიტიკოსი, პატარა და უსუსურია“.**

* **„სი ძინპინს ან პუტინს კონკურენცია რომ გაუწიო, „საჭიროა გამბედაობა, არაორდინარული იდეები და კარგად სტრუქტურირებული პოლიტიკური აზროვნება. ასეთი თვისებები კი ევროპის ქვეყნების სახელმწიფო და მთავრობის მეთაურებს არ აქვთ“,** — აღნიშნავს ჩეხური გამოცემა Reflex-ი.

პოლიტიკური ლიდერების თვალსაზრისით, მბჟუტავი ევროპის ფონზე, ასე თუ ისე, გამოირჩევიან უნგრეთისა და პოლონეთის პირველი პირები, მაგრამ **უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი ევროსკეპტიკოსია, ხოლო პოლონეთი, უბრალოდ, პარაზიტია ევროკავშირის სხეულზე — ყოველწლიურად 20 მლრდ ევროს იღებს დოტაციის სახით და თანაც ევროკავშირში ამერიკის შეერთებული შტატების ტროას ცხენის როლს ასრულებს.**

დასკვნა სანუგეშო არ არის: „ევროპაში ლიდერების კრიზისია, ეს კი ნების დამბლას ნიშნავს.

* „დამბლამ მოიცვა დასავლური სამყარო. „აშშ-ის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის მთავრობები ჩიხში არიან“, — წერს გამოცემა Atlantico-ს ფურცლებზე ისტორიკოსი **ედუარ იუსონი.** „იმავე საფრანგეთში, — აცხადებს იუსონი, — „ზემოთ“ მოკალათებული პოლიტიკოსები ვერ აცნობიერებენ ისეთ საზოგადოებრივ მოთხოვნას, როგორიც არის მოქალაქეებისა და ადგილობრივი კოლექტივებისთვის გადაწყვეტილებებში რეალური მონაწილეობის შესაძლებლობის დაბრუნება. არადა, დღეს შექმნილ პოლიტიკურ კლიმატში ძლიერი პოლიტიკური ლიდერების გამოჩენის ალბათობა ძალიან მცირეა.

**ის, რასაც ადრე ევროპული დემოკრატია ერქვა, დეგრადაციას განიცდის და გარდაიქმნება ოხლოკრატიად — პლებსის, ბრბოს და არა ხალხის ძალაუფლებად. დღეს ევროპის პლებსი ნელ-ნელა იგდებს ხელთ ძალაუფლების ბერკეტებს. ზენაციონალური ინსტიტუტები კი ბარიერებს უქმნის პოტენციურად ძლიერ ნაციონალურ ლიდერებს. იდეურად გამოყვანილ ზენაციონალურ სუბსტრატს არ ძალუძს, შვას დე გოლები ან ჩერჩილები. ევროპულ პოლიტიკაში ელიტისგან დარჩა მხოლოდ სახელწოდება, დემოკრატიისგან კი — უშინაარსო, ცარიელი გარსი.**




**«სი ძინპინს ან პუტინს კონკურენცია რომ გაუწიო, «საჭიროა გამბედაობა, არაორდინარული იდეები და კარგად სტრუქტურირებული პოლიტიკური აზროვნება. ასეთი თვისებები კი ევროპის ქვეყნების სახელმწიფო და მთავრობის მეთაურებს არ აქვთ», — აღნიშნავს ჩეხური გამოცემა Reflex-ი**

გავიხსენოთ „დემოკრატი ადამიანის“ თვისებებისა და დემოკრატიული წყობის ნიშნების აღწერა **პლატონის** „სახელმწიფოში“, რომელშიც „თავხედობას არქმევენ განათლებულობას, აღვირახსნილობას — თავისუფლებას, გარყვნილებას — ბრწყინვალებას, უსირცხვილობას — ვაჟკაცობას“.

**პლატონი** წერდა: **„დემოკრატიულ სახელმწიფოში მხოლოდ ის გესმის, რა მშვენიერია თავისუფლება და მხოლოდ ასეთ სახელმწიფოში ღირს ცხოვრება... რომელი დაავადება ხრავს დემოკრატიას და იმონებს მას? ამ დაავადებას უნდა ვუწოდოთ უსაქმური და მფლანგველი ადამიანების გამოჩენა... და ჩვენ ისინი მივამსგავსეთ მუქთახორებს... დემოკრატიული წყობისას ისინი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველაფრის სათავეში არიან: ყველაზე შხამიანი მუქთახორები წარმოთქვამენ სიტყვას და მოქმედებენ... ასეთ სახელმწიფო წყობაში, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, განკარგულებებს გასცემენ მსგავსი ადამიანები“.**

არის კი შორს ეს დახასიათება იმის აღწერისგან, რასაც დღევანდელი დემოკრატია ჰქვია, და რომელიც გამოხრულია მუქთახორებისგან? ევროპაში, სადაც „ძველი“ სახელმწიფოების მკვიდრი მოსახლეობა სამუშაოს შესრულების პასუხისმგებლობას აკისრებს ჩასულ იმიგრანტებს, თვითონ კი პარაზიტების კლასად ყალიბდება?

**ასეთი მუქთახორების საზოგადოებას მხოლოდ თავისი მსგავსების დელეგირება შეუძლია მმართველ ფენაში — ისეთების, რომლებიც მუშაობას თაკილობენ, არ აქვთ შექმნის უნარი, ვერ აზროვნებენ შემოქმედებითად, ვერ ხვდებიან, როგორ გაიხედონ ჰორიზონტს მიღმა, მომავალში.** ევროპაში არ არიან ძლიერი ლიდერები. ისინი ვერც გაჩნდებიან, თუ გამოვალთ იქიდან, რომ **დეგრადაციამ ევროპელი ადამიანის პიროვნებისა, რომელსაც ტლანქად ჩორკნიან „მულტიკულტურიზმის“, „ტოლერანტობისა“ და „პოლიტკორექტულობის“ სტერეოტიპების სულისკვეთებით, შეუქცევადი პროცესის სახე მიიღო. დანარჩენი — იდეებისა და სტრუქტურიზებული პოლიტიკური აზროვნების არარსებობა, ლიდერების კრიზისი, სახელმწიფოებრივი ნების დამბლა, დემოკრატიის გადაგვარება ოხლოკრატიად — ეს შედეგია.**

ევროპაში „სანიმუშო ევროპელი ლიდერის“ არარსებობის შესახებ ერდოღანის გამონათქვამზე მართებული იქნება მწერლისა და მისიონერის, დეკანოზ **ანდრეი ტკაჩოვის** ციტატის მოყვანა: **„პოლიტიკოსი დემოკრატიის პირობებში — ეს არის მსახიობი სცენაზე მილიონობით „საშუალოს“ წინაშე. ამ „საშუალოებს“ ის ეპირფერება... და ამ პოლიტიკოსის ენა ბრბოს ენაა, სიცრუის ენა“.**

fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



ანგელა მერკელი და დონალდ ტუსკი



ემანუელ მაკრონი(მარჯვნივ) და ბორის ჯონსონი

**ის, რასაც ადრე ევროპული დემოკრატია ერქვა, დეგრადაციას განიცდის და გარდაიქმნება ოხლოკრატიად — პლებსის, ბრბოს და არა ხალხის ძალაუფლებად. დღეს ევროპის პლებსი ნელ-ნელა იგდებს ხელთ ძალაუფლების ბერკეტებს. ზენაციონალური ინსტიტუტები კი ბარიერებს უქმნიან პოტენციურად ძლიერ ნაციონალურ ლიდერებს. იდეურად გამოყვანილ ზენაციონალურ სუბსტრატს არ ძალუძს, შვას დე გოლები ან ჩერჩილები. ევროპულ პოლიტიკაში ელიტისგან დარჩა მხოლოდ სახელწოდება, დემოკრატიისგან კი — უშინაარსო, ცარიელი გარსი**

მწვანე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა... იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სილბო გვქონდა ნაქსოვისა“ – ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაჭედისა“ — ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი. დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობდა და გამრჯელობა“.**

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

# «აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი... რა მოვულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო?»

მართლაცდა, რა მოვულოცოთ საკუთარ თავს:

**ის, რომ უბრალო ხალხის საშველი არა და არ არის ამ ქვეყანაში?**

**თუ ის, ვაიპოლიტიკოსები, ხალხზე ზრუნვის ნიღაბს ამოფარებულნი, საკუთარი კეთილდღეობისთვის ყველაფერს რომ კადრულობენ?**

**თუ ის, კორონავირუსის პანდემიამ თავდაყირა რომ დააყენა ჩვენი ცხოვრება?...**

**მავანი იტყვის: ქართველებს ამაზე უარესიც გვინახავს და გადაგვიტანიაო... ოპტიმიზმი კარგია, მაგრამ მაშინ მოდი იმაზეც ვილაპარაკოთ, რამ გადაგვატანინა, როგორ გადავრჩით, როგორ დავაღწიეთ თავი ათას უბედურებას.**

**კიდევ ერთხელ მოვუსმინოთ ერის მამას ქართველი ერის მარადიულ სატკივარზე:**

„აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი... რა მოვულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მივიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ ან ნანვითა ვთქვათ: „ჰოი, წამო სიხარულისავ, ესე სწრაფად სად წახვედი!“ წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილსავე დაგვრჩეს, ან ნატვრით ვთქვათ: „მოვედინ, დღეო სიხარულისაო!“ რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

ნუთუ ისევე ძველებურადვე თავი უნდა დაგიკრათ და მოგახსენოთ: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი...“ სულ წყალობა ღვთისა და წყალობა ღვთისა, ერთხელ ჩვენ თვითონაც თითი გავძრათ. ერთხელ ჩვენ თითონაც მივდგეთ-მოვდგეთ. წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ **რა ქმნას მარტო წყალობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თითონ ადამიანი არა ჰრწყავს, არა სხლავს, არა ჰფურჩქნის, არ უვლის, არ ჰპატრონობს.** ღმერთმა, რაც წყალობა იყო, უკვე მოიღო ჩვენზე. დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამაო. რა კაცობა გამოვიჩინეთ? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

**ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია რა, არა დაუზოგვია რა, არა დაუკლია რა; თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს – ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ დაიბერტყაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლეობით არის და არა კაცისათი, ის ყველაფერი უკვე მოგვმადლა ღმერთმა.** ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავთ შეუძლიათ სამართლიანად სთქვან: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“. **ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება...** რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება. ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულის-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. **იცოდე, დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ.** ვართ კი ასეთნი? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით. შევინახეთ ჩვენი თავი, შევინარჩუნეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგ-თემურებმა ჩვენს საკუთარ სისხლში გვბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღამაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით. მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს და დროშა ქართველებისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ახლა ჩრჩილმა შესჭამოს, თაგვმა დაგვიჭამოს. დრო-ჟამი ამას გვიქადის...

**რა გითხრათ? რით გაგახაროთ?**

ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი. და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავიწირეთ, ცოლშვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს — სამართლიანის თავმოწონებით ვეძახით. **ცოდვა არ არის, ეს ერი მოსწყდეს; ცოდვა არ არის, ეს ლომი კოლომ საბუდრად გაიხადოს, ცოდვა არ არის, მელა-ტურამ გამოღრღნას, როგორც მძოვარი, როგორც ლეში. რათ? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარეთ?**

**რა გითხრათ? რით გაგახაროთ?**

ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა — **რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლმთხეველნი მამულისათვის რამღა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა?**

მან, რომ ვიცოდით — იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე. მისი ფარხმალი, ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა... იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სილბო გვქონდა ნაქსოვისა“ — ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაჭედისა“ — ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი. დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობდა და გამრჯელობა.



წავიდა ის დრო: დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა, ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, **ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეთა მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულით და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა. გვჭირს-კი დღეს რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე?**

**«ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდან ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისგან გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცო ზნეია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვას: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?»**

**რა გითხრათ? რით გაგახაროთ?**

ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩით, ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა — შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწყვეტს. სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ. ვართ კი ყოველ ამისთვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით?..

**რა გითხრათ? რით გაგახაროთ?**

**ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა. უბუკ-ნაღაროდ სთესავს, უბუკნაღაროდ მკის.** კოკისებურ შხაპუნა ნიაღვარს კი არ ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაიღოს, მოარღვიოს, მოღაროს და მოგრაგნოს, „მდუმარე წვიმისაებრ ნაყოფის გამომცემელია“. არც რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არა სწერია, თუ თვითონ ადამიანმა გესლი ულმობელის სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა — პატიოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, – იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედგამოჭრით, თუ მართალს ათქმევინებთ. რა გლეხკაცი, თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰღაღადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღაღადი? ვაი რომ არა.

**მაშ, რა გითხრათ, რით გაგახაროთ?**

**არ ვიცით — რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ — რანი ვართ, ვერ გამოგვისახია — რანი ვიქნებით. ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების წინ და აინუშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან – და შინ გადავიჩეხებით დედაბუდიანად.** ორბი, არწივიც კი ველარ გვიპოვის, ველარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწიწკნონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო. ვდგევართ და უღონოდა ვბზუით „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და ამ ბზუილიდან არა გამოდის-რა. იქნება იმიტომ, რომ ყველა ბუზი კი ბზუის, ფუტკართან კი ყველა ტყუის.

**ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან,** ▶

**«ცოდვა არ არის, ეს ერი მოსწყდეს; ცოდვა არ არის, ეს ლომი კოლომ საბუდრად გაიხადოს, ცოდვა არ არის, მელა-ტურამ გამოღრღნას, როგორც მძოვარი, როგორც ლეში. რათ? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარეთ? ...დღეს მძლეთა მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულით და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა. გვჭირს-კი დღეს რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე?»**

# „ეხლაც ომია... ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა. უბუკ-ნაღაროდ სთესავს, უბუკ-ნაღაროდ მკის“.

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სად და როდის დავკარგეთ დროთა შესაფერი ლონე, დროთა შესაფერი მოხერხება, დროთა შესაფერი ცოდნა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯეობა?! რა დაგვემართა, რამ დაგვაჩაჩანაკა და დაგვაჩლუნგა ისე, რომ დაგვავიწყდა — მტერი, მოყვრულად მოსული, მტერზედაც უარესი რომაა?!









**◀თვალი აგვიხილე, ყურებიდან ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისგან გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცო ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვას: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“** *(1887 წ. 31 დეკემბერი).*

წმ. ილია მართალი, ერის მამა გვეუბნება, რომ ყველა უბედურება იმან გადაგვატანინა, რომ ვიცოდით, „იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე“, არსებულ რეალობას სწორედ იმ წამალს ვუძებნიდით, რომელიც ყველაზე უკეთ იმოქმედებდა, „...იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი“...

და, რაც მთავარია, „სილბო გვქონდა ნაქსოვისა – ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაჭედისა“ – ვით მეომრებსა და მამულიშვილებსო“.

ამით გავიტანეთ თავი.

მაგრამ სად და როდის დავკარგეთ დროთა შესაფერი ღონე, დროთა შესაფერი მოხერხება, დროთა შესაფერი ცოდნა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯეობა?!

რა დაგვემართა, რამ დაგვაჩაჩანაკა და დაგვაჩლუნგა ისე, რომ დაგვავიწყდა — მტერი, მოყვრულად მოსული, მტერზედაც უარესი რომაა?!

იმან ხომ არა, განათლების სისტემა „მეგობრების“ რჩევით რომ გავაფარჩაკეთ?

არ ხარ მართალიო, ალბათ, მეტყვის მავანი. აი, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ სკოლებში ხომ დააბრუნესო...

დააბრუნებინეს!

მაგრამ ჩემს პირველკლასელ შვილიშვილსა და მის უამრავ თანატოლს „დედა ენის“ წიგნიდან მაინც არ ასწავლიან კითხვას — სხვა სახელმძღვანელო აქვთ, „დედა ენა“ კი, როგორც ბუტაფორია, დევს თავისთვის გამოუყენებელი. აი ასეთი „დაბრუნებულია“. ამით ვის ვაყრით თვალში ნაცარს, ვის?!

თავის დროზე ილია საყვედურობდა თავის თანამედროვეთ, რომ ქვეყანას ისე არ ემსახურებიან, როგორც საჭიროაო. ღმერთმა კი, რაც წყალობა იყო, უკვე მოიღო ჩვენზე, „დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამაო“.

განა ჩვენ კი გამოვიჩინეთ კაცობა და მამულიშვილობა? რა გავაკეთეთ ისეთი, მოყვარეს რომ გულს გაუხარებს და მტერს თვალს დაუბრმავებს?

ვერაფერი! რადგან ჩვენს ტვინს უმოქმედობით უკვე ობი აქვს მოკიდებული, მხოლოდ იმას ვიქმთ, რასაც ოკეანის გაღმიდან გვიკარნახებენ. ასეთ სიტუაციაში „რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ?“

?!

უკან მივიხედავთ და ამ ახლო ხანებში თავმოსაწონებელი არა გვრჩება რა, წინ ვიყურებით და ხვალინდელ ნისლში გულის გასახარი არაფერი ჩანს...

ახლა თუ იმით ვინუგეშებთ თავს, რომ ჩვენ, ქართველებს, ცამეტი ათეული წლის წინანდელი პრობლემები რაკი დღესაც ცხვირწინ გვიდევს, ე. ი. არ გადავუწყვეტივართ, ეგ ვერაფერი ნუგეშია. ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. ის, რომ ცამეტ ათწლეულზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ იმავეს განვიცდით, რაზეც დიდი ილია ამ თავის ცნობილ წერილში წერს, კარგს ნამდვილად არ გვიქადის, იმაზე კი მიგვანიშნებს, რომ გონს მოვეგოთ, ჭკუა ვისწავლოთ და „ჩვენი თავის ჩვენადვე ყუდნების“ პრობლემას თავი იმით დავაღწიოთ, რომ საკუთარ თავს ხშირ-ხშირად ვკითხოთ: **„აბა, დღეს მე ვის რა ვარგე?“**

## რა მოვუწოდოთ საკუთარ თავს: ის, რომ უბრალო ხალხის საშველი არა და არ არის ამ ქვეყანაში? თუ ის, ვაიპოლიტიკოსები, ხალხზე ზრუნვის ნიღაბს ამოფარებულნი, საკუთარი კეთილდღეობისთვის ყველაფერს რომ კადრულობენ? თუ ის, კორონავირუსის პანდემიამ თავდაყირა რომ დააყენა ჩვენი ცხოვრება?..

**ამის საუკეთესო მაგალითს გვაძლევს თვითონ ილია.** ის თავისი ცნობილი ლექსებით: „ლოცვა“, „ქართვლის დედას“, მორალური განზომილების მნიშვნელობაზე საუბრობს. ეს სწორედ ის მდგომარეობაა, როდესაც ადამიანმა საკუთარ თავს უნდა ჰკითხოს: „აბა, დღეს მე ვის რა ვარგე?“

ის, რომ ქრისტიანობა ილიას მიაჩნია ადამიანის ქმედებისა და მორალური საქმიანობის სინთეზად, კარგად ჩანს მის პუბლიცისტურ წერილებშიც. განსაკუთრებით ნიშანდობლივია მისი ერთი პუბლიცისტური წერილი „სიტყვა, თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს 1896 წელს“. იმ ცნობილი სიტყვებით, რომ იგი (გაბრიელ ეპისკოპოსი — დ. ა.) „სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა, თუ ასე ითქმის და მთელი სიბრძნეც სწორედ ამაშია გამოსახული“, ილია ჭავჭავაძე არა მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს, არამედ XXI საუკუნის დასაწყისში მდგარ აქტუალურ პრობლემასაც ეხმიანება და გვასწავლის, როგორ გადავჭრათ ეს პრობლემა. ეს არის საკუთარ თავში მუდმივი მორალური მჩხრეკელობა, ანალიზი საკუთარი ქმედებების და სიკეთის ქმნით პირნათელობა, უპირველესად, საკუთარი თავის წინაშე.

**...ნუთუ არ შეგვიძლია ისე ცხოვრება, ვინმემ თუ არ გვიკარნახა: რა გვინდა, რატომ გვინდა და როგორ გვინდა?! რატომ არ შეგვიძლია მხოლოდ უფლის კარნახით ვიმოქმედოთ?! როცა გაგვიჭირდება, შველას ხომ მხოლოდ მას შევთხოვთ?!**

ილია წერილში **„შობა მაცხოვრისა“** წერს: „არა მოავლინა ღმერთმან ძე თვისი სოფლად, რათა დასაჯოს სოფელი, არამედ რათა აცხოვნოს სოფელი მის მიერ“. იშვა იგი, რომლის გამო სთქვა იოანე წინამორბედმავე: „აჰა ტარიგი ღვთისა, რომელმან აღიხვნეს ცოდვანი სოფლისანი! ესე არს, რომელისათვის იგი ვსთქვ: შემდგომად ჩემსა მოვალს კაცი, რომელიც პირველ ჩემსა იყო, რამეთუ უპირატეს ჩემსა არს“.

„ნუ გეშინინ, — ახარებს ქვეყანას ანგელოზი: — ნუ გეშინინ, რამეთუ აჰა იშვა დღეს თქვენდა მაცხოვარი... და ესე იყო თქვენდა სასწაულად: ჰპოვოთ ყრმა იგი, შეხვეული და მწოლარე ბაგასა“.

რა დიდებული სახეა, რა დიდებული ხატია!.. ღმერთი, მოვლინებული ცხონებად და ხსნად ქვეყნისა, ღმერთი ახლის აღთქმისა, რომელმან უნდა „აღიხვნას ცოდვანი სოფლისანი“. ძე ღვთისა და კაცისა, რომელმან უნდა ნუგეშსცეს ქვეყანას, — მოვედინ, მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისვენოთ თქვენ“, ღმერთი, რომელმანც უნდა ნათელ-სცეს ბნელს ქვეყანას სულითა წმიდითა, იშვა ვითა ღარიბი ღარიბ საფარ ქვეშ და არის „შეხვეული და მწოლარე ბაგასა“... მარტო ერთი ვარსკვლავიღაა აღმომხდარი აღმოსავლეთით და იგი დაჰნათის ზედ ადგილსა მას შობისასა ნიშნად მისად თუ, — რა სხივოსანი მადლი მოეფინა ქვეყანას დედისაგან, რომელიც ამიტომ „კურთხეულ არს დედათა შორის: „ყრმა-ღმერთი „შეხვეული და მწოლარე ბაგასა“, არისღა სადმე სხვა ხატი, რომ დიდებამ ასე ადიდოს სიღარიბე და სიღარიბემ ასე ადიდოს დიდება: ყველაზედ უწინარეს ამ ხატითა უთქვა შობისავე უმალ იგი თავდაბლობა კაცთმოყვარე ქრისტე-ღმერთისა, რომელმაც მერე გააოცა ცუდმედიდობით გარყვნილი ძველი ქვეყანა.

**იშვა იგი, ვინც გაჭირვებულს და ძირით თხემამდე შერყეულს ქვეყანას მოაცალა ულმობელის საძირკველი „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“ და ამის მაგიერ შთაუდგა „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ და ამაზედ ხელახლად დაადგინა დასარღვევად გამზადებული ქვეყანა, ვითარცა კლდეზედ, რომელსაც ვერც ჟამი და ვერც დრო ვერ შეჰმუსრავს და ვერ შეარყევს.** ამ კლდეს ზედ დაანთხია მან თავისი ღვთაებრივი სისხლი და ზედ მოვლინებული, კაცმავე ჯვარს აცვა და ჯვარცმული მაინც ჯვართმცმელთათვის ჰღაღადებდა ღვთისა მიმართ: ღმერთო, შეუნდევ, რამეთუ არა უწყიან რას იქმნან; აი რა სულგრძელი, რა კაცთმოყვარე, რა ყოვლადმოწყალე ღმერთი იშვა დღეს და ამას სამართლიანად ჰხარობს და დღესასწაულობს მთელი ქრისტიანობა.

მას აქეთია აღსდგა ქვეყანა ახალის აღთქმისა, ახალი ცხოვრებისათვის. მას აქეთ შეაფარა კაცმა თავი თვისი ღმერთსა სიყვარულისასა, მშვიდობისასა, მოწყალებისასა და შენდობისას. განახლდა კაცი და დღეს განახლებულს კაცს ძალუძს სასოებით სთქვას: „შენ ხელახლად შემქმენ მე, ქრისტე-ღმერთო, და დამდევ ჩემზედა ხელი შენი... შენ სცან დაჯდომაი ჩემი და აღდგომაი ჩემი. ალაგნი ჩემნი და ნაწილნი ჩემნი შენ გამოიკვლიენ და ყოველნი გზანი ჩემნი წინასწარ იხილენ... საკვირველ იქმნა ცნობა შენი ჩემგან, განძლიერდა და ვერ შეუძლო მას, შენ ხარ ხსნა ჩემი, შენი მოძლვრება — მაცხოვარ ჩემდა, და ველარსად განვერინო სულისა შენისაგან და პირისა შენისაგან ველარსად ვივლტოდე: აღ-თუ-ვჰხდე ცად, შენ უნ ხარ. შთა-თუ-ვჰხდე ჯოჯოხეთად, ახლოსვე ხარ: აღ-თუ-ვიპყრნე ფრთენი ჩემნი განთიად და დავემკვიდრო მე დასასრულსა ზღვისასა, — და რამეთუ მუნცა ხელი შენი მიძღოდეს მე და მარჯვენემან შენმან შემიწყნაროს მე“ (*1886 წ. 24 დეკემბერი*).

**ჩვენ კი წინასაახალწლოდ, შობის დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე მთელი გულით შევღაღადოთ ღვთისმშობელს: „მოწყალების კარი განგვიღე, კურთხეულო ღმრთის-მშობელო, რაითა რომელნი შენ ესე გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდეგობათა მტერთაგან, რამეთუ შენა ხარ ცხორებაი ნათესავისა ქრისტიანეთაისაი. უფალო შეგვიწყალენ!“**

**„ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდან ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისგან გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცო ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვას: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## დაშლის საფრთხე

**ტეხასში არალეგალების ლეგალიზაცია შესაძლებლობის კიდევ ერთი ფანჯარაა დემოკრატებისთვის, ოღონდ ამის საფასური არა ერთი, არამედ ყველა მომდევნო საპრეზიდენტო ვადაა. ეს პრეზიდენტ ბაიდენის მთავარი ამოცანაა მისი პარტიის წინაშე, რესპუბლიკელების მთავარი ამოცანა კი ამის არდაშვებაა.**

# ბაიდენმა გაიმარჯვა, მაგრამ აშშ დაშლისა და სამოქალაქო ომის პირასაა

**ჯო ბაიდენი ოფიციალურად აირჩიეს ამერიკის შეერთებული შტატების 46-ე პრეზიდენტად. თეთრი სახლის ახალ მეპატრონეს აშშ-ის დაშლის საფრთხის ქვეშ მოუწევს მუშაობა. ამაზე მიუთითებს ვითარება ტეხასში. რეალურია თუ არა ეს საფრთხე იმის გათვალისწინებით, რომ ბაიდენს სურს, ტრამპი რესპუბლიკელების ბოლო პრეზიდენტი იყოს?**

სასწაული არ მოხდა. ამომრჩევლებმა კენჭი ისე უყარეს, როგორც პარტიამ დაავალა და ახლა ჯო ბაიდენი აშშ-ის არჩეული პრეზიდენტია, ვინმეს მოსწონს თუ არა ეს. ბოლოს წინა ნაბიჯი იქნება 2021 წლის იანვარში შედეგების სერტიფიკაცია წარმომადგენელთა პალატაში, იქ კი შეუძლებელია სიურპრიზი მოხდეს — იქ დემოკრატები უმრავლესობას წარმოადგენენ. **ბოლო ნაბიჯი კი არის ინაუგურაცია, რომელიც 20 იანვარს უნდა გაიმართოს. დონალდ ტრამპისთვის ეს დღე ახალი წინასაარჩევნო კამპანიის სტარტი იქნება. შემდეგი არჩევნებისთვის, რომელიც 2024 წელს ჩატარდება, ტრამპი იმდენივე წლის იქნება, რამდენისაც ახლა ბაიდენია — 78 წლის.**

ტრამპს აქვს რევანშის შანსი, თანაც საკმაოდ მნიშვნელოვანი, და უკვე ახლავე ჩანს, რომ პრეზიდენტ ბაიდენისთვის შემდეგი 4 წელიწადი მძიმე იქნება. კორუფციული სკანდალები ოჯახში, ჯაშუშური სკანდალები პარტიაში, კორონაკრიზისი და არჩევნების შედეგის ლეგიტიმურობაში შეტანილი ეჭვი — ამ, ასე ვთქვათ, კოზირებს რესპუბლიკელები აუცილებლად გამოიყენებენ დემოკრატებზე შესატევად, თანაც დემოკრატებმა თვითონ დაარღვიეს თამაშის წესები. ტრამპის თანაპარტიელები, რომლებიც მისი გავლენის ქვეშ დარჩნენ, მზად არიან, ყველაფერზე წავიდნენ ძალაუფლების დასაბრუნებლად.

როგორც მოსალოდნელი იყო, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ გაანულა ტრამპის ბოლო იმედი, შეენარჩუნებინა ხელისუფლება. **ამას მხარი დაუჭირა 9-დან 7-მა მოსამართლემ, მათ შორის ტრამპის მიერ ახლახან დანიშნულმა სამმა მოსამართლემაც. თანაც სასამართლოს, რაც მნიშვნელოვანია, არ დაუდასტურებია და არც უარუყვია არჩევნების შედეგების შესაძლო ფალსიფიკაცია. მან მხოლოდ დაადგინა, რომ ასეთი სარჩელის განხილვის უფლებამოსილება არ აქვს, ტეხასის შტატს კი არ შეუძლია, გაასაჩივროს კენჭისყრის შედეგები სხვა შტატებში.** და ტეხასის შტატი განაწყენდა. ტეხასის შტატში რესპუბლიკური პარტიის განყოფილების ხელმძღვანელი **ალენ უესტი** უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას გამოეხმაურა მოწოდებით, შეიქმნას „ახალი კავშირი, რომელიც დაიცავს კონსტიტუციას“. ამ მოწოდებაში მკაფიოდ გამოსჭვივის მინიშნება სამხრეთის 1861 წლის სეცესიაზე, რომელმაც სამოქალაქო ომი გამოიწვია.

**სხვათა შორის, უესტი შავკანიანია.** ეს კარგად წარმოაჩენს ტრამპის რასიზმზე საუბრების ფასს. **ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც ტეხასი თავის დროზე სეპარატისტულ წარმონაქმნად იქცა მექსიკის ტერიტორიაზე, იყო ის, რომ ოფიციალურმა მეხიკომ მონობა გააუქმა, ამის წინააღმდეგი კი იყვნენ ტეხასელი პლანტატორები.** თავის მხრივ, უესტის თანაპარტიელმა და **შტატის საკანონმდებლო საკრებულოს წევრმა კაილ ბიდერმანმა განაცხადა, რომ მოამზადებს კანონპროექტს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ტეხასელებს, ჩაატარონ რეფერენდუმი შტატის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.**

ეს სიახლე არ არის. ტეხასი ერთადერთი შტატია, რომელიც აშშ-ის შემადგენლობაში შევიდა, როცა ის მსოფლიოში აღიარებული დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, რაც წარმოქმნის ასეთი შინაარსის საუბრებს: „როგორც შევედით, ისე გამოვალთ“ და აღვივებს ტეხასურ პატრიოტიზმს.

სხვა კონცეფციით, ტეხასის სუვერენიტეტი იყო 10 წლის განმავლობაში გაჭიანურებული გარდამავალი პერიოდი „სახალხო რესპუბლიკიდან“, რომელიც იმხანად მექსიკის უკაცრიელ ტერიტორიაზე შეიქმნა ჩრდილოეთიდან ჩასახლებულთა წყალობით. ე.ი., ტეხასი თავიდანვე მიდიოდა არა დამოუკიდებლობისკენ, არამედ იმისკენ, რომ აშშ-ის ნაწილი ყოფილიყო.

ასეა თუ ისე, **ტეხასის ნებისმიერ ბარში შეიძლება შეხვდეთ ადამიანს, რომელიც მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ ტეხასმა ვაშინგტონის უღელი უნდა გადაიგდოს და აღიდგინოს „მარტოხელა ვარსკვლავის შტატის“ დამოუკიდებლობა.** სხვათა შორის 1997 წელს ძალოვანი სტრუქტურები იძულებულნი იყვნენ, ალყაში მოექციათ ტეხასის დამოუკიდებლობის იდეის რადიკალურად განწყობილთა შტაბები, რომლებშიც მძევლები ჰყავდათ აყვანილი და ამბობდნენ, რომ, თუ მათ მოთხოვნას არ შეასრულებდნენ დამოუკიდებლობის შესახებ, დაიხოცებოდნენ ფეხზე მდგომნი და არა დაჩოქილნი. იმხანად სეპარატისტების ლიდერი იყო **რიჩარდ მაკლარენი,** რომელიც თავს „აშშ-ში ტეხასის რესპუბლიკის ელჩს“ უწოდებდა.

„ჩვენ გვჭირდება დამოუკიდებლობა, იმიტომ, რომ ჩვენ სხვები ვართ. ტეხასი — ეს არის უზარმაზარი ტერიტორია, ცალკე ქვეყანა უნიკალური კულტურითა და ყოფით. ჩვენ გვსურს, გვქონდეს ჩვენი პასპორტები, ჩვენ სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი გვაქვს სამყაროსა და პოლიტიკაზე. ჩვენ აბსოლუტურად არ ვეთანხმებით აშშ-ის ფედერალური მთავრობის პოლიტიკას. ჩვენ სრულიად განსხვავებულად ვცხოვრობთ“, — ამბობს „ტეხასის ნაციონალური მოძრაობის“ შტაბის ხელმძღვანელი **ნათან სმიტი.** საზოგადოდ, ტეხასის შტატს შეუძლია, ბევრი მასალა წარმოადგინოს აშშ-ის დაშლის შესაძლებლობის თემაზე, თანაც ამ მასალებს გამოიყენებენ არა მხოლოდ შტატებში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც — ძალიან ბევრი მტერი ჰყავს ამ სახელმწიფოს.

ყველაფრის მიუხედავად, ტეხასის სრულფასოვანი სეცესიის იდეა უნდა განვიხილოთ არა როგორც ქვეყნის დაშლის სურვილი, არამედ ვაჭრობად ფედერალურ ხელისუფლებასთან, რომელსაც ახლა ბაიდენი განასახიერებს. მოტივები გამჭვირვალეა — **ეს არის მომავალი 4 წლის განმავლობაში რესპუბლიკელების დაპირისპირება თეთრ სახლთან, რათა დაასუსტონ ბაიდენის ძალაუფლება და არ დაუშვან მკაცრი ღონისძიებების განხორციელება, თუკი პრეზიდენტი მოისურვებს შტატისთვის მტკივნეული ინიციატივების თავს მოხვევას.**

როცა პრეზიდენტად ტრამპი აირჩიეს, სეცესიაზე ზუსტად ასევე მიანიშნებდნენ კალიფორნიაში, რომელზეც გავლენა დემოკრატებს აქვთ. იმხანად გავრცელდა მოსაზრება აღმოსავლეთ სანაპიროს შტატების კავშირის შექმნის შესახებ (კალიფორნიას პლუს ლიბერალური ორეგონი და ვაშინგტონი) და, მიუხედავად ტრამპის მიმართ სიძულვილისა, რამე ნაბიჯი ამ მიმართულებით არ გადადგმულა. **მთავარი, რაც ტეხასელებს აშფოთებთ, არის ბაიდენის დაპირება, მიიღოს კანონი, რომელიც მოქალაქეობისკენ გაუხსნის გზას 7-8 მილიონ არალეგალს, რომელთა უმრავლესობა მექსიკიდან და ლათინური ამერიკის ქვეყნებიდანაა. რესპუბლიკელები კატეგორიული წინააღმდეგნი არიან, განსაკუთრებით — ტეხასელები.**



**მთავარი, რაც ტეხასელებს აშფოთებთ, არის ბაიდენის დაპირება, მიიღოს კანონი, რომელიც მოქალაქეობისკენ გაუხსნის გზას 7-8 მილიონ არალეგალს, რომელთა უმრავლესობა მექსიკიდან და ლათინური ამერიკის ქვეყნებიდანაა. რესპუბლიკელები კატეგორიული წინააღმდეგნი არიან, განსაკუთრებით — ტეხასელები**



პრობლემა არ არის ქსენოფობიაში, არც რასიზმში, პრობლემა არის ის, რომ ახალი მოქალაქეები დემოკრატების ელექტორატში ჩაეწერებიან და ეს ცვლილება ფატალურად შეიძლება აისახოს ტეხასელ კონსერვატორებზე. ამჟამად შტატის სამხრეთში საკმაოდაა „დემოკრატიული“ ოლქები, რომლებშიც ესპანურად ლაპარაკობენ. ტეხასი კი, როგორც რესპუბლიკელთა ციტადელ, რამდენიმე მილიონ ხმას ეყრდნობა. **თუ დემოკრატები ტეხასში უმრავლესობა იქნებიან, რესპუბლიკელები მოსახლეობის მიხედვით მეორე შტატში 38 ამომრჩევლის დანაკარგს ვერსად აინაღზაურებენ. სხვა სიტყვებით, საპრეზიდენტო არჩევნებში ყოველთვის გაიმარჯვებენ დემოკრატები, თუ ვითარება ექსტრაორდინალურ ხასიათს არ შეიძენს.**

დემოკრატების მიმართ სიმპათიით განწყობილი რამდენიმე მილიონი მიგრანტის ლეგალიზაცია ბაიდენის ხელისუფლების პირობებში არის ის „წითელი ხაზი“, რომლის გადაკვეთასაც რესპუბლიკელები მათ ხელთ არსებული ნებისმიერი საშუალებით შეეწინააღმდეგებიან.

სეპარატიზმზე მითითება არ არის ყველაზე რადიკალური მითითება. **ტეხასის შტატში ხშირად ამბობენ, რომ აშშ-ის არმიის 20 პროცენტს მათი თანამემამულეები შეადგენენ.**

პანდემიამ რესპუბლიკელებს ახალი შესაძლებლობები გაუჩინა. **ფოსტით ხმის მიცემამ, რომლის შედეგების გაპროტესტებასაც აქამდე ცდილობენ ტრამპის იურისტები, ათიათასობით ხმა მოაპოვებინა დემოკრატებს რამდენიმე შტატში, რაც ფატალური აღმოჩნდა ტრამპისთვის. ამ შტატებში საკანონმდებლო საკრებულოებს რესპუბლიკელები აკონტროლებენ და, დიდი ალბათობით, უახლოეს ხანში ამ „ფანჯარას“ დახურავენ, დემოკრატები კი ბაიდენის საეჭვო ლეგიტიმურობის გამო წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ.** ტეხასში არალეგალების ლეგალიზაცია შესაძლებლობის კიდევ ერთი ფანჯარაა დემოკრატებისთვის, ოღონდ ამის საფასური არა ერთი, არამედ ყველა მომდევნო საპრეზიდენტო ვადაა. ეს პრეზიდენტ ბაიდენის მთავარი ამოცანაა მისი პარტიის წინაშე, რესპუბლიკელების მთავარი ამოცანა კი ამის არდაშვებაა.

ვინც უნდა გაიმარჯვოს (ყველა გარემოების გათვალისწინებით, რესპუბლიკელების პოზიციები უკეთესია), აშშ-ში შიდაპოლიტიკური ბრძოლა უახლოეს პერიოდში ტეხასის გარშემო წარიმართება, ამიტომ აშშ-დან მისი გამოყოფის მოწოდებას არაერთხელ მოვისმენთ. ეს იქნება სიგნალიზაციის ჩართვა იმ მომენტში, როცა დემოკრატები შეეცდებიან „წითელი ხაზის“ გაკვეთას — მიგრანტების ლეგალიზაციას.

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**




## მოძრავი ტროტუარები

ასეთი მოძრავი ბილიკები აეროპორტებსა და ჰიპერმარკეტებში სულის მოთქმის საშუალებას აძლევს ადამიანს, მაგრამ მოძრავი ტროტუარი სახიფათო ხომ არ იქნება?

მზერა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# XXI საუკუნე: მზერა წარსულიდან

2019 წლის მიწურულს, 25 დეკემბერს გამოვაქვეყნეთ ვრცელი წერილი (იხ. „საქართველო და მსოფლიო" №47, 2019 წ.) „მომავალი წარსულის თვალით", რომელშიც მოთხრობილი იყო, როგორ ხედავდნენ ადამიანები კაცობრიობის მომავალს საუკუნის შემდეგ და გადაადგილების როგორ საშუალებებზე — სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტზე — ოცნებობდნენ რამდენიმე ათეული წლის წინათ. დღეს გთავაზობთ ზუსტად 120 წლისწინანდელ ნახატებს, რომლებზეც ასახულია, როგორ ხედავდნენ ადამიანები დედამიწაზე ცხოვრებას XXI საუკუნეში.

1900 წელს პარიზში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე შოკოლადის გერმანელმა მწარმოებელმა „თეოდორ გოლდებრანდმა და შვილმა" დაბეჭდა ღია მისალოცი ბარათები, რომლებზეც გამოსახული იყო მომავლის სიუჟეტები, შემდეგ ეს მისალოცი ბარათები ღონისძიებაზე გასაყიდად გატანილ კანფეტების კოლოფებში ჩააწყო. ბარათებზე გამოსახული იყო, მათი აზრით, როგორი იქნებოდა ცხოვრება 2000 წელს.




## წყალქვეშა ხომალდები

ოკეანის სიღრმეებში მცურავი ტურისტული წყალქვეშა ნავის გვერდით ვხედავთ ზღვის ველოსიპედს, ზღვის ეტლსა და წყლის ზედაპირზე სასეირნო ველონავს.




## მფრინავი მანქანები

რა არის მომავალი კერძო თვითმფრინავების გარეშე? ამ მისალოც ბარათზე გამოსახულია მფრინავი მანქანების რამდენიმე ვარიანტი, თანაც ყველა ძალიან სახიფათო.




## პოლიციელის რენტგენი დამნაშავეების წინააღმდეგ

ნახატიდან გაუგებარია, როგორ დაეხმარება რენტგენი სამართალდამცველებს დამნაშავეებთან ბრძოლაში.




## გასეირნება წყალზე

ნახატის ავტორის გენიალურობა გამოიხატება არა წყლის ბორბლიან მონოციკლში ან ფეხსაცმელ-კანოეში, არამედ ელეგანტურ პირად საჰაერო ბურთებში, რომლებიც მოსეირნეებს წყლის ზედაპირზე აკავებს. ასეთი საჰაერო ბურთი აქვს ცხენსაც.




## კარგი ამინდის შემქმნელი იარაღი

ასე ხედავდნენ ჩვენს დროებაში ღრუბლების გასაფანტავ იარაღს 120 წლის წინათ მცხოვრები ადამიანები.




## ქალაქი სახურავით

ქალაქის და, საერთოდ, ტერიტორიის გუმბათის ქვეშ მოქცევა, კარგი იდეაა, სანამ გვალვა არ გაგახსენდებათ.




## სარკინიგზო ხომალდი

ეს მისალოცი ბარათი ბევრ კითხვას აჩენს. ზღვის მატარებელი ჩვეულებრივ საზღვაო ხომალდზე უკეთესია? ის მხოლოდ წყალმარჩხში „ცურავს"? რატომ უკიდია ცეცხლი?




## მოძრავი სახლები

ადამიანები ჯერ კიდევ იყენებენ ეტლებს, რომლებშიც ცხენებია შებმული, და ორთქლის მანქანებს, მაგრამ უკვე შეძლეს მრავალბინიანი სახლების შექმნა, რომლებსაც გადაადგილება შეუძლია.




## თეატრი

იმას, რაც ერთ ადგილას ხდება, ხედავს და ისმენს სხვა ადგილას მყოფი. რაღაცას ხომ არ გაგონებთ ჩვენი ცხოვრებიდან?




# მწერლები და მეცნიერები კაცობრიობის მომავალზე

### ჰერბერტ უელსი

კაცობრიობის მომავალზე დაწერილი ნაწარმოებებით გამოირჩევა ინგლისელი მწერალი **ჰერბერტ უელსი** (1866-1946), რომლის ბევრი წინასწარმეტყველება ახდა. განსაკუთრებით საინტერესოა წიგნი „მომავლის ფორმა" (The Shape of Things to Come), რომელიც 1933 წელს გამოიცა. მასში უელსმა იწინასწარმეტყველა II მსოფლიო ომის დაწყება 1940-იან წლებში და ამ ომში სამხედრო-საჰაერო ტექნიკის ფართოდ გამოყენება, ბევრი ბრძოლა ცაში და მსოფლიოს დიდი ქალაქების დაბომბვა. ჩვენ ვიცით, რომ ეს ყველაფერი ახდა.

უელსმა, აგრეთვე, ივარაუდა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყებოდა ეპიდემია, დადგებოდა დიქტატურის ხანა და განადგურდებოდა ყველა რელიგია, ეს კი საბოლოოდ გამოიწვევდა გლობალურ უტოპიას. დრო გვიჩვენებს, შეესაბამება თუ არა უელსის ეს პროგნოზი სინამდვილეს.

### ვერნერ ვინჯი და ირვინგ ჯონ გუდი

ტერმინი „ტექნოლოგიური სინთეზი" მოიგონა ამერიკელმა **ვერნერ ვინჯმა** — მეცნიერმა, კომპიუტერული ტექნიკის სპეციალისტმა, სამეცნიერო-ფანტასტიკური ჟანრის წიგნების ავტორმა. ის, თავის მხრივ, აღფრთოვანებული იყო სტატისტიკოსისა და კრიპტოლოგის, **ირვინგ ჯონ გუდის,** 1964 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფიით. ამ ნაშრომში გუდმა წამოაყენა თეზისი, რომ ადამიანმა თავის გადასარჩენად უნდა შექმნას მანქანა, რომელიც მასზე ჭკვიანი იქნება და გამუდმებით სრულყოფს თავის თავს. ვინჯის აზრით, ეს XXI საუკუნის შუა წლებში მოხდება და შეიძლება ბევრი არასასურველი მოვლენა გამოიწვიოს დედამიწაზე.

აღსანიშნავია, რომ ბევრი ფუტურისტი წინასწარმეტყველებს ტექნოლოგიების წარმოუდგენლად განვითარებას, მაგრამ შეიძლება სირთულეები შეიქმნას იმ რესურსის გამოყენების მიმართ, რომელიც ამ ტექნოლოგიების განვითარებისთვის არის საჭირო.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელმა ბრიტანი უოლშმა ფეხებით მშვილდ-ისრიდან ისრის სწრაფად სროლის რეკორდი დაამყარა. ბრიტანის შეუძლია 12 მ მანძილზე განლაგებულ სამიზნეებს ზუსტი და სწრაფი სროლებით მოახვედროს.**



„გინესის რეკორდების წიგნი“ მსოფლიოში ძალიან პოპულარული გამოცემაა. ათეულობით ადამიანი (არამხოლოდ) ყოველწლიურად გვაოცებს უცნაური მიღწევებით. ჩვენ გიამბობთ საოცარ ადამიანებზე, ცხოველებსა და რობოტებზეც კი, რომლებიც 2020 წლის „გინესის რეკორდების წიგნში“ შევიდნენ.




# რეკორდები, რომლებიც 2020 წლის «გინესის რეკორდების წიგნში» შევიდა



## ადამიანი ყველაზე მეტი ტატუთი

ამ ტიტულის მფლობელია ახალ ზელანდიაში დაბადებული და ავსტრალიაში მცხოვრები **ლაკი დაიმონდ რიჩი.** ცნობილია, რომ ახალზელანდიელებს ძალიან მოსწონთ ტატუ (ეს დიდწილად განპირობებულია ადგილობივი ტომის, მაორის, წარმომადგენელთა სიყვარულით ტატუსადმი). ალბათ, სწორედ ამის გამო გაიტაცა ტატუმ ლაკი დაიმონდ რიჩი, რომლის სხეული მთლიანად დაფარულია ნაირ-ნაირი ნახატით და ამის გამო მისი კანი ლურჯი ფერისაა. ტატუების გარდა ლაკი არტისტიზმითაც გამოირჩევა — ის მოხერხებული ჟონგლიორია.



## ყველაზე დიდი რგოლის დატრიალება

ამერიკელი **გეტი კეჰაიოვა** ნებისმიერ ტანმოვარჯიშეს მისცემს ფორას: ქალს შეუძლია დაატრიალოს რგოლი, რომლის დიამეტრი 7,1 მეტრია! სხვათა შორის კეჰაიოვას ოჯახის წარმომადგენელი პირველად არ შეუყვანიათ „გინესის რეკორდების წიგნში“.



## ამფიბიის ურთულესი გენომი

მეცნიერებმა გაშიფრეს სიმპათიური ამფიბიის — აქსოლოტლის განსაცვიფრებელი გენომი. ამ ამფიბიამ, რეგენერაციის საოცარი უნარის გამო, დიდი ხანია, მიიპყრო მეცნიერთა ყურადღება. აქსოლოტლს მექსიკურ სალამანდრასაც ეძახიან. ის ჰგავს სხვა პლანეტიდან მოსულ არსებას საოცარი ვარცხნილობით.



## ისრის ყველაზე სწრაფი სროლა ფეხებით

ამერიკელმა **ბრიტანი უოლშმა** ფეხებით მშვილდ-ისრიდან ისრის სწრაფად სროლის რეკორდი დაამყარა. ქალს თითქოს ალმასის თვალები აქვს, ფეხები კი — უჩვეულოდ ძლიერი, ასევე, ხელებიც, რომლებზეც სროლის მომენტში დგას. ბრიტანის შეუძლია 12 მ მანძილზე განლაგებულ სამიზნეებს ზუსტი და სწრაფი სროლებით მოახვედროს.



## ადამიანის მსგავსი ყველაზე დიდი ტრანსპორტი

განსაცვიფრებლად რობოტიზებული ჰუმანოიდი იაპონურმა კომპანია Sakakibara kikai-მ შექმნა. გიგანტს დაარქვეს **Mononofu,** რაც იაპონურად „მებრძოლ სამურაის“ ნიშნავს. ამ რობოტის სიმაღლე 8,46 მეტრია, სიგრძე — 4,27 მ, ხოლო სიგანე — 4 მ. რობოტის თავი დიზაინით იაპონურ ტრადიციულ თავსაბურველს ჰგავს. ტორსის შიგნით არის კაბინა მძღოლისთვის.



## ერთ წუთში აწეული 539,77 კგ

ამბობენ, მამაკაცები ძლიერი სქესის წარმომადგენლები არიან, ქალები კი — სუსტი სქესისო, მაგრამ ამ მოსაზრებისგან ქვა ქვაზე არ დატოვა ძალოსანმა **მიშელ კინიმ** (აშშ). ამ ქალის მიერ ერთ წუთში აწეული ატლასის ქვების საერთო წონამ 539,77 კგ შეადგინა.



## უდიდესი კოსმოსური სადგური

საერთაშორისო კოსმოსური სადგური — ეს არის პროექტი, რომელსაც ახორციელებს 14 სახელმწიფო: რუსეთი, აშშ, იაპონია, კანადა, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, იტალია, ნიდერლანდები, ნორვეგია, საფრანგეთი, შვეიცარია, შვედეთი. 109 მ სიგრძის, 73 მ სიგანისა და 27,4 მ სიმაღლის ორბიტულ სადგურზე უამრავი მაღალტექნოლოგიური მოდულია განლაგებული. ეს, პირდაპირი მნიშვნელობით, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობაა.



## ყველაზე მეტი ელვის კონცენტრაციის ადგილი

ასეთი უცნაური ტიტული მიანიჭეს თვალწარმტაც ტბა-ლაგუნას ვენესუელაში. ტბა მარაკაიბოს თავზე ცას ხშირად ანათებს ელვა. მკვლევართა მონაცემებით, ტბის თავზე ყოველ კვადრატულ კილომეტრზე 250 ელვა მოდის. საინტერესოა, როგორ დათვალეს ეს.



## ყველაზე ახალგაზრდა პროგრამისტი

6 წლის ინდოელი ბიჭი არხამ ტალსანია გინესის რეკორდების წიგნში შევიდა, როგორც ყველაზე ახალგაზრდა პროგრამისტი. მეორე კლასის მოსწავლემ პროგრამირების სწავლების კურსი გაიარა, შემდეგ Microsoft-ის სასერტიფიკაციო გამოცდები ჩააბარა.

ბიჭი ამბობს, რომ სურს, შექმნას თამაშები, სისტემები და ასე დაეხმაროს გაჭირვებულ ადამიანებს.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ვარაუდობენ, რომ პარიზში, ლუვრის სასახლეში დამონტაჟებული იყო მილების ქსელი, რათა მოესმინათ ყველაფერი, რასაც ლაპარაკობდნენ სხვადასხვა ოთახში. ადამიანები ამბობდნენ, რომ საფრანგეთის დედოფალი (1547-1559 წლებში) ეკატერინე მედიჩი სწორედ ამ მილების საშუალებით იყო ყველა პოლიტიკური საიდუმლოს საქმის კურსში.

ფრთიანი ფრაზები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ ვამბობთ ასე

# პოპულარული ფრაზები და მათი წარმოშობის ისტორიები

წარმოიდგინეთ, რომ სწავლობთ ახალ ენას და გესმით, როგორ ამბობს ვილაც: „თაფლობის თვე“ ან „ცხვრის ქურქში გახვეული მგელი“. ეს ხომ უცნაურად ჟღერს, მაგრამ, თუ თქვენ ჰკითხავთ ადამიანებს, რას ნიშნავს ეს ფრაზები, ბევრი ვერ გიპასუხებთ.



## თაფლობის თვე (Honeymoon)

**მნიშვნელობა:** შვებულება, რომელსაც ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ერთად ატარებს.

**წარმოშობა:** ტრადიციის მიხედვით, ახალდაქორწინებულ წყვილს ნაყოფიერებისა და წარმატებისთვის მთელი თვის განმავლობაში უნდა ესვა თაფლიანი წყალი.



## კედლებსაც აქვს ყურები (The Walls Have Ears)

**მნიშვნელობა:** მოწოდება სიფრთხილისკენ გამოთქმებში, შეხსენება, რომ შეიძლება, საუბარი ისმინებოდეს.

**წარმოშობა:** ვარაუდობენ, რომ პარიზში, ლუვრის სასახლეში დამონტაჟებული იყო მილების ქსელი, რათა მოესმინათ ყველაფერი, რასაც ლაპარაკობდნენ სხვადასხვა ოთახში. ადამიანები ამბობდნენ, რომ საფრანგეთის დედოფალი (1547-1559 წლებში) ეკატერინე მედიჩი სწორედ ამ მილების საშუალებით იყო ყველა პოლიტიკური საიდუმლოსა და ჭორის საქმის კურსში.



## ნიანგის ცრემლები (Crocodile tears)

**მნიშვნელობა:** მწუხარების არაგულწრფელად გამოხატვა.

**წარმოშობა:** XIV საუკუნეში დაწერილ წიგნში „სერ ჯონ მანდევილის მოგზაურობა“ მოთხრობილია რაინდულ თავგადასავლებზე აზიაში. წიგნში აღწერილია, რომ ნიანგებს ცრემლი მოსდით, როდესაც დაჭერილ ადამიანს ჭამენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტობრივი შეცდომაა, ფრაზამ „ნიანგის ცრემლები“ გზა გაიკვლია შექსპირის ნაწარმოებებისკენ და XVI საუკუნეში არაგულწრფელი მწუხარების გამომხატველ იდიომად იქცა.

## ხალიჩაზე გამოძახება (Called On The Carpet)

**მნიშვნელობა:** საყვედურის მიცემა.

**წარმოშობა:** ამ იდიომის ზუსტი წარმოშობის შესახებ ცნობილი არ არის. ბოლო პერიოდში ამ გამონათქვამს იყენებენ საყვედურის აღსანიშნავად, რომელიც შეფის მდიდრულ კაბინეტში მიიღეს. სიტყვა „ხალიჩა“ გამოყენებული იყო სქელი ქსოვილის აღსანიშნავად, რომელიც დაფენილია, როგორც იატაკზე, ასევე მაგიდაზეც. შესაბამისად, „ხალიჩაზე გამოძახება“ ნიშნავს, რომ პრობლემაზე მაგიდასთან მსჯელობდნენ.





## ცხვრის ქურქში გახვეული მგელი (Wolf In Sheeps Clothing)

**მნიშვნელობა:** ადამიანი ან საგანი, რომელიც გვეჩვენება, რომ ჩვენ მიმართ კეთილგანწყობილია, სინამდვილეში კი მტერია.

**წარმოშობა:** მრავალსაუკუნოვანი გაფრთხილება იმის შესახებ, რომ ყველას, ვინც გარეგნულად მეგობრულად და კეთილგანწყობილად გამოიყურება, არ უნდა ენდო, ბიბლიურია. **მათეს** სახარებაში წერია: **„უფრთხილდით ცრუ წინასწარმეტყველებს, რომლებიც ცხვრის სამოსელით მოდიან თქვენთან, შინაგანად კი მტაცებელი მგლები არიან“ (მათე. 7:15).**



## ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯება (Dont Look A Gift Horse In The Mouth)

**მნიშვნელობა:** საჩუქრის ხარისხის შეფასება იმ ადამიანის წინაშე, რომელმაც ეს საჩუქარი გაჩუქათ, უხამსი საქციელია.

**წარმოშობა:** ცხენის შეძენისას ადამიანები მის წლოვანებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობას კბილების სიჯანსაღის მიხედვით ამოწმებდნენ. ამ იდიომას იმ მიზნით იყენებენ, რომ თქვან: საჩუქარში ნაკლოვანების ძებნა სისულელეა!



## თვალი დახუჭა (Turn A blind Eye)

**მნიშვნელობა:** თავი მოიკატუნა, თითქოს ვერაფერი შეამჩნია.

**მნიშვნელობა:** მიიჩნევენ, რომ ეს ფრაზა გაჩნდა მას შემდეგ, რაც ბრიტანეთის ფლოტის ვიცეადმირალმა **ჰორაციო ნელსონმა** (1758-1805) ბრმა თვალით ჭოგრიტში გაიხედა და ვერ დაინახა სიგნალი თავისი სარდლისა, რომელიც ანიშნებდა, რომ ბრძოლიდან გასულიყო. ნელსონმა კი შეტევა წამოიწყო და გაიმარჯვა.



## მარცხენა ფეხზე ადგა (Waking Up On The Wrong Side Of The Bed)

**მნიშვნელობა:** დღის დაწყება ცუდი განწყობით.

**წარმოშობა:** კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში მარცხენა მხარე ადამიანის ან რაღაცის „ბოროტ მხარედ“ ითვლებოდა, ამიტომ ლოგინიდან მარცხენა ფეხზე ადგომა უიღბლობის ნიშნად ითვლებოდა. უიღბლობის თავიდან დასაღწევად კი სახლის მფლობელები საწოლს მარცხენა მხრით კედელთან დგამდნენ და მასზე დაწოლილ ადამიანს სხვა არჩევანი აღარ ჰქონდა გარდა იმისა, რომ მარჯვენა ფეხზე ამდგარიყო.



## ყურები მეწვის (My Ears Are Burning)

**მნიშვნელობა:** ადამიანი ქვეცნობიერით გრძნობს, რომ მასზე ლაპარაკობენ ან აკრიტიკებენ.

**წარმოშობა:** ძველი რომაელები თვლიდნენ, რომ სხვადასხვა ორგანოში მწველ შეგრძნებას თავისი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგალითად, თუ ადამიანს მარცხენა ყური ეწვოდა, ეს ნიშნავდა, რომ მის მიმართ ვიღაცას ბოროტი განზრახვა ჰქონდა, თუ მარჯვენა — ვიღაც აქებდა.

მოამზადა ნიკა კორინთელმა

# «საქართველო და მსოფლიოს» რედაქციას!



**თქვენი შესანიშნავი გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ სრულად ამართლებს თავის სახელსა და ფუნქციას. საქართველოსა და მსოფლიოში მომხდარის შესახებ ინფორმაციას შესაშური ოპერატიულობითა და სიზუსტით აწვდით მკითხველს.**

მე მიყვარს თქვენი გაზეთი, რომელსაც დიდი ინტერესით რეგულარულად ვკითხულობ. მიყვარს ოთხშაბათი, იმიტომ, რომ გულისფანცქალით ველოდები ჩემს გაზეთს.

თქვენი ღრმა შინაარსიანი წერილების ავტორები გამოირჩევიან მოვლენების სწორი და ჭეშმარიტი ანალიზის უნარითა და ობიექტური შეფასებებით. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან რთულ, არაპროგნოზირებად დროში ვცხოვრობთ, ეს და ბევრი სხვა დადებითი უნარ-ჩვევა, ჟურნალისტური კეთილსინდისიერება და კეთილგონიერება გამოარჩევს მათ.

თქვენ მძიმე სოციალურ პირობებში გიწევთ მუშაობა, მინიმალური ანაზღაურებით, მაგრამ მაინც არაჩვეულებრივი თავდადებით ასრულებთ პროფესიულ და მოქალაქეობრივ მოვალეობას.

ბარაქალა თქვენს თავდაუზოგავ შრომას!

მეგობრებო! ჩვენ ორი სასტიკი და ბოროტი მტერი გვყავს, ამაზრზენი პანდემია და უგუნური ოპოზიცია. ნუ შეშინდებით, მათ ჩვენ აუცილებლად დავამარცხებთ.

გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებებს!

დამდეგ შობა-ახალწელს გილოცავთ, ჩემო მეგობრებო!

**ულრმესი პატივისცემითა და მომავალი შეხვედრის მოლოდინით**
**ომარ მარგველაშვილი**

# ყველაზე ლამაზი ნაძვის ხე ევროპაში

**უცნაური საახალწლო ნაძვის ხე, რომელიც დადგეს ლიეტუვის დედაქალაქ ვილნიუსში, 2020 წლის ყველაზე ლამაზ ნაძვის ხედ დასახელდა ევროპაში.**



ეს ნაძვის ხე-ინსტალაცია მიესადაგება კორონავირუსის პანდემიის გამო დაწესებული კარანტინის პირობებს, — მიაჩნიათ ტურისტული ორგანიზაცია European Best Destinotions-ის ექსპერტებს.

ნაძვის ხის სიმაღლე 24 მეტრია და მისი დანახვა შორიდანაც შეიძლება კონტაქტების გარეშე. მასზე არ არის სათამაშოები და მორთულობები. ნაძვის ხე დამზადებულია ლითონის ბლოკებისგან, Led-ნათურებისგან, სარკეებისა და ცოცხალი ნაძვის ტოტებისგან. მსურველებს შეუძლიათ ინსტალაციის შიგნით შესვლა.

მეორე ადგილზეა სტრასბურგის ნაძვის ხე, მესამეზე — პრაღის.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

# გოგი ქავთარაძე გარდაიცვალა



**80 წლისა გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი გოგი (გიორგი) ქავთარაძე.**

გოგი ქავთარაძე გადაღებულია 25 ფილმში, არის ერთი ფილმის რეჟისორი. სხვადასხვა წლებში იყო ქუთაისის, სოხუმის, ალ. გრიბოედოვის სახელობისა და რუსთავის თეატრების დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. მან სხვადასხვა თეატრის სცენაზე არაერთი სპექტაკლი დადგა.

გოგი ქავთარაძე იყო საქართველოს სახელმწიფო და კოტე მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატი და ღირსების ორდენის კავალერი.

1990-1991 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი. 2012-2016 წლებში იყო საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი.

# გარდაიცვალა მულტფილმ «აბა, დამაცადეს» სცენარისტი ალექსანდრე კურლიანდსკი



**82 წლისა გარდაიცვალა მწერალი, მულტფილმ „აბა, დამაცადეს“ ერთ-ერთი ავტორი ალექსანდრე კურლიანდსკი.**

ალექსანრე კურლიანდსკი დაიბადა 1938 წელს მოსკოვში, დაამთავრა მოსკოვის ვ. კუიბიშევის სახელობის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი. 1961 წელს მუშაობდა სცენარებზე შემდეგი მულტფილმებისა: „ბაბა-იაგა წინააღმდეგია“, „ცოდვილი თუთიყუშის დაბრუნება“, „შესანიშნავი გოშა“, „ნადირობის სეზონი“ და სხვ. წერდა, აგრეთვე, იუმორისტულ მოთხრობებს, რომელთაგან ზოგიერთი შევიდა „ერალაშში“, დაჯილდოებული იყო სსრკ-ის სახელმწიფო პრემიით.

# გაერომ მსოფლიო ძლიერ ეკონომიკურ კრიზისზე გააფრთხილა

**ბევრი ქვეყნის მთავრობებმა ერთობლივი ღონისძიებები არ განახორციელეს პანდემიის პირობებში, ამიტომ მსოფლიო შეიძლება შეეჯახოს ბოლო 80 წლის განმავლობაში ყველაზე ძლიერ ეკონომიკურ კრიზისს, — განაცხადა გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერეშმა.**

**„პანდემიის სოციალური და ეკონომიკური შედეგები კატასტროფულია და ის კვლავ ძლიერდება. ვერანაირი ვაქცინა ვერ გამოასწორებს ზარალს, რომელიც უკვე განიცადა მსოფლიომ. ჩვენ ბოლო 80 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი რეცესიის წინაშე ვდგავართ“,** — განაცხადა გუტერეშმა. გაეროს გენერალური მდივნის თქმით, დიდია შიმშილის დაწყების საფრთხე.

„პანდემია — ეს არის კრიზისი, რომელიც სხვას არ ჰგავს, ის მსოფლიოს საერთო მტერია. სამწუხაროდ, ქვეყნების მთავრობებმა ერთობლივი ღონისძიებები არ განახორციელეს ამ გლობალური საფრთხის წინააღმდეგ“, — მიაჩნია გაეროს ხელმძღვანელს.

**tvzvezda.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



# «დედა — ეს არის ქალი, ხოლო მამა — მამაკაცი!» უნგრეთმა კონსტიტუციაში «არატოლერანტული» ცვლილებები შეიტანა

**უნგრეთის პარლამენტმა ქვეყნის კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილებები, რომელთა მიხედვით, ოჯახი უნდა ეფუძნებოდეს ქორწინებას და მშობლების დამოკიდებულებას შვილებისადმი.**

„დედა — ეს არის ქალი, ხოლო მამა — მამაკაცი“, — ნათქვამია ახალ კონსტიტუციაში. მასში, აგრეთვე, მითითებულია უნგრეთში ბავშვების აღზრდის აუცილებლობაზე კონსერვატიული ფასეულობების სულიკვეთებით: „უნგრეთი ბავშვების დაბადებისთანავე იცავს მათ უფლებებს სქესობრივ იდენტიფიკაციაზე და უზრუნველყოფს მათ აღზრდას უნგრელი ხალხის თვითგამორკვევის კონსტიტუციური უფლებისა და ქრისტიანული კულტურის ფასეულობების საფუძველზე“.

უნგრეთის კანონმდებლობით, 2009 წლიდან დაშვებულია ერთი და იმავე სქესის პირთა შორის პარტნიორული კავშირები. **ეს ნორმა დააწესეს ვიქტორ ორბანისა და პარტია „ფიდესის“ წინამორბედმა სოციალისტებმა. ანალოგიური ნორმა მოქმედებს ჩეხეთსა და ესტონეთშიც, მაგრამ ჩეხეთში ასეთი წყვილებისთვის დაშვებულია ბავშვის შვილად აყვანა.**

ევროკავშირში აღმოსავლეთი ევროპა გამონაკლისია, რადგან ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობაში არაჰეტეროქორწინებები იურიდიულად რეგულირდება. ჰომოსექსუალური ქორწინებები დაშვებულია, აგრეთვე, დიდ ბრიტანეთში.

**ru-an.onfo-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# საჩუქარი ქართველი მკითხველისთვის

## — ჰეგელის «ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე»

**გერმანულიდან ქართულად ითარგმნა, დაისტამბა და უკვე იყიდება უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსის — გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის „ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე“. ეს საჩუქარი ქართველ მკითხველს რელიგიის დაუღალავმა მკვლევარმა, გერმანული ენიდან არაერთი ფილოსოფიური ნაშრომის მთარგმნელმა ვიქტორ რცხილაძემ და გამომცემლობა Carpe Diem-მა (დირექტორი ალექსანდრე ალადაშვილი) გერმანული „გოეთეს ინსტიტუტის“ დახმარებით გაუკეთეს.**




**წიგნი იყიდება თბილისში, მაღაზია „ლატერნაში“ (ცოტნე დადიანის № 7, სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა“, მე-2 სართული) და რუსთაველის № 16-ში.**

**თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:**
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

**სარედაქციო კოლეგია**
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894